


# საქართველოს მთაწმინდი



2015 წლი, № 4 ნოემბრის მიზნების სახელმწიფო დაცვის ეროვნული




„ეპლიული ეც პრის ღრეპ,  
უცეკილო, შრევი, თავადაგებლი და ეიუცელოვალი,  
ვითარებ გოვება და გიუვისული... ზაფეა ეცი უცეიდი,  
უფრესი ეცი ეპოზალი და ეფალვალი.“

## იაკობ მოძახაშვილი

175

პროზა  
პოეზია  
წერილები






# საქართველოს

## კოსტუმი

მაღალი მართლის სახელობის  
სალიტერატურო ჟურნალი



2015



ღმილაო ილია მართალო,  
ევედრა ღმერთსა ჩვენოვის!

№ 4

2015

# საქართველოს

## ეკულიკე

მართლის (ჭავჭავაძის)  
სახელობის სალიტერატურო ჟურნალი

გზა დანიშნული აქვს და არჩეული ჩვენს „მოამბესა“. ვნახოთ, როგორ გაივლის! ღმერთმა კი მშვიდობის და სიკეთის მგზავრობა მიჰსცეს, ღმერთმა მოაპოვებინოს მრავალი თანამშრომელი, რომ ჩვენის ქვეყნის და ხალხის სიყვარულის სახელითა ძმურად ურთიერთს მხარი მიჰსცენ და არ დაივიწყონ, რომ ხალხი დაბალი, თუ მაღალი – ყველა მოყვასია ჩვენი... თუ ხალხი მართლა მოყვასია, რუსთაველი გვასწავლის მოყვასს როგორც უნდა მოექცეს კაცი.

„ხამს მოყვასი მოყვასისთვის სიცოცხლისა არ დამრიდად,  
გული მიჰსცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად“



## შინაარსი

მრიამსი	5
თუ დედა ენით არ ხარ გაზრდილი... იოსებ ნონეშვილი	6
მართლიანი ილია გარებარი	7

### პატრიარქი

ქადაგება – ამას ენასა ლაზარე პრქვიან	8
ქართული ენის შესახებ	11

### იაკობ გოგებაშვილი – 175

ბიოგრაფია	15
-----------	----

„იაკობ გოგებაშვილი“ (ფილიპე გოგიშვილი)	20
--	----

### „იაკობის სამრეპლო“

პატრიოტობა ჩვენში	29
ვისა პქვიან პატრიოტი	30
ერი და ადმიანი	30
მთავარი საჭიროებანი	30
„ქართულ დვორისა ხურებას აფხაზთა ყური ისმენდა...“	32
„სულის მოძრაობას მხოლოდ დედა ენა პხატავს სინამდვილით და სისრულით...“	33

იაკობ გოგებაშვილის ადგერძი	34
----------------------------	----

„დედა ენის“ შემოქმედს (იმერი ხრეველი) .....	36
<b>„დედა ენა“</b>	
„დედა ენის“ კვალდაკვალ .....	38
როგორ იქმნებოდა „დედა ენა“ (სიმონ ჯაფარიძე) .....	40
<b>„რანი ვიყავით გუშინ“</b>	
ი ა კ ო ბ გ ო გ ე ბ ა შ ვ ო ლ ო –	
ცხრა ძმანი ხერხეულიძმინი .....	45
ასპინძის ომი .....	46
<b>ლიტერატურული ნობათი</b>	
ლადო ასათიანი – „ქართული ენა“ .....	57
გალაკტიონ ტაბიძე – „პომი ქართულ ანბანი“ .....	58
სიმონ ჯაფარიძე – ლექსები .....	59
ირაკლი აბაშიძე – „ო, ენავ ჩემო“ .....	60
შოთა ნიშნიანიძე – „გოგებაშვილის „დედა ენა“ .....	61
გიორგი ლეონიძე – „დედა ენა“ .....	61
ანა თოლრია – „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი!“ .....	62

**შურცალ „საქართველოს მოამბის“ ფინანსურაზე გამოცემა  
განხორციელდა**

**თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის  
ბათონ ალექსანდრე შათირიშვილის  
კეთილი ნებით**

---



---

რედაქტორ-გამომცემელი: მღვდელი ილია (ჩიკვაიძე)  
აასუსტებებელი რედაქტორი: გრიგოლ (გოჩა) სოჭიაშვილი

ფინანსურის მართლის (ფავშავაძის) სახელობის სალიტერატურო შურცალი  
„საქართველოს მოამბა“

---

გ ნ ვ ა ბ ს ი



მრწამს ერთი ღმერთი, მამა, ყოვლისა მპყრობელი, შემოქმედი ცათა და  
ქუეყანისა, ხილულთა ყოველთა და არა ხილულთა;

და ერთი უფალი იესუ ქრისტე, ძე ღმრთისა მხოლოდშობილი, მამისაგან  
შობილი უწინარეს ყოველთა საუკუნეთა. ნათელი ნათლისაგან, ღმერთი  
ჭეშმარიტი ღვთისაგან ჭეშმარიტისა, შობილი და არა ქმნილი, ერთარსი მამისა,  
რომლისაგან ყოველი შეიქმნა.

რომელი ჩუენთვის, კაცთათვის და ჩუენისა ცხოვრებისათვის გარდამოხდა  
ზეცით, და ხორცი შეისხნა სულისაგან წმიდისა და მარიამისაგან ქალწულისა,  
და განკაცნა.

და ჯუარს ეცვა ჩუენთვის პონტოელისა პილატეს-ზე და ივნო, და დაეფლა.

და აღსდგა მესამესა დღესა მსგავსად წერილისა.

და ამაღლდა ზეცად, და მჯდომარე არს მარჯვენით მამისა.

და კუალად მომავალ-არს დიდებით, განსჯად ცხოველთა და მკუდართა,  
რომლისა სუფევისა არა არს დასასრულ.

და სული წმიდა, უფალი და ცხოველს-მყოფელი, რომელი მამისაგან  
გამოგალს, მამისა თანა და ძისა თანა თაყუანის-იცემების და იდიდების, რომელი  
იტყოდა წინასწარმეტყველთა მიერ.

ერთი, წმიდა, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია.

აღვიარებ ერთსა ნათლისლებასა მოსატევებელად ცოდვათა.

მოველი აღდგომასა მკუდრეთით.

და ცხოვრებასა მერმისსა მის საუკუნესასა, ამინ.

## თუ დედა ენით არ ხარ გაზრდილი... თავობ გოგებაშვილს

შენ „დედაენით“ მწუხრს მიჰკაფავდი,  
სიძნელეს გზისას არად აგდებდი.  
როგორც ილიას, ვაჟას, აკაკის,  
გშვენის დიდების შარავანდედი.  
გულის ღადარში წიგნი წრთობილი  
მტრის შუქს აქრობდა, ჩვენს გულს ათბობდა.  
შენ ბიბლიური იაკობივით  
ერკინებოდი უსამართლობას.  
წიგნი კი არა, ჩვენთა მართვეთა  
სიტყვა, სიმღერა ხალისიანი,  
წიგნი კი არა, ფარი ქართველთა,  
ამოღებული ხმალი ფხიანი.  
წიგნი კი არა, ყრმობის ზღაპარი,  
წყაროს ჩუხჩუხი, ფშვინვა იათა,  
წიგნი კი არა, წმინდა ლამპარი,  
შეჭიდებული ღამის წყვდიადთან.  
ტოროლა, ცად რომ მიიტყორცნება,  
მაღლა აჭრილი მთები მზიანი,  
ხამისპერანგა ბიჭის ოცნება,  
ნამგლის წკრიალი, ყანის შრიალი...  
წიგნი კი არა, მიმოფანტული  
კაბადონებზე სხივთა მარმაში,  
სიტყვა ქართული, სული ქართული,  
ჩართული დედის იავნანაში.  
ჩვენ კარგად ვიცით სიბრძნე ნამდვილი,  
შენს წმინდა წიგნში ამოქარგული:  
თუ დედაენით არ ხარ გაზრდილი,  
გულში გაკლია ცეცხლი ქართული.  
ჩვენ კარგად ვიცით აზრი ხალასი,  
რაც გვიანდერძა წიგნმა ნათელმა:  
თუ დედაენით შვილებს არა ზრდი,  
თავი ტყუილად მოგაქვს ქართველად.  
ჩვენ გვიყვარს წიგნი სიტყვახატული,  
განა სიტყვები? ნატვრის თვლებია.  
თუ დაივიწყე ენა ქართული,  
მაშ, საქართველო დაგვიწყებია.  
ვინა სთქვა, ვითომ ბედმა დაგვცინა,  
ძე არ გაღირსა, როგორც ილიას,  
ვისაც მამულის მადლი აცხია,  
შენი ძე არის, შენი შვილია.  
განა რა ძალით დაიკეცება  
ან ეს ტრამალი, ან ეს ჩვენი ცა?  
მოდგმიდან მოდგმას გადაეცემა  
შრიალი შენი „დედაენისა“.

## ფილა ილია მართალი



\* \* \*

ხვალე არ უნდა ჰგავდეს დღევანდელს, თუ კაცს პროგრესი, წინსვლა ადამიანისა ფუჭისიტყვად არ მიაჩნია.

\* \* \*

ვინც თვითონ მოიპოვებს სახელს, იგი ბევრით წინ არის იმაზე, ვისაც სახელი მამაპაპათაგან რჩენია და რგებია.

\* \* \*

რაც გინდა პატარა იყოს სამშობლო ჭეშანა, — პატიოსანს გულში დიდი ადგილი უჭირავს.

\* \* \*

ლონიერი და ჭირთა მბლევი ის არის, ვისაც ჭეშა ცოდნით მოურთავს, ცოდნით აუყვავებია, ცოდნის ძუძუთი გაუზრდია.

\* \* \*

ყველა კაცმა რომ იგი სიკეთე ჰქმნას, რის შემძლებიც არის, ქვეყნიერებაზე უბედურნი აღარ იქნებიან.

\* \* \*

უფულო ერი ერთა შორის და უფულო კაცი ადამიანთა შორის ყმაა ფულიანისა.

\* \* \*

ქართველს კაცს არც ქარის შემოტანილი უნდა არც გატანილი.

\* \* \*

„დროთა ბრუნვამ სხვის მაყურებლად გაგვხადა, სხვაზედ იმედს შეგვაჩვივა და ამაებმა სრულიად წარწყმიდეს ჩვენში ის თვითმოქმედების ძალ-ღონე, რომელიც უწინ იყო და რომელიც თუკი საღმე არის, ყველგან ხალხის ბედნიერების სათაურია და საფულძველიც. ხსნა ჩვენი თვითმოქმედებაში და ერთიანობაშია, საცა კაცი თითონ არ არის, სხვისით არა გაკეთებულა რა, საცა ერთი ვერას იქმს, იქ ოცსა და ორმოცს ერთად შეუძლიან ჰქმნას.“

\* \* \*

„ჭეშმარიტი განთლება განვითარებულ გონების და გაწურთვნილის ზნე-ხასიათის ერთმანეთთან შეუღლებაა განუყრელად. თუ კაცს ან ერთი აკლია, ან მეორე, იგი განათლებული არ არის, და ჩვენის ფიქრით, ისევ გონება განუვითარებელი და ზნე-ხასიათ გაწურთვნილი კაცი სჯობია, ვიდრე გონებაგანვითარებული და ზნე-ხასიათ გაუწვრთნელი, ამიტომაც დღევანდელ დღეს ადვილად შესაძლოა შექვდეთ, — კაცი ცოდნით ერთი იყოს, მოქმედებით და ცხოვრებით კი — სრულიად სხვა.“

\* \* \*

კარგია გაღვიძებული ადამიანი, მაგრამ უფრო უკეთესია ადამიანი, რომელსაც ძილშიაც არა სძინავს, ქვეყნის უბედურებით გულ-აღტკინებულსა.

პ ა ტ რ ი ა რ ძ ი



ენერგეტიკისა და ენერგეტიკის, სხეულის საქართველოს  
კათოლიკოს-პატიაჲის იღია II - ის  
**ქადაგება**



## ამას ენასა ლაზარე ჰრევიან

სახელითა მამისათა, და ძისათა, და წმიდისა სულისათა!  
ჩვენთან არს ლმერთი...

უამრავი საიდუმლოებით არის მოცული ადამიანი. ბევრი რამ არ ესმის მის გონის, ბევრს ვერ გრძნობს მისი გული. მაგრამ ადამიანი არის ხატება ღვთისა, არის გვირგვინი ღვთის ქმნილებისა. კურთხეულია ქართველი ერი, საქართველო. ღვთის მადლითაა კურთხეული ქართული ენა.

დიდი საიდუმლოებით მოცულია სიტყვები, რომელიც გადმოგცა ჩვენმა დიდმა წინაპარმა იოანე-ზოსიმემ. ამ სიტყვებში სწერია:

დამარხულ არს ენად ქართული დღემდე მეორედ მოსვლისა მისისა საწამებლად, რამთა ყოველსა ენასა

ლმერთმა ამხილოს ამით ენითა.

და ესე ენად

მძინარე არს დღესამომდე,  
და სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე ჰრევან!

ვინ დააკავშირა ერთმანეთთან მართალი ლაზარე და საქართველო? რა არის საერთო ლაზარესა და ქართულ ენასა შორის? ვინ იყო ლაზარე?

ჩვენ ვიცით, რომ ლაზარე იყო ძმა მართასი და მარიამისი. ვიცით ისიც, რომ ლაზარე ცხოვრობდა ბეთანიას, რომ იგი უყვარდა მაცხოვარს. და აი, ამცნეს მაცხოვარს, რომ ლაზარე ავადაა...

„უფალო, აჰა, რომელი იგი გიყუარდა, სნეულ არს“. (იოანე 4, 3)

„გითარცა ესმა ესე იესოს, თქუა: ესე უძლურებად არა არს სასიკუდინე, არამედ დიდებისათვს ღმრთისა, რავთა იდიდოს მც ღმრთისავ მისგან“ (იოანე 11, 4). და არ ჩქარობს მაცხოვარი წასვლას. რატომ? იმიტომ, რომ უნდა მოხდეს უდიდესი სასწაული - ლაზარეს მკვდრეთით აღდგომა. ამან კიდევ ერთხელ უნდა დაადასტუროს, თუ ვინ არის მაცხოვარი. ბოლოს იგი მაინც ემზადება ბეთანიას წასასვლელად. სულ რამდენიმე დღის წინ ებრაელები მას უმუქრებოდნენ სიკვდილით და მოციქულები სთხოვენ, არ წავიდეს იქ. „მოძღუარ, აწლა გემიებდეს შენ ჰურიანი ქვისა და კრებად, და კუალად მუნვე მიხუალა?“ (იოანე 11, 8).

და აი, ამ დროს თომა მოციქული (ვისი თავის ქალაც, როგორც დიდი სიწმიდე, ჩვენს სიონის ტაძარში ასვენია) მიმართავს მოციქულებს და ეუბნება: „წავიდეთ და ჩვენც მოვაკვდეთ მასთან ერთად“.

შეხედეთ თომას, რომელსაც უწოდებენ ურწმუნოს, რომელიც თითქოს შეორგულდა იესო ქრისტეს აღდგომაში! ეს თომა მიდის იუდეაში, რომ მასთან ერთად მოკვდეს. შემდეგ მოდის ხმა ბეთანიიდან, რომ ლაზარე მოკვდა. მაცხოვარი მიმართავს მოციქულებს და ეუბნება - „ლაზარემ დაიძინა“. მოციქულები ვერ ჩაწვდინენ მაცხოვრის სიტყვების აზრს და პასუხობენ: „ლაზარემ თუ დაიძინა, ის განიკურნება, უფალო, უკუეთუ დაიძინა, ცხოვნდეს“ (იოანე 11, 12). ისინი გულისხმობდნენ, რომ ძილი არის ნიშანი ჯანმრთელობისა; მაგრამ მაცხოვარი ამბობდა სხვა ძილზე - სიკვდილზე.

და წავიდა ბეთანიას უფალი. მაშინ მიეგება მას ტირილით ლაზარეს და მართა და უთხრა: - „უფალო, უკუეთუმცა აქა იყავ, არამცა მომკუდარ იყო ძმა იგი ჩემი“ (იოანე 11, 21) შენ რომ აქ ყოფილიყავ, ჩემი ძმა არ მოკვდებოდაო. მაცხოვარს სურს, ჩაუნერგოს მართას რწმენა და ეუბნება მას: - გრწამს, რომ მე შემიძლია აღვადგინო ლაზარე? გრწამს, რომ მე ვარ



### მართალი ლაზარეს საფლავი

ქრისტე? - „ჰე, უფალო, მრწამას, რამეთუ შენ ხარ ქრისტე, მე ღმრთისა, მომავალი სოფლად“. - პასუხობს მას მართა. - „ჰრქუა მას იესუ: აღსდგეს ძმა შენი.

ჰრქუა მას მართა: უწყი, რამეთუ აღდგეს აღდგომასა მას უკუანავს კნელსა დღესა.

რქუა მას იესუ: მე ვარ აღდგომა და ცხოვრებაო. რომელსა ჰრწმენეს ჩემი, მოლა-თუ-კუდეს, ცხოვნდესვე.

და ყოველი, რომელი ცოცხალ არს და ჰრწმენეს ჩემი, არა მოკუდეს იგი უკუნისამდე - გრწამს ესე?

ჰრქუა მას მართა: ჰე, უფალო, მრწამს, რამეთუ შენ ხარ ქრისტე, მე ღმრთისავ, მომავალი სოფლად.“ (იოანე 11, 23-27).

მაცხოვარი შედის ბეთანიას. მას ხვდება მეორე და ლაზარესი - მარიამი; ისიც ტირილით, ისიც ამავე სიტყვებით, შენ რომ აქ ყოფილიყავ, ლაზარე არ მოკვდებოდაო. მაცხოვარი მიდის ლაზარეს საფლავთან. ის

უკვე შესვენებულია გამოქვაბულში, საფლავზე მიღებულია ქვა. არავითარი ნიშანი არ ჩანს ლაზარეს სიცოცხლისა, მაცხოვარს ეუბნებიან, რომ ლაზარე არის ოთხი დღის მკვდარი და უკვე ყარს. ამ დროს უფალი იესო ქრისტე მიმართავს მამაზეციერს. — მამაო, გმადლობ შენ, რამეთუ ისმინე ჩემი, და შემდეგ დიდი ხმით დაუძახებს: — „ლაზარე, გამოვედ გარე“. მართლაც წარმოდგა ლაზარე და გამოვიდა, გამოვიდა შეკრული, მიცვალებულის სამოსელით შემოსილი. მაცხოვარმა უბრძანა, რომ მოეხსნა ეს სამოსელი. ლაზარე აღდგა, ლაზარე გაცოცხლდა. „და გამოვიდა მკუდარი იგი შეკრული კელითა და ფერხითა სახუმელითა, და პირი მისი დაბურვილ იყო სუდარითა. პრექუა მათ იესუ: განპქსენით ეგე და უტევეთ, ვიდოდეს“ (იოანე 11, 43-44). და ცნობილია ისტორიიდან, რომ ლაზარე შემდეგ ყოფილა კრიტეს ეპისკოპოსი და იქვე გარდაიცვალა.

მე მქონდა ბედნიერება, როცა გახლდით იერუსალიმში, მივსულიყავი იმ ადგილზე, სადაც იყო დასვენებული ლაზარე. თაყვანი ვეცი იმ წმიდა ადგილს, სადაც უფალმა წარმოთქვა კურთხეული სიტყვები: — „ლაზარე, გამოვედ გარე“. ამას გვაუწყებს დღევანდელი სახარება. მაგრამ ამასთან ერთად, დღეს არის ჩვენი დიდი დღესასწაული — ქებად და დიდებად ქართულისა ენისად.

„სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე პრექვიან“.

ვინ იყო ის ჩვენი დიდი წინაპარი, ის კურთხეული ადამიანი, რომელსაც გამოუცხადა უფალმა, რომ „სახარებასა შინა ქართულსა ენასა ლაზარე პრექვიან“? ეს ჩვენთვის არ არის ცნობილი. იოანე-ზოსიმე, რომლის ზელნაწერითაც ამ ლექსმა, ამ საოცარმა სიტყვებმა ჩვენამდე მოაღწია, იყო მხოლოდ გადამწერი. ხოლო ავტორი, ვისაც გამოეცხადა ეს უდიდესი საიდუმლო, არ ვიცით. ვინ წარმოშვა ქართული ენა? ქართველმა ერმა წარმოშვა ქართული ენა, თუ ქართულმა ენამ წარმოშვა ქართველი ერი? დვთის კურთხევით მათი შობა ერთად მოხდა. წარმოშვა ქართული

ენა და წარმოიშვა ქართველი ერი.

„და ესე ენავ

შემკული და კურთხეული

სახელითა უფლისავთა,

მდაბალი და დაწუნებული,

მოელის დღესა მას

მეორედ მოსვლისა უფლისასა“.

რატომ მოელის? ეს ხომ არის ენა

„შემკული და კურთხეული სახელითა უფლისავთა“... მაშ რატომდა სწერია, „მდაბალი და დაწუნებული“?

დვთის კურთხევით, ეს არის შემკული და კურთხეული, მაგრამ ვის მიერ არის დამდაბლებული და დაწუნებული?

— მტრების მიერ, რომელნიც უძლურნი არიან საქართველოს წინაშე, უფრო სწორად, დვთის კურთხევის წინაშე, რადგან მარჯვენა დვთისა

ჩვენს ქვეყანაზე გადაფარებული, ჩვენს ერზეა და ეს მარჯვენა ლოცავს ქართულ ენას. რატომ მოელის ის „დღესა მას მეორედ მოსლვასა უფლისასა“?

იმიტომ, რომ მეორედ მოსვლის დროს უფალი ამით ენითა განსჯის ქვეყანას.

ჩვენ ვიცით, რომ მეორედ მოსვლის წინ დაეცემა სარწმუნოება; დაეცემა ზნეობა, აღარ იქნება სიყვარული. იქნება მტრობა, დალატი. იშვიათად ნახავს ადამიანი ჭეშმარიტ მორწმუნეს. და აი, იმ დროისათვის, იმ

სულიერი დაცემის დროისათვის, როცა თითქოს არავითარი სიკეთე აღარ ჩანს ქვეყანაზეო,

რომ იფიქრებ, ივერიის ყოვლადწმიდა დვთისმშობელის წინასწარმეტყველებით,

ვისი საოცარი, სასწაულმოქმედი ხატიც ივერონის მონასტერში, ათონზე ქართველმა ბერებმა ზღვიდან ამოსავენეს, საქართველო

გაბრწყინდება უკანასკნელ ჟამს. საეკლესიო გადმოცემის თანახმად ცნობილია და ჩვენ ვიცით, რომ X საუკუნეში ყოველივე ეს ზიღვით ეუწყათ წმიდა მამებს ივერონის

ქართველთა სავანეში; როცა მთელი ქვეყანა დაკარგავს რწმენას, სიყვარულს, სათნობას, საქართველო

გაბრწყინდება სარწმუნოებით, სიყვარულით, სიწმინდით, და როგორც ჯილდო, მიეცემა უფლება, რომ ქართული

ენითა ამხილოს უფალმა მთელი ქვეყანა. აი,

მხოლოდ ასე შეიძლება აიხსნას ეს სიტყვები. მეორედ მოსვლის უამს, უფალი ამხელს ქვეყანას ქართული ენით.

იმის შემდეგ, როცა ცნობილი გახდა ეს დიდი საიდუმლო, იმის შემდეგ, როცა უფალმა გამოუცხადა ჩვენს წინაპარს, რომ „სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე პრქვიან“, იგი ზეიმობდა ქართული ენის დღესასწაულს - ლაზარეს შაბათს. მაგრამ ქვეყნის ავბედობამ, მისმა მძიმე წარსულმა წაშალა ეს კურთხეული და წმიდა ტრადიცია. დღეს კვლავ დადგა უამი და აღვადინეთ ეს დღესასწაული.

ღმერთმა დალოცოს ღვთივკურთხეული ქართველი ერი და ქართული ენა,

ღმერთმა დალოცოს ჩვენი წინაპრები, - შოთა, სულხან-საბა, გურამიშვილი, ბარათაშვილი, ილია, აკაკი, ვაჟა, გოგებაშვილი და სხვანი, რომელნიც მძიმე უამს იცავნდნენ და ინახავდნენ ქართულსა ენას.

ღმერთმა დალოცოს სრულიად საქართველო, ღმერთმა დაგლოცოთ თქვენ, ღმერთმა გააძლიეროს და აკურთხოს ქართული ენა, ამინ.

**ლაზარეს შაბათი, 13(26) აპრილი,  
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-  
აპოსტოლი ილია II  
„ეპისტოლენი, სიტყვანი, ქადაგებანი“, ტომი II,  
თბილისი, 1997 წ.**

## უნიკალური და უნიკარესი, სჩუიაღ

## საქართველოს კათოლიკოს-პატიაქი ილია II

### ქართული ენის შესახებ

დღეს მინდა ვისაუბროთ ჩვენს ეროვნულ ფასეულობებზე, რომელთაც სათუად უნდა მოვუფრთხილდეთ და დავიცვათ. უპირველეს ყოვლისა, ეს არის ჩვენი მართლმადიდებელი სარწმუნოება, ეს არის ჩვენი ეროვნება. ეს არის ჩვენი ენა ქართული, ჩვენი კულტურა, ჩვენი ლიტერატურა – პროზა და პოეზია, ჩვენი არქიტექტურა, ქართული ხელოვნება და მრავალი სხვ.

საუკუნეების მანძილზე ქმნიდა ქართველი კაცი ამ კულტურას და დღეს გაგვაჩნია უდიდესი სულიერი და კულტურული სიმდიდრე და თვალის ჩინივით უნდა გავუფრთხილდეთ მას!

უდიდესი საუნჯეა ჩვენი ქართული ენა! იგი უძველესი და უტკბესია, რაღაც განსაკუთრებული მადლით მოსილი! როდის წარმოიშვა იგი? როდესაც ქართველი კაცი გაჩნდა ამქვეყნად, აი, მაშინ წარმოიშვა ქართული ენაც! ქართული ენა დიდებულია თავისი სიღრმით, თავისი ფილოსოფიური დატვირთვით, თავისი უძველესი ფორმებით! ამაზე მეტყველებს ისეთი საღვთისმეტყველო და ფილოსოფიური შრომები, რომლებიც პქონდათ, მაგალითად, ეფრემ მცირეს, იოანე პეტრიწის, – ისინი გადმოცემულია ქართული ენით! ქართული ენამდიდარია საღვთისმეტყველო-ფილოსოფიური ტერმინოლოგითა და ისეთი

„ქართული ენა არის ლრმა, უნაპირო, ბრძენი, თავმდაბალი და მიუწვდომელი, ვითარცა გონება და სიყვარული. მისი სათავე ისევე უცნობია, როგორც მელქისედეკ მამამთვრისა. მასშია მთელი საქართველო. გაზაფხულზე გაშლილი ვარდივით მშვენიერია იგი და ახლად-ამოსული მზის ცხოველსმყოფელი სხივივით საამო, ცისფერია მისი სამოსი, ზეცაა მისი საწყისი, უფალია მისი მშობელი და მფარველი. სიტყვა მისი მჭრელია, ვითარცა დავით აღმაშენებლის ხმალი, ძლიერია, როგორც სვეტი ცხოველი და ნაზი, ვით ყვავილზე მარგალიტად დაკიდული დილის ნამი“.

(ილია II, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი)

სიტყვებით, რომლებიც საშუალებას აძლევს ადამიანს, ზედმიწევნით ზუსტად გამოთქვას თავისი აზრი. ეს იმას ნიშნავს, რომ იგი არის კაცობრიობის ერთ-ერთი უძველესი ენა.

დღეს ამაზე იმიტომ ვსაუბრობ, რომ ჩვენ შორის არიან ადამიანები, რომელთა აზრით არსებობს ე.წ. „ქართველური ენები“. მინდა გითხრათ, რომ არავითარი ქართველური ენები არ არსებობს, არის მხოლოდ ერთი ენა ქართული, თავის მრავალრიცხოვანი დიალექტით, როგორიცაა – სვანური, მეგრული, მესხური და სხვა ეს არის არა ცალკე ენები, არამედ ერთი ქართული ენის განშტოებანი!

ჩვენ უნდა გავუფრთხილდეთ ჩვენს ენას! გავიხსენოთ იოანე ზოსიმეს დიდებული სიტყვები, ქართული ენის შესხმა – “ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი”. სხვათა შორის, არსებობს მოსაზრება, რომ შესაძლოა, იოანე ზოსიმე ამ ქებაის ტექსტის გადამწერია და არა – ავტორი. მაშინ ეს შესხმა უფრო ძველიც შეიძლება იყოს. იოანე ზოსიმეს უწერია, რომ „სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე ჰქიან“, იგი აღდგება, როგორც ოთხი დღის მკვდარი ლაზარე და გაბრწყინდება; შემდეგ კი ჰიმნოგრაფი გვამცნობს, რომ მეორედ მოსვლის ჟამს ქართულითა ენითა განისჯება სამყარო. ჩვენ ბევრი გვიფიქრია ამის შესახებ და, აღბათ, თითოეულ თქვენგანსაც უფიქრია, თუ რით დაიმსახურა ქართულმა ენამ ესოდენი პატივი? არსებობს წინასწარმეტყველება იმის შესახებ, რომ უკანასკნელ ჟამს კაცობრიობა

დაკარგავს სარწმუნოებას, ჩაეფლობა ცოდვებში და მხოლოდ ქართველი კაცი დაიცავს ჭეშმარიტ სარწმუნოებას და აი, ამის გამო, როგორც ჯილდო, ქართველ ერს მიეცემა ეს წყალობა ღვთისა, რომ საყოველთაო განკითხვა ქართული ენის მოხდება.

მინდა მოგიწოდოთ, გავუფრთხილდეთ ჩვენს ღვთითბოძებულ ენას! დავიცვათიგი და დავეუფლოთ მას! მოგეხსენებათ, ჩვენ გაგვაჩნია სამი დამწერლობა, სამიანბანი, უძველესი მათ შორის არის ასომთავრული (ალბათ, იმაზე აღრეციქნებოდა სხვა), შემდეგ – ნუსხა ხუცური და მხედრული. თამამად შემიძლიავთქვა, რომ არ მეგულება არც ერთი ქვეყანა, სამი ანბანი რომ ჰქონდეს!

ზოგს თავისი დამწერლობაც კი არ გააჩნია! ამიტომ, ჩვენ მოგალენი ვართ, ვიცოდეთ სამივე ანბანი, თავისუფლად უნდა ვკითხულობდეთ სამივე დამწერლობას. ხშირად ჩვენი ახალგაზრდობა შედის რომელიმე უძველეს ტაძარში და არ შეუძლია ასომთავრული და ხუცური წარწერების ამოკითხვა. მეტსაც გეტყვით, ამ 33 წლის წინ, როცა სრულიად საქართველოს პატრიარქად მაკურთხეს, იშვიათად თუ მოიძებნებოდა ადამიანი, ასომთავრული და ნუსხა-ხუცური რომ სცოდნოდა და საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ჟამნისა და კონდაკს მხედრულად იწერდნენ და ასე კითხულობდნენ ეკლესიაში. მე მათ ავუკრძალე ასეთი ქმედება და ამ სამივე ანბანის სწავლა დავიწყეთ.

სამწუხაროა, რომ დღეს მრავალი პრობლემა აქვს ქართულ ენას. არსებობენ ადამიანები, რომელთა შესახებაც ზემოთ მოგახსენეთ, – ვინც ფიქრობს, რომ სვანური, მეგრული და სხვა დიალექტები ქართული ენა არ არის, არამედ, რაღაც ე.წ. ქართველური ენებია. ქართული ენა მხოლოდ ერთია, ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ არ არსებობს არც მეგრული და არც სვანურიდამწერლობა, წინააღმდეგ შემთხვევაში გვექნებოდა ამის მტკიცებულებები, უძველესი ხელნაწერები. მაშასადამე, არის მხოლოდ ერთი ქართული ენა! ამის საწინააღმდეგოდ იღლაშქრებენ ის ადამიანები, რომელთაც განზრახული აქვთ, თარგმნონს ქართულიდან სვანურად და მეგრულად წმინდა წერილი და სხვასაეკლესიო წიგნები! ისინი დიდ შეცდომას უშვებენ და ნებსით თუ უნებლივედ ერსმტრობენ. რა თქმა უნდა, ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ მეგრული და სვანური დიალექტები, მაგრამ ეს ოჯახებში უნდა მოხდეს.

ჩვენი ოფიციალური სახელმწიფო, სალიტერატურო ენა კი არის ერთი – ქართული ენა.

ქართულმა ენამ გადაარჩინა ჩვენი ერი და ქართული ენა და ჩვენი სარწმუნოება გადაარჩენს მას ასევე მომავალშიც. უპირველეს ყოვლისა, ჩვენ კარგად უნდა ვიცოდეთ ქართული ენა, ჩვენი დამწერლობა, სამივე ანბანი. ვფიქრობ, რომ დაწესებულებებზე წარწერა უნდა იყოს სამივე ქართული ანბანით. ეს ხელს შეუწყობს ჩვენს მოსახლეობას, თვალი შეაჩვიოს

და შეისწავლოს სამივე დამწერლობა: ასომთავრული, ნუსხა-ხუცური და მხედრული. მივმართავ ყველას, განსაკუთრებით ჩვენს ბიზნესმენებს, თავიანთ დაწესებულებებს წარწერები გაუკეთონ სამივე ანბანზე. ამით ჩვენ მივაღწევთ, რომ ერთ წელიწადში ყველას ეცოდინება სამივე დამწერლობა.

მართლაც, საოცარია ქართული ენა და ხშირ შემთხვევაში, ქართული პოეზიის თარგმნა შეუძლებელია, იმდენად ღრმა არის ქართული ენა. ქართული ლექსის თარგმანი უცხოურ ენაზე ძალიან ფერმკრთალი და უბრალო გამოიდის. ბევრს უთქვამს შესხმა ქართული ენისა, მაგრამ ბოლო ღროს ბრწყინვალედ გამოთქვა ეს ირაკლი აბაშიძემ. მინდა, კიდევ ერთხელ გაიხსენოთ ირაკლი აბაშიძის ეს სიტყვები ქართული ენის შესახებ: “ო, ენავ ჩემო, დედაო ენავ”

სრულყოფილად რომ ვფლობდეთ ქართულ ენას, უნდა ვიკითხოთ ქართული წიგნები. გეძლებათ ლოცვა-კურთხევა, არც ერთმა დღემ არ განვლოს ისე, რომ რამე არ წაიკითხოთ ქართული ლიტერატურიდან. აუცილებლად უნდა ვიკითხოთ ჩვენი კლასიკა, – ამ წიგნებში არის დიდი სიღრმე.

დალოცვილი იყავთ! განსიკვდეთ მუდამ, რომ ჩვენი ეროვნული თვითშეგნება, ჩვენი ქართული ენა, მართლმადიდებელი სარწმუნოება გადაარჩენს საქართველოს!

მარტი 17, 2011



## იუბილუს შოთა რუსთაველი-175



„იაკობ გოგებაშვილი ლიხსია, ჩოდ ქართველმა ხაღმა სიყოცხლეშივე ძეგლი ღებგას.“

აკაკი



„ის იყო პარგად მოსული, ჩასხმული, მაღალი, მხარებეჭიბარი და ლამაზი ვაშკაცი, ომახიბარი და მშექანარი ხელი. მაგრამ ამ ახოვანებას, მის რიხიბანებას, როგორდაც არ მხამებოდა სავარით მომზირალი სახე, როცავ ფერმართალი იმრით და აეთილობა ილური გამოხატყველებით. მისი ზაბლისფერი თმა გუდამ ურჩობას ეჯორდა და როცავ შერხევაზე მის საეტაკ შუალს ხვეულ კულულებად ეფინებოდა. თვალები იშვიათი ჰქონდა, ფართო დია ბაიებით. რიხიბარი, უშიშარი და პირდაპირ შემსრულდა, აირშივე მოქმედი და განათლება.“

### იაკობ გოგებაშვილი:

მხოლოდ უვიცობა, უკულტურობა, თავის თავზე დიდი წარმოდგენა და სიზარმაცეა ჩვენი შეურიგებელი და დამაბრკოლებელი მტერი ცოდნისაკენ მიმავალ ფართო შარაგზაზე.

\* \* \*

მთავარი ძალა, რაც გამარჯვებას ანიჭებს ერს საარსებო ბრძოლაში, არის ცოდნა, განათლება.

\* \* \*

თუ ქვეყნის თვალში შესაძლებელი ყოფილიყო ვისიმე ან რისიმე დამცირება სიცრუით ან ცილისწამებით, ქვეყანაზე დაუმცირებელი მოღვაწე გაწყდებოდა. ბედად ზდება ხოლმე საწინააღმდეგო: ცრუპენტელა და ცილისმწამებელი თავის თავს ამცირებს ფართო საზოგადოების თვალში.

\* \* \*

სინდისიანი, ბეჯითი, გონიერი, ზნეობიანი ოსტატი ღირსია დიდის პატივისცემისა ყოვლის კაცისაგან, რომელიც გონებით გახსნილია და მიხვედრილია.

\* \* \*

ვინც მოქმედობს, იღწვის, შეცდომას ვერასოდეს ვერ ასცდება. გარნა გონიერი მოქმედი, შეიგნებს რა თავის შეცდომას, ჯიუტად როდი შეჩერდება მასზედ, იგი სცდილობს რაც შეიძლება გაასწოროს თავისი შეცდომა და საქმე კეთილად წარმართოს.

## ბ ი რ გ რ ა ფ ი პ

იაკობ გოგებაშვილი დაიბადა 1840 წლის 15 ოქტომბერს (27 ოქტომბერი) სოფელ ვარიანში (გორის რაიონი).

„ვარიანი, ვარიანი,  
უტყეო და ქარიანი.  
მებატონე ჩამოივლის ვარიანსა,  
წიოკობას აუტეხავს ქათამსა და ვარიასა“.

ასე პოეტურად გამოუთქვამთ ვარიანელებს თავიანთი გასაჭირი.

ვაკეზე მდებარე ღარიბი სოფელია ვარიანი, თუმცა იქაურებს არ დანანებიათ, საკუთარი მწირი შესაძლებლობა სოფლის ეკლესიის მშენებლობისთვის მოეხმარებინათ.

ტაძრის ერთ-ერთ კედელზე კვითხულობთ: „ესე ღვთისმშობლის ეკლესია აღვაშენეთ ერთობითა ვარიანის მცხოვრებელთა“. თუმცა ვარიანელები დღესაც თვლიან, რომ ტაძარი სიმონ გოგებაშვილის, დიდი იაკობის ძამის, აშენებული უნდა იყოს. სიმონი ხომ სწორედ მათ სოფელში უკურთხებიათ ძლიერად და წლების განმავლობაში აქ ემსახურებოდა ღმერთსა და ხალხს.



ტაძარი 1835 წელს არის აგებული, 1990 წელს კი, იაკობ გოგებაშვილის სახლ-მუზეუმთან ერთად, ისიც აღადგინეს.

გვიამბობს ბატონი ვაჟა კოკაური, რომელიც ოთხი ათეული წელი ხელმძღვანელობდა ამ

სახლ-მუზეუმს: „გადმოცემით გამიგია, რომ 28 აგვისტოს, მიძინების დღესასწაულზე, აქ დღეობა იმართებოდა, მართალია, კომუნისტებმა შემდეგ 7 ნოემბერი დაწესეს, მაგრამ ვარიანელები მარიამობას მაიც აღნიშნავდნენ.

ასეთი ამბავიც გამიგონია: ერთ-ერთი თავდასხმის დროს ლექებმა ტაძრიდან სხვა სიმღიდოესთან ერთად ხატიც გაიტაცეს. ვის ოჯახშიც შესულა, ძალიან ცუდად წასვლია საქმე. ერთ ლეკს დასიზმრებია, რომ ხატი დაბრუნებას ითხოვდა, თანაც მოზვერის რქებზე უნდა დაემავრებინათ და ისე გამოისტუმრებინათ. ასეც მოიქცინებ. იარა ხარბა, იარა და მოვიდა აქ, ტაძრის ეზოში. ერთი დაიძღვლა, დაეცა და მოკვდა. ჩამოხსნეს ხატი და ტაძარში მიაბრძანეს“.

მამა – სვიმონი – მღვდელი იყო. სვიმონს სურდა, რომ შვილებიც სასულიერო პირები გამოსულიყვნენ, იაკობი კი დედასაც და მამასაც ბერად წარმოედგინათ. მართალია, იაკობი ძალიან სუსტი ბავშვი იყო, მაგრამ მეტად ჭკვიანი, გამჭრიახი და მკვირცხლი გონება პქონდა. უამრავ ლოცვას, ლექსეა და საგალობელს ადვილად ითვისებდა. თანატოლებს იაკობი ძლიერ უყვარდათ, რადგან ყოველთვის ნაირ-ნაირ მოთხოვნებსა და ლექსებს უყვებოდა. მამისაგან სიმღერის ნიჭიც დაჰყვა. პატარა იაკობს ძალიან იზიდავდა სოფლის ბუნება. იგი საათობით აკვირდებოდა სხვადასხვა ყვავილებს, ცხოველებს, ანკარა მდინარეში მოფართხალე თევზებს. ალაბათ ამიტომაც შესძლო შემდგომში იაკობმა, ასე საინტერესოდ აღეწერა ეს მშვენიერი სამყარო „ბუნების კარში“.

მაშინდელ დროში სოფლად სკოლები არ იყო, ბავშვებს წერა-კითხვას შინ ასწავლიდნენ ხოლმე. მაგრამ იაკობი იმდენად ნიჭიერი ბავშვი აღმოჩნდა, რომ ოჯახმა იგი ქალაქ გორში ჩაიყვანა და სასულიერო სასწავლებელში მიაბარა. იაკობი მეტად ბეჯითი მოსწავლე გამოდგა, იგი ძალიან ბევრს მეცადინეობდა და

მაღლე საუკეთესო მოწაფე გახდა. იაკობს ძალიან აინტერესებდა საქართველოს ისტორია და ლიტერატურა, ბევრს კითხულობდა, ეცნობოდა საეკლესიო ისტორიასა და საღვთისმეტყველო წიგნებს. შემდგომში ეს ცოდნა მას დაეხმარა, ბავშვებისათვის მათვის გასაგებ ენაზე, დაეწერა საღმრთო ისტორია.

სკოლის დამთავრების შემდეგ, 1855 წელს იაკობი თბილისის სასულიერო სემინარიაში შევიდა, მაგრამ არც ამით დაკაფიფილდა და 1861 წელს სწავლის გასაგრძელებლად კიევში გაემგზავრა, სადაც სასულიერო აკადემიაში ჩააბარა. პარალელურად უნივერსიტეტში საბუნებისმეტყველო დისციპლინებში ისმენდა ღერებიებს. კიევში მას შესაძლებლობა მიეცა, თანამედროვე მეცნიერების, პედაგოგიკის, საზოგადო მოღვაწეების შრომებს გასცნობოდა. მაგრამ კიევის პავამ ისედაც სუსტი ჯანმრთელობის იაკობზე კიდევ უფრო ცუდად იმოქმედა და იგი ტუბერკულოზით დაავადდა. ექიმის დაუინებული მოთხოვნით, იაკობი იძულებული გახდა მესამე კურსი მიეტოვებინა, 1863 წელს სამშობლოში დაბრუნებულიყო.

1864 წელს გოგებაშვილი თბილისის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებლად,

ხოლო 1868 წელს მის ინსპექტორად დაინიშნა. იაკობ გოგებაშვილის მოღვაწეობის პერიოდში საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენელი ნაწილი იყო და ყველაფერი ქართული იდევნებოდა. სკოლებში ქართული ენის ხსენებაც კი აკრძალული იყო, არისტოკრატიას ქართულად ხმის ამოღება ერცხვინებოდა, ინტელიგენცია რუსულად აზროვნებდა, ქართული ენის შესასწავლად ორგვერდიანი ნაბეჭდი ანბანი არსებობდა, ისტორიასა და გეოგრაფიას ვინდა ჩიოდა. სკოლაში ძალიან მკაცრი და უსამართლო წესები ჰქონდათ. მოსწავლეთა წკეპლით ცემა, მუხლებზე დაყენება ჩვეულებრივი ამბავი იყო.

იაკობ გოგებაშვილი აქტიურად ჩაება ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, რომელსაც ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი მეთაურობდნენ. იაკობი მაშინვე შეუდგა ძველი ჩვევების აღმოფხვრას: სემინარიის გამგეობას სწავლის პროცესის მთლიანად გარდაქმნის პროექტიც წარუდგინა, სრულიად გააუქმა დასჯა.

1865 წელს გამოვიდა ი. გოგებაშვილის „ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის“;





1868 – „ბუნების კარი“;  
 1872 – „დარიგება მოსწავლეთათვის, თუ როგორ უნდა წაიყვანოს სწავლება წერა-კითხვისა ქართულ ანბანში“;  
 1876 წელს პირველად გამოიცა „დედა ენა“. „დედა მნა“ გოგებაშვილის სიცოცხლეში 33-ჯერ გამოიცა, გარდაცვალების შემდეგ 25-ჯერ. „დედა ენას“ „ვეფხისტყაოსნის“ ბადალი უწოდეს, რადგან ხალხისათვის ყველაზე საყვარელი და პოპულარული წიგნი გახდა. გოგებაშვილის წიგნები ათი ათასობით ვრცელდებოდა. ყოველწლიურად 20-25 ათასი „დედა ენა“ და 5-6 ათასი „ბუნების კარი“ იყიდებოდა. ამ წიგნებმა დაუდო საფუძველი განათლების ფართოდ გავრცელებას.

გოგებაშვილის პროგრესული პედაგოგიური მოღვაწეობამ სინოდისა და მეფის ხელისუფალთა უკმაყოფილება გამოიწვია. იაკობი “საზოგადოებრივი სამსახურისთვის არაკეთილსამედო პირად” გამოაცხადეს და 1874 წელს სასწავლებლიდან ისე გააძევეს, თავის მართლების საშუალებაც არ მისცეს. სასოწარკვეთილი თვითმეცნიელობიდან

ბედნიერმა შემთხვევამ გადაარჩინა. მმიმე ავალმყოფი, სახელმწიფო ბინიდან გამოგდებული მეგობარს შეეფარა. მაშინ დაწვა ყველა ოფიციალური საბუთი, სემინარიის ატესტატი, აკადემიაში სწავლის მოწმობა და ფიცი დადო: “ამიერიდან მთელი ჩემი სიცოცხლე, ძალა და ღონე ჩემს ქვეყანას უნდა მოვახმარო”.

ამის შემდეგ, გოგებაშვილი სახელმწიფო სამსახურში აღარ შესულა და მთელი სიცოცხლე საზოგადო მოღვაწეობას მიუძღვნა. უსამსახურომ, უბინაომ, უფულომ მრავალი განსაცდელი გამოარა, მაგრამ მიზნისათვის არ უღალატია.

იაკობ გოგებაშვილი თავისი წიგნების შემოსავლიდან დიდ დახმარებას უწევდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსებას, იყო ამ საზოგადოების გამგეობის აქტიური წევრი (1879 წლიდან). იაკობ გოგებაშვილი თავისი წიგნების შემოსავლიდან დიდ დახმარებას უწევდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“, ერთხელ მთელი მიღებული თანხა – ცამეტი ათასი მანეთი – მთლიანად გადასცა საზოგადოებას და თავისთვის არაფერი დაიტოვა. მის თანამედროვეთა თქმით, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ მისი მეორე ოჯახი იყო. საკუთარი ოჯახი კი იაკობს არ ჰყავდა. მან თავი მთლიანად თავის ქვეყანას მიუძღვნა.

არ ყოფილა არც ერთი ეროვნული საქმე, რომ იაკობს სიტყვით თუ ფულით აქტიური მონაწილეობა არ მოეღო. ეს იყო ზეპირსიტყვიერების შეგროვება, საბავშვო ურნალების გამოცემა, ხალხური სიმღერების ნოტებზე გადატანა, სასოფლო-სამეურნეო სკოლის, ბიბლიოთეკების დაარსება.

გოგებაშვილმა კარგად იცოდა, რომ მხოლოდ წიგნით ვერ შეძლებდა ერის განათლებას. იგი იბრძოდა სახალხო სკოლების შექმნა-დამკვიდრებისათვის საქართველოში. იცავდა რეალური განათლების უპირატესობას ფორმალურთან შედარებით. იაკობი არ იშურებდა სახსრებს სახალხო განათლებისათვის; იგი მატერიალურად ეხმარებოდა დარიბ

მოსწავლებს, ბევრ მათგანს თვითონ უხდიდა სწავლის ფულს. სისტემატურად უგზავნიდა ფულს რუსეთსა და საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლე ქართველ სტუდენტებს, ციმბირში გადასახლებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოღვაწეებს. ბევრმა მისი შუამდგომლობით სტიპენდია მიიღო, მათ შორის იყვნენ შემდგომში გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორები ზაქარია ფალიაშვილი და დიმიტრი არაყიშვილი. ამ დროს კი თვითონ საკმაოდ მოკრძალებულად ცხოვრობდა, ყოფილა დრო, როცა ბინის ქირის გადასახადიც ვერ გადაუხდია და მეგობრებს შეუფარებიათ.

განსაკუთრებით დიდი ღვაწლი დასდო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსებასა და საქმიანობას.

სიკვდილის წინ, 1912 წელს ანდერძი დაწერა და მთელი ქონება ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას დაუტოვა. შავი დღისთვის გადანახული ფული გაანაწილა და ათ-ათი თუმანი გადასცა ქართველთა, სომებთა და მაკადიანთა საზოგადოებებს, ვარიანის სახლი თანასოფლელებს უანდერძა, სადაც სკოლა გაიხსნა.



იაკობ გოგებაშვილმა 1900 წელს, ვარიანში, საკუთარი სახლის ერთ ოთახში გახსნა პირველი ორკლასიანი სკოლა, სადაც სასკოლო ავეჯი, წიგნები რვეულები და ყველა ის ნივთი რაც კი სჭირდებოდათ იმ დროს სასწავლებლად იაკობმა საკუთარი სახსრებით შეიძინა და გამოუგზავნა ამ სკოლას.

ამ სკოლაში ვარიანელი გლეხის შვილები სწავლობდნენ.



\* \* \*

გოგებაშვილს კალამიც კარგად უჭრიდა. ვისაც ქართული ენის, ქართული მწიგნობრობის ღალატს შეატყობდა, მეზივით დაატყდებოდა თავზე. საოცარი გაშმაგებით ებრძოდა იანოვსკის, ქართველთა დაუძინებელ მტერს, აშორდიებსა და მისთანებს, რუსების ჩაგონებით სამეგრელოდან ქართული ენის გამოდევნა რომ მოინდომეს. თვითონ ხომ პასუხს გასცემდა, ილიასაც მიეჭრებოდა ხოლმე: “გაგვიძეხ, ბერო მინდიავ, კარს საფრთხე მოგვდგომიაო!” რუსული ბიუროკრატისა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ შეუპოვარ მებრძოლებს ილიას, აკაკისა თუ გოგებაშვილს სიტყვა არ დასცდენიათ რუსული კულტურისა და ენის სწავლების საწინააღმდევოდ. პირიქით, იაკობმა 1887 წელს შეადგინა “რუსკოე სლოვო”, რომელიც დიდხანს ემსახურებოდა ქართველ ახალგაზრდებს.

გოგებაშვილის მოთხრობებში დიდაქტიკური ელემენტი ორგანულად ერწყმის მხატვრულ რეალიზმს. გოგებაშვილის მხატვრული შემოქმედების ძირითადი წყაროა ქართული ფოლკლორი. ქართული ხალხური ანდაზების საფუძველზე შექმნილი მოთხრობები „ქურდი და მამალი“, „მერცხალი და მეცხვარე“, „ცხვარი და მარტი“ და სხვა. მოთხრობები „დევნილი მეგობარი“, „ბეღურა“, „ლომი“, „მერცხალი“, „აქლემი“, „ორაგულის ცხოვრება“, „ნამი“, „ცისარტყელა“ და სხვა. ბავშვებს აცნობს ფრინველთა და ცხოველთა სამყაროს; ისტორიულ თემაზე დაწერილი მოთხრობები „ასპინძის ომი“, „იოთამ ზედგენიძე“, „ერეკლე მეფე და ინგილო ქალი“, „ცოტნე დადიანი“, „თავდადებული მღვდელი თევდორე“, „სხივი წარსულისა“, „სამასი თავდადებული გლეხი“ და სხვა.

მოზარდებს სამშობლოსათვის თავდადებასა და სიყვარულს შთააგონებს, ცნობილი მოთხრობა „იავნანამ რა ჰქნა“ (1890) ჰუმანიზმს, პატრიოტიზმს, ხალხთა მეგობრობას ქადაგებს. 1910 წელს გამოვიდა მწერლის რჩეულ პედაგოგიკის და პუბლიცისტურ თხზულებათა ერთტომეული. თავისი საბავშვო მოთხრობებით და კრიტიკული მიმოხილვებით გოგებაშვილმა დიდი ამაგი დასდო საყმაწვილო უურნალებს „ნობათს“, „ჯეჯილსა“ და „ნაკადულს“.

## ფილიპე გოგიჩაიშვილი



i akob  
gogebeSvi | i

იაკობ გოგებაშვილს მე პირადად ვიცნობდი მისი სიცოცხლის უკანასკნელი 11 წლის განმავლობაში და ვიცნობდი, შეიძლება ითქვას, ახლოს: ვხვდებოდი ხშირად, ხშირი მსვლელობა მქონდა მასთან, მასაც – ჩემს ოჯახში და ჩემს ახლობლებთან, – ნიკოლოზ ცხვედაძის სიყრმის მეგობარი იყო, – გვქონდა ერთმანეთთან ახლო დამოკიდებულება, მისი ერთ ერთი ნების ამსრულებელიც ვიყავი, სიკვდილის დროსაც თავს ვადექი.

იგი განუწყვეტელი ბრძოლის მიუხედავად, რომელსაც იგი მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში ეწეოდა, თვითმპყრობელობის ბიუროკრატიასთან ქართული ენისა და ერთს დასაცავად, თავისი ცხოვრების წესით „კაბინეტის კაცს“ წარმოადგენდა, ოთხ კედელს შუა იყო გამომწყვდეული და მისი ცხოვრება მოკლებული იყო გარეგან ეფექტებს. ამიტომაც მეც ვერ მოგითხრობთ აქ ასეთებს.

იაკობი განდეგილად ცხოვრობდა, განმარტოებულად, უოჯახოდ, უცოლშვილოდ. ამის მთავარი მიზეზი იყო, რამდენადაც ვიცი, მისი ავალებულობა; იგი ახალგაზრდობილანვე ჭლექით იყო დაავადებული და ამიტომ მან ნება არ მისცა თავის თავს ცოლშვილისათვის მოეკიდნა ხელი, დასძლია სიყვარული, რომელიც, როგორც გამიგია, ერთ დროს უღვივოდა ერთი ჩინებული ახალგაზრდა ქართველი ქალის მიმართ.

ასეთმა, ჭლექით დაავადებულმა კაცმა 72 წელიწადს იცოცხლა და მაშინაც, როცა მოკვდა, ჭლექისაგან არ მომკვდარა. და ეს მოხდა იმის



მეობებით, რომ იაკობმა გასაოცრად იცოდა თავის მოკვდა. თავის დღეში იგი მცირეოდენ უწესრიგობასაც კი არ შეიტანდა არც ჭამა-სმაში, არც გართობაში, არც სეირნობაში, არც მოსვენებაში, არც ამინდის გაფრთხილებაში. საარაკოდ იყო გადაქცეული მისი კალოშები, ქლება, თბილი პალტო და პლედი. კარგ დარშიაც კი უკალოშოდ არ გავიდოდა ქუჩაში – იქნებ გაავდრდესო. როგორც კი ამინდს მცირეოდენ არევა შეემჩნეოდა, მაშინვე შინ დაბრუნდებოდა. ორპირ ქარს თოფივით ერიდებოდა. და არა თუ ეს, თავის ბინაში არასოდეს იმ თახში არ გაჩერდებოდა, სადაც ფანჯარა ჰქონდა ღია. აბა რამდენჯერ გყოფილვარ მასთან და არასოდეს არ მინახავს, რომ იგი ფანჯარალია თოახში ყოფილიყოს დამჯდარი. მხოლოდ ერთხელ ვიყავ მოწმე, რომ ამ წესს უღალატა: ზაფხულში, სრულიად წყნარ ამინდში, კარი გააღო აივნისაკენ და

**ფილიპე გოგიჩაიშვილი** – (20.I.1872, ლანჩჩუთი – 29.III.1950, თბილისი) – ექიმი, მწერალი, ეკონომისტი, პუბლიცისტი, კრიტიკოსი.

ესეც მოხდა მხოლოდ სტუმრების ხათრით: სადილად ვყავდით დაპატიუებული რამდენიმე კაცი (ნიკ. ღოღობერიძე, ნიკ. ცხვედაძე, არტ. ლაისტი, ნიკ. ლომოური მასაც რომ იწვევდი, უეჭველად ყურადღება უნდა მიგვექცია კარებისა და ფანჯრებისათვის, ყოველ შემთხვევაში ორპირი ქარი არასგზით არ უნდა მოხველოდა. აგრეთვე ოთახში, თუ ზამთარი იყო, სითბოს ნაკლებობა არ უნდა ყოფილიყო, ვინც ამას არ შეუსრულებდა, მეორეხელ აღარ ეწვეოდა და არც დაუმალავდა: „რა ვქნა, სიამოვნებით გეწვევოდი, მაგრამ მეშინიან – გამაციებთო“. ისე კი საერთოდ არ უყვარდა წვეულებაში ან სტუმრად წასვლა. ერთხანს ქართულ თეატრში სიარულსაც კი დაანება თავი ამის მიზეზით. ეს ასე მოხდა: ქართული თეატრის შენობა (არწრუნისეულ ქარვასლაში) თავადაზნაურობამ გადაკეთა, მაგრამ ეს გადაკეთებული შენობა, როგორც ი. გოგებაშვილი წერდა ერთხელ, „რაღაც დევერხანა გამოდგა, წარმოდგენის დროს ქარი ისე ქშუტუნობდა, როგორც დიღმის მინდორში, და აფრთხობდა საზოგადოებას“. ყოველ შემთხვევაში იაკობის დასაფრთხობად ეს ქშუტუნი სრულიად საკმარისი იყო, და იგი აბონემენტს რეგულარულად იღებდა, მაგრამ წარმოდგენებს გაციების შიშით იშვიათად ესწრებოდა.

მგონია იმავე ავადმყოფობით უნდა ყოფილიყოს გამოწვეული, რომ ი. გოგებაშვილი ძალიან მგრძნობიერი და ფიცხი ადამიანი იყო: ისეთ რამეს იწყენდა, რასაც სხვა ყურადღებას არ მიაქცევდა ან ნაკლებ მიაქცევდა. მახსოვს მაგალითად, ასეთი ამბავი.

1904 წელს ი. გოგებაშვილის ბიოგრაფია დაგეხმდე კალენდარში. დაბეჭდვამდე გადავიკითხე, სხვათა შორის, მისი სტატიები – ზოგი ხელახლა, ზოგი პირველად – სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში, რათა გერმანული „საფუძვლიანობის“ პრინციპისათვის არ მეღალატნა: მაშინ მე გერმანიიდან ახლადდაბრუნებული გახლდით. გერმანულად განსწავლული, ბიუხერის მოწაფე. და შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, როგორ „სახტად დავრჩი“, როდესაც იაკობის ერთ-ერთ სტატიაში ასეთი სტრიქონები წავიკითხე: „შენიშნულია

ხალხისაგან, რომ სამი მომკალით და პოოპუნით მომუშავე, იმდენს გააკეთებს, რის გაკეთებაც ხუთს ცალცალკე მუშას გაუმნელდება, რად? იმიტომ, რომ აყოლის დროს ადამიანების მოძრაობა მეორდება თითქმის თავისთავად. მხედველობას ეშველება სმენა და ორივე გრძნობანი შეერთებული ძალით ამოქმედებენ ადამიანის ასოებსა; – საერთო მუშაობა, ერთს ყაიდაზე მომართული, აქეზებს, ამხნევებს მომუშავეთა, ართობს მათ და დაღლილობას გვიან პგვრის. ასე სასიკეთოდ მოქმედებს ტაქტი დიდებზედაც და პატარებზედაც“. უნდა გამოვტყდე, მაშინ კი ვთქვი: რა ღრმა შინაარსი ყოფილა ქართულ ანდაზაში, რომელიც ამბობს „შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო“! ის აზრი, რაზედაც ჩემმა ბიუხერმა მთელი წიგნი ააგო. იაკობს აგურ აქვს სხარტად გამოთქმული მეთქი.

მაგრამ ეს – სხვათა შორის. დაგეხმდე ეს ბიოგრაფია, სურათით. წიგნი გამოვიდა, მაგრამ, ვხედავ, იაკობი შემომწყრა: პირს მარიდებს, სალამს არ მაძლევს, არ მელაპარაკება. ვერ გამეგო, რა იწყინა ან რამ აწყინა. რამდენიმე კვირის შემდეგ გამოირკვა ჩემი დანაშაული. იაკობმა თურმე ის იწყეინა, რომ მე მისი ბიოგრაფია იმ შრიფტით კი არ დავბეჭდე, როგორც ილიასი, აკაკისა, ყიფიანის და სხვების ბიოგრაფია, არამედ უფრო წვრილი შრიფტით. საქმე ის არის, რომ იაკობის ბიოგრაფია მოცულობით, სხვებთან შედარებით, უფრო დიდი გამოვიდა, და რომ ერთგვარი სიმეტრია დამეცვა, იგი უფრო წვრილი შრიფტით ავაწყობინე სტამბას. რა ვიცოდი, რომ ეს მის რისხვას გამოიწვევდა. პეტრე უმიკაშვილმა კი მითხრა მაშინ დაუფარავად: „ასეთი დოყლაპიობა როგორ მოგივიდა იმერელ კაცს, როგორ არ იცოდი, რომ იაკობთან, არა თუ ეს, ღვთის წყალობაც სიფრთხილითაა სათქმელიო“.

გოგებაშვილი მთელს ქართველობაში ერთადერთი ადამიანი იყო, რომელიც ახალგაზრდობის შემდეგ სამსახურში არ შესულა და მხოლოდ თავისი ნაწერების პონორარით ცხოვრობდა. მისი ცხოვრების წყარო იყო ის შემოსავალი, რომელსაც მას აძლევდა უმთავრესად მისი სამი



წელიწადში შემოსავალიო. ჩემი დაკვირვება კი იმას ამბობს, რომ მისი შემოსავალი ექვესას თუმანზე მეტი არ უნდა ყოფილიყოს წელიწადში. ყოველ შემთხვევაში, ცხრაასი იყო თუ ექვესასი, ყოველ ეჭვს გარეშე, რომ თვითონ იგი ამ შემოსავლის ნახევარზე მეტს არ ხარჯავდა თავის თავზე. ძალიან საღად და უბრალოდ ცხოვრობდა: ეჭირა პატარა ბინა, — მართალია, ძალიან ნათელი და მზიანი, — რომელშიაც მხოლოდ ერთი ოთახი იყო მოზრდილი, დანარჩენი ორი — საწოლი და სამუშაო ოთახი — პატარა იყო. ჰყავდა ერთი მოსამსახურე და ჭამა-სმის ხარჯებშიაც ძალიან ზომიერი იყო.

თავის შემოსავლის, სულ ცოტა, ნახევარს ი. გოგებაშვილი საქველმოქმედო საქმებზე ხარჯავდა. უმთავრესად მოსწავლე ახალგაზრდობას აძლევდა შემწეობად. იშვიათად გამოზრდილა იმ დროში საშუალო და უმაღლეს სასწავლებელში ისეთი ხელმოკლე ახალგაზრდა ქართველი, რომელსაც თა-

სახელმძღვანელო: „დედა-ენა“, „ბუნების კარი“ და «Русское слово» და ეს წყარო გაცილებით უფრო დიდი იქნებოდა, ი. გოგებაშვილი რომ დათანხმებულიყო ამ სახელმძღვანელოების ცოტაოდნავ გაძირებაზე, ფასის გადიდებაზე. მაგრამ იგი ამას ყოველი საშუალებით ერიდებოდა. მაგალითად, ერთ დროს მან, „დედა-ენის“ პარალელურად, ქართული წერის „დედანი“ გამოსცა, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ იგი მალე გასაღდა, მან მისი გამოცემა აღარ განაახლა: ის „დედანი“ შემოკლებული სახით „დედა-ენაში“ შეიტანა და იმავე დროს „დედა-ენის“ ფასი არ გაუდიდებია. ცალკე „დედნის“ გამოცემაზე ხელის აღებას ი. გოგებაშვილი ასე წნიდა: „დედანი“ ღირდა ექვს შაურად, ყდით ჯდებოდა ორ აბაზად. „დედა-ენაშიაც“ ამდენივე უნდა მიეცათ მოსწავლეებს. ოთხი აბაზის გაღება კი ჩვენი ღარიბი ხალხისათვის სამძიმო იყო. ამიტომ იგი მინიმალურ ფასს ადებდა თავის სახელმძღვანელოებს, რის გამო შემოსავალსაც გაცილებით იმაზე ნაკლებს იღებდა, რისი მიღებაც შეეძლო ნამდვილად.

ღუარსაბ ბოკვაძე ი. გოგებაშვილის ახლობელი კაცი იყო, თუ მეხსიერება არ მღალატობს, იაკობის გარდაცვალების ხანებში ერთ-ერთ თავის წერილში ამბობდა, რომ იაკობს ცხრაას თუმნამდე ჰქონდა



ვის მიმართ, ამათუიმ გზით, ყურადღება დაემსახურებინოს და რომლისათვის ი. გოგებაშვილს, აშკარად ან ფარულად, ერთდროულად ან სისტემატურად, დახმარება არ მიეცეს. იგი ყოველთვის ჰქონებდა ცნობებს ასეთი ახალგაზრდების შესახებ და გარდა ამისა, რომ თვითონ უგზავნიდა შემწეობას, თავის ნაცნობ-მეგობრებს, ცეცხლს უნთებდა მათვის სტიპენდიის გასაჩენად ან სისტემატური დახმარების დასანიშნავად.

რასაკვირველია, ყოველთვის არ უმართლებდნენ მას იმედებს ის ახალგაზრდები, რომლებსაც იგი მფარველობდა. და არც გასაკვირია, ვინაიდან იგი სხვებისაგან მიღებულ ცნობებს ეყრდნობოდა და თვითონ პირადად არც კი იცნობდა იმ ახალგაზრდებს. მაგალითად მახსოვს ასეთი ამბავი. პირველი რევოლუციის ხანებში ი. გოგებაშვილმა დიდი მფარველობა დაუწყო — ისევ სხვების ცნობების საფუძველზე — ერთ საშუალო სასწავლებლის კურსის დამსრულებელ მოწაფეს: აქებენო, სწავლა უნდაო, ქართულის სპეციალისტი გამოვაო, საშუალება მივცეთ უნივერსიტეტში წასასვლელადო, იქნებ საზღვარგარეთაცო. იმდენი უჩიჩინა ყველას, იმდენი ცეცხლი დაანთო ამის ირგვლივ, რომ თავისი გაიტანა: მოხერხდა იმ ყმაშვილის გაგზავნა სასწავლებელში.

განვლო რამდენიმე წელიწადმა; ბევრი არა გაგვიგია რა მის შესახებ სწავლის დროს, სულ არაფერი — სწავლის დასრულების შემდეგ. ამასობაში ი. გოგებაშვილიც გარდაიცვალა, რომელსაც აგრეთვე თავის სიცოცხლეში არა გაუგია რა თავისი „პროტეზეს“ შესახებ. განვლო კიდევ მრავალმა წელმა. ერთ საღამოს არტურ ლაისტი შემოდის ჩემთან სამასლაათოდ და ძველი ამბების მოგონებაში გულის გადასაყოლებლად. გავერთეთ მოგონებებში: მასალა ყოველ შეხვედრისას ბევრი გვქონდა. 30 წლის ნაცნობობა გვქონდა ერთმანეთის. უცებ ლაისტი შეჩერდა, მომაჩერდა და მეუბნება:

— იცით, რას გეტყვით?

— ?

— გახსოვთ ი. გოგებაშვილის „პროტეზე“ახალგაზრდა, რომლის სასწავლებელში გამგზავრების გამო იმდენი ლაპარაკი იყო თავის დროზე და მის მასწავლებელ სპეციალისტსაც რომ წერილებს ვწერდით აქედან?

— ძალიან კარგად.

— ახლა მეორე კითხვა. გინახავთ ვერის ხიდთან კონკებში გახვეული დედაბერი რომ მათხოვრობს და ასე გაპკივის: „ლვთისმშობელი შეგიბრალებთ, — შემიბრალეთ. გამკითხეთო?“

— როგორ არა, თითქმის ყოველდღე.

— ჟო და — ეს დედაბაცი იმ ახალგაზრდის მამიდა ყოფილა; ყოველ დილას გამოაგდებს თურმე ამ მამიდას სახლიდან: წადი, იმათხოვრე, მოინაგრე და შინ მოიტანეო. დედაბაცი მოდის იმ ადგილას, ზოგჯერ ზემელთან რომ ტრამვაი ჩერდება, იქაც ამოდის, გულის მომწველად გაპკივის, აგროვებს სამოწყალოს და საღამოს შინ ბრუნდება ნამათხოვრალით.

ეს უკანასკნელი ამბავი ი. გოგებაშვილის სიცოცხლეში არ ყოფილა. მაგრამ რომც ყოფილიყო იგი მაიც მის რწმენას ოდნავაც ვერ შეარყევდა. სწავლა-განათლება მას ჩვენი წარმატების ფუძედ და გაკეთილშობილების საშუალებად მიაჩნდა და ამაში მას ვერ დააეჭვებდა ვერავითარი კერძო შემთხვევა. სწავლა-განათლება, დედა-ენა, ეროვნება, სამშობლოსადმი სიყვარული, მამულიშვილობა

— ყველა ეს მისთვის იყო არა უბრალო იდეური პრინციპები, არამედ სულიერი არსებობის პრინციპები, რომლებითაც იგი სუნთქვადა და რომელთა გარეშე მას პირადი ცხოვრება არ ჰქონდა. ამ სფეროში იყო მუდამ მისი აზრი და გონება გართული, მასთან იყო მთელი მისი არსება შეზრდილი და შესისხლხორცებული იმგვარად, რომ თავისი პირადი „მ ე“, თითქოს არც ჰქონდა იქიდან გამოცალებებული. ეს იყო მისი სიმძიდრეც და სიღარიბეც. ლაპარაკი, მსჯელობა, აზროვნება მხოლოდ ამ საგნებზე ეხერხებოდა სიყვარულით, ხალისითა და გატაცებით. ეს იყო მისთვის ცოლშვილიც, ოჯახიც, გართობაც, პირადი ცხოვრებაც, ის არავის უნახავს თავის დღეში არც მოთამაშე, არც

მოქეთევე, არც საზოგადოებაში გამრთობი, არც პირადი ხასიათის საქმით დაინტერესებული. მთელი მისი გულისყური იმ იერიშის მოგერიებისაკენ იყო მიმართული, რომელიც ცარიზმის ხელისუფლებას განუწყვეტლივ მოპქონდა საქართველოს საარსებო ეროვნულ ფუძეებზე. და აქ ო. გოგებაშვილს ზოგჯერ ისეთ რამეზე უხდებოდა დარღი და ზრუნვა, რაც დღეს იქნებ სასაცილოდ ჩანდეს, მაგრამ მაშინ როდი იყო აზრს მოკლებული.

მაგალითად, მახსოვს ასეთი ამბავი, 1904 წელს გაზეთებში დაიბეჭდა ცნობა: სინოდს განზრახვა აქვს საქართველოს ექსარხოსის ადგილი გააუქმოს და ნაცვლად ამისა ბაქოს სამიტროპოლიტო დააწესოს. იმავე დღეს ო. გოგებაშვილი მეძახის და მეკითხება:

- წაიკითხე?
- რა?
- რომ საექსარხოსოს აუქმებენ?
- წინ წყალი, უკან მეწყერო!

— ასე იყოს, მაგრამ ჩვენ ამით რას მოვიგებთ? ისევ სჯობდა ეგ ოხერი აქ გდებულიყო, „საქართველოს ექსარხოსი“ მაინც ერქვა, ახლა აქაც მოისპობა საქართველოს სახელი.

და ო. გოგებაშვილის გულისწუხილი გასაგები იქნება, თუ გაიხსენებთ, რომ ეს ის დრო იყო, როცა ცარიზმის ხელისუფლება საქართველოს ძეგლებზე წარწერებს ფხევდა, ქართულ გვარებს მეტრიკებში და მეტრიკების გარეშეც რუსულ გვარებად აკეთებდა, ადგილებს რუსულ სახელებს აძლევდა, საქართველოს „ყოფილი საქართველოს“ სახელწოდებით იხსენიებდა და ქართველებს სახელად „ტუზემცებს“ გვემახდა, და თუ საქართველო მხოლოდ წარსულში არსებობდა, თუ ქართველი „ტუზემცად“ იყო გადაქცეული, ო. გოგებაშვილს როგორდა უნდა დაეცვა და ვისთვისდა უნდა დაეცვა ქართული ენა?

გოგებაშვილის პიროვნების გასაგებად, აღნიშნულის გარდა, მგონია, ის გარემოებაც არის მხედველობაში მისაღები, რომ იგი მეტისმეტად მგრძნობიარე ნერვული სისტემის პატრონი იყო და ყოველ უსიამოვნებასა და წყენას ძალიან მწვავედ განიცდიდა. იყვნენ ჩვენში ზოგნი ისეთები, რომელიც პირს უკან ლაპარაკობდნენ. რა გასაკვირია იაკობი

გოგებაშვილი თავის სახელმძღვანელოებს იცავდეს მთავრობისა და სხვა ავტორების წინაშე, — ამით იგი თავის შემოსავალს იცავსო. რამდენჯერ უთქვამს მას ამის საპასუხოდ: „პირუტყვის სხვაც პირუტყვი პგონიაო“. თვითონ იგი, მაგალითად, ასე ათავებდა ერთ თავის სტატიას კორხანიდის სახელმძღვანელოს წინააღმდეგ: „მე იმედი მქონდა, რომ ჩემს ადგილს შემდეგ ქართულს სკოლებში დაიჭრდა ქართველი პედაგოგი, რომელიც შეადგენდა უკეთეს სახელმძღვანელოებს ქართულისას და რუსულისას, ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულს, და ხალხის განათლებას წინ გადაადგმევინებდა ნაბიჯსა. ლამის ეს იმედი გამიცრუვდეს, და ჩვენს სკოლაში შემოგვეჭრნენ მუნჯი უცხონი და გაამფონ მასში უკიდურესი, პოლიტიკანობა, — ქართული ყველაფერი გაქრეს და სახალხო სკოლა გახდეს კერად გონების დახშვისა და სიბნელისა“.

განსაკუთრებით ულმობელი იყო იაკობ გოგებაშვილი იმ მოხელეების მიმართ, რომელნიც „ქართულის გაქრობას“ გზას უკაფავდნენ სკოლებში და უპირატესად, როდესაც ასეთ მოხელეებში ქართველები გამოერონენ, ამ შემთხვევაში ო. გოგებაშვილის რისხვას საზღვარი არ ჰქონდა და ვერავითარ საშეღავათო გარემოებაზე მითითებას მას ვერ გააგონებდით. ასეთი ქართველი, თუგინდ სხვაფრივ დამსახურებულიც ყოფილიყო, მტერი იყო ხალხისაც და მისიც. ასეთი ბრალი დაედო ერთ დროს ისტორიკოსს თ. უორდანიას. სამრევლო სკოლების მეთვალყურედ იყო დანიშნული და, ადგილის დაკარგვის შიშით, კოსტორგოვს დაემორჩილა და მისი პოლიტიკის გატარება იწყო სამეგრელოს სკოლებში. იმ ხანებში მეც მომიხდა ამის გამო უსიამოვნო წერილების წერა თ. უორდანიას შესახებ, რომელიც ჩემი ყოფილი მასწავლებელი იყო, რომ შევხდით ერთმანეთს, პირველად ეს მომახალა იაკობმა:

- მადლობა ღმერთს, რომ მიხვდი და დაინახე იმ არამზადას მოღალატეობა!
- პო, მაგრამ, — ვეუბნები, — რაღაც უბედურებაა იმ კაცის თავზე, თორემ ისე აბა როგორ უნდა დავიჯეროთ, რომ გულით



იგი ღალატობდეს ქართულ ენასა და კულტურას, როდესაც მას ამდენი უმუშავნია ამ კულტურისათვის!

— რას ამბობ, რას! განა ეს რამეს ამტკიცებს? რამდენი ექიმია, რომ თავის ლაპორატორიაში სულ მუდამ ხელს ურევს განავალში. მერე რა, — უყვარს მას ეს განავალი? ეეჲ, თქვა რუქამ არაკი! — ხელი ჩაიქნია და გამშორდა.

იაკობი ძალიან ფიცხი იყო როგორც პირადს ურთიერთობაში, ისე პოლემიკაშიც, მაგრამ საკვირველია: ეს სიფიცხე იშვიათად სტოვებდა უქმაყოფილების კვალს, ვინაიდან ყველამ იცოდა, რომ ი. გოგებაშვილი ყოველთვის გულწრფელი იყო, შეცდომაშიც და ჭეშმარიტებაშიც, და ყველა პატივსცემდა ამ გულწრფელობისა და პირდაპირობისათვის. აბა აკაკი სიტყვას ვის შეარჩენდა ან წწარე და გესლიან სიტყვაში ვის ჩამოუვარდებოდა, მაგრამ ი. გოგებაშვილის წყენინებას ერიდებოდა. მაგალითად, 1894 წელს ი. გოგებაშვილი საგრამატიკო პოლემიკაში გაერთო. ამ პოლემიკაში აკაკიც ჩაერთა, მაგრამ მალე კამათზე ხელი აიღო და განაცხადა: მე ი. გოგებაშვილს მეტისმეტად პატივს ვცემ და არ მინდა ცხარე კამათით ჩრდილი მივაყენო ჩვენს დამოკიდებულებასო.

სამაგიეროდ, ი. გოგებაშვილიც დიდად პატივსცემდა აკაკის და მისი აღფრთოვანებული თაყვანისმცემელი იყო, ქართული პოეზიის იალბუზს უწოდებდა მას. ანდერძშიც შეიტანა, აკაკის ყოველ წელიწადს 100 მან. აძლიერ იმ ლექსების პონორარად, რომლებიც ჩემს სახელმძღვანელოში მაქვს მოთავსებულიო. სიცოცხლეში იგი, როგორც ვიცი, ყოველთვის უგზავნიდა აკაკის პონორარს.

პატივისცემით ი. გოგებაშვილი, იქნებ, ილიას სცემდა მეტ პატივს, ვიდრე აკაკის, მაგრამ აკაკი რომ მეტად უყვარდა, ეს ეჭვს გარეშეა. მაგრამ მისი გულწრფელობა იმდენად ძლიერი იყო, რომ ამ საყვარელ კაცსაც არ დაუმალავდა იმ შენიშვნას ან საყვედურს, რომელიც გულში ჰქონდა სათქმელად, როდესაც ამას გარემოება მოითხოვდა. მხოლოდ აქ, ამ შემთხვევაში, იაკობი ჩვეულებრივ ცხარე, პილატილიანი იაკობი როდი იყო, არამედ მორიდებული, გულითადი, მოყვარული, გრძნობით აღსავსე მეგობარი. მე ამ სტრიქონებში მარტო ჩემს მოგონებას ვწერ და არ მინდოდა შიგ რაიმე ამონაწერები ჩამერთო. ი. გოგებაშვილის სტატიიბიდან. მაგრამ რახან სიტყვამ მოიტანა, აქ ამ წესს დავარღვევ და აღვნიშნავ ი. გოგებაშვილის ერთ წერილს, რომელიც მან აკაკის იუბილეს გამო დასწერა 1908 წელს. აკაკის იუბილეს მან რამდენიმე წერილი უძღვნა, მაგრამ მათში ერთა განსაკუთრებით ერთი პატარა წერილი, რომელიც იყო ყოველმხრივ მშვენიერი და დამწერისათვის სასახელო და სადაც ავტორი ტკბილად, გულთბილად, სიყვარულით, მაგრამ ამავე დროს დაუფარავად საყვედურს ეუბნებოდა მთელი საქართველოს მიერ დაფნის გვირგვინით შემკობილ აკაკის.

ამ სტატიაში მას მოკლედ აღწერილი აქვს აკაკის საიუბილეო ზეიმზე დასწრება და შემდეგ განაგრძობს:

„დაზავდა აბობოქრებული ზღვა ძლიერ ეროვნულთა და კულტურულთა გრძნობათა, და მე ღამის პირველ საათზე თეატრიდან გავემართე ჩემი საღვურისაკენ.

„მაგრამ ჩემს უღრმეს კმაყოფილებას ერთი რაღაც გამოურკვეველი ნაკლი ამცირებდა,

ასუსტებდა. ეს ნაკლი შავი ყორანივით დამჩაოდა გულში და ნეტარებაში ნაღველს ურევდა. მივედი ჩემს სადგურში და სავარძელში მოთავსებულმა თავი მივეცი ტკბილ — მწარე ბურანსა.

‘უცებ ხელ-ახლად გავჩნდი თეატრში და ვიხილე უნეტარესი სურათი. აკაკის დიდებული რაინდული სახე მიეღო და აშლილს საზოგადოებას ეუბნებოდა: ერთ წამს, მხოლოდ ერთ წამს, კიდევ მოითმინეთ. ცოდნა დიდი ცოდო, რომ ამისთანა სასახლო, საარაკო იუბილე დაუგირგვინებელი დაგვრჩეს საზოგადოება დაწყნარდა, დასხდნენ ყველანი და სმენად გადაიქცენ.

„ბედნიერი ვარ, უზომოდ ბედნიერი ამჟამად, მაგრამ ერთი რამ სწამლავს ამ ბედნიერებას, სთქვა აკაკიმ.

„— რა? რა?“ — სიმწუხარით შეეკითხა მას სამი ათასი პირი ერთად, ერთხმივ.

„— ის, რომ ჩვენ ვერ ვეღირსენით იმის იუბილეს, რომელიც იყო დიდი პოეტიც, დიდი მამულიშვილიც და დიდი ადამიანიც და რომელსაც უსაზღვროდ უყვარდა თავისი დაჩაგრული სამშობლო“.

„ურიცხვს მსმენელთა შორის არც ერთს არ მოსვლია აზრად ეკითხა აკაკისათვის, ვისზე ლაპარაკობდა იგი, რადგანაც ელვის სისწრაფით ყველას გონებაში გამოისახა ერთი და იგივე დიდებული სახელი.

„აკაკიმ გააგრძელა: დიად, ჩვენ ვერ ვეღირსენით ილია ჭავჭავაძის იუბილეს, მეტი უბედურებაც დაგვატყდა თავზე. ჩვენს არამც თუ ვერ შევამკეთ მისი გენიოსური თავი დაფნის გვირგვინებითა, არამედ ხელი ვერ შევუშალეთ ჩვენის ერის მტრებსა, რომელთაც ილიას ეკლის გვირგვინი დაადგეს, მსგავსად მაცხოვრისა მთელი ნახევარი საუკუნე ილია და მე ტოლნათ ვეწეოდით მეტად მძიმე უღელს სამშობლოს სამსახურისას, — მომიკლეს, ჯვარს მიცვეს ტოლი და დამარჩინეს ცალად, უტოლოდ, ობლად დიდება და თაყვანისცემა მოწამე ილიას უკუნითი უკუნისამდე, — გაათავა აკაკიმ და

მწუხარე თვალებიდან მდუღარე ცრემლის ნაკადული წასკდა.

„ამინ!“ — შესძახა სამგლოვიარო ხმით სამი ათასმა მსმენელმა და ფეხზე უმალ წამომდგარმა, თავი მოიხარა საერთოდ.

„ამ რაინდულს სიტყვებს და საქციელს მოჰყვა აუწერელი მოვლენა, იმისთანა მოვლენა, რომელსაც ეღირსნენ მოციქული სული წმინდის მოფენის ჟამსა. აკაკის თავზე გაჩნდა ვეგბერთელა აპრიალებული კელეპტარი, ყველა მსმენელის თავი შეიმკო პატარ-პატარა კელეპტარებით და თეატრმა საარაკო კაშკაში დაიწყო. მერე დაიძრა აკაკის კელეპტარი და შუა თეატრში მაღლა ჰაერში გაჩერდა. მისკენ გამოქანდნენ ყველა სხვა კელეპტრები, გარს შემოეხვივნენ და შეჰქმნეს მომხიბლავი სურათი, ბოლოს ამ ურიცხვის ჩირაღდნის კრებულს აკაკის კელეპტარი გაუძღვა ზეით, თეატრის ბანი გაირღვა, კელეპტართა გუნდი წავიდა მაღლა, მაღლა ზეცაში.

„კელეპტართა გუნდს მიაქვს ილიასთან საიქიოს მთელი ქართველის ერის უმხურვალესი საუკუნო თაყვანისცემა“, შევძახე ისეთი მაღალი ხმით, თითქო ილიასათვის მინდოდა გამეგონებინა ზეცაში, და გამომეღვიძა.

„დარჩა, დარჩა რაინდულს გვირგვინს მოკლებული ჩვენი დიდებული ეროვნული დღესასწაული, ამოვიკვნესე და ცრემლი კელარ შევიკავე, ვერ შევიკავე იმის გამოც, რომ მთავარი ბრალი ამ დიდი ნაკლისა მედებოდა თვითონ მე. აკაკისთან რომ კრინტი დამეძრა ილიას მოგონების შესახებ იგი სახელოვანს იუბილეს დაადგამდა ისეთს რაინდულს გვირგვინს, რომ სამაგალითო შეიქმნებოდა თვით კაცობრიობისათვის, მაგრამ თვალი დაუდგეს სამოცდამეცხრე წელს, იმ ჭირს, რომელსაც რუსთველი ყველა ჭირზე მნელს ეძახის“.

სწორედ სამოცდამეცხრე წელში იყო მაშინ ი. გოგებაშვილი გადასული. ამის შემდეგ კიდევ ოთხი წელიწადი იცოცხლა მხნედ და შრომის უნარმქონედ, მხოლოდ უკანასკნელ წელიწადს მოტყდა ცოტათი.

სიკვდილის წინ ხანგრძლივად არ უავად-მყოფნია, – სულ ერთ თვეს იყო ავად. გვამის განკვეთამ აღმოაჩინა ფილტგების დაზიანება და ნაწლავების კიბო, მაგრამ სიკვდილი გამოიწვია სხვა ავადმყოფობამ, მუცლის აპკის ანთებამ. ავადმყოფობის დროს ხშირად ვაღეგი თავს, განსაკუთრებით უკანასკნელ დღეებში, როდესაც საგანგებო მოვლა და ყურადღება იყო საჭირო. უვლიდნენ, ჩემს გარდა, სხვებიც, სპეციალური მომვლელი ქალი არ აგვიყვანია, რადგან იაკობს უცხო ქალის ერიდებოდა და არ სურდა მომვლელად. ამიტომ მოვლას მისი ახლობლები ვეწეოდით, განსაკუთრებით ნიკო ცხვედაძის ასული, მკურნალობდა ექიმი ტიტე ქიქოძე. უკანასკნელ დღეებში ახალი რამ არა დაუბარებია და არც ჰქონდა დასაბარებელი, ვინაიდან ყველაფერი წინათ ჰქონდა ნათქვამი და დაწერილი. მასსოვს მხოლოდ ორი რამ, ჯერ ერთი ასეთი შეკითხვა: „ნეტა რას იქმთ ჩემს შემდეგ, ჩაჰკლავთ თუ აცოცხლებთ ჩემს სახელმძღვანელოებსო?“ და მეორე შემდეგი – სიკვდილის წინა დღეს პერანგს ვუცვლიდი, დიდი სიცხე ჰქონდა. ეს ისე უნდა მომხდარიყო, რომ ნიავი არ მოხვედროდა. მოვახერხე ეს საქმე მისდა მოსაწონად; ძალიან ეამა, მითხრა: „როგორ ეფისკოპოზივით შემმოსეო“ და დაუმატა: „ახლა რას იზამთ, როგორ დამმარხავთო?“ გამეცინა და ვუთხარი: „მაგის ფიქრი ნუდარ გექნება. დამარხვაში დახელოვნებული სპეციალისტები ვართ“ – მეთქი. მანაც გაიცინა: „ჰო, ეს კი იცითო“. თითქმის სულ უკანასკნელ საათებამდე სრულს გონებაზე იყო.

დამარხვა მართლაც დიდებული იყო, რაც დაწვრილებით აწერილია მაშინდელ გაზეთებში და „ი. გოგებაშვილის სახსოვრად“ გამოცემულ ცალკე წიგნშიც.

წყარო:

ფილიპე გოგიჩაიშვილი,  
წერილები, მოგონებები, თბ. 1993.



იაკობ გოგებაშვილის საფლავი  
მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო  
მოღვაწეთა პანთეონში.

\* \* \*

სამოცდათორმეტი წლისა, იაკობი მძიმედ ავად გახდა. ექიმების ყოველგვარი მცდელობა, სიცოცხლის დღეები გაეხანგრძლივებინათ საყვარელი მამულიშვილისათვის, ამაო გამოდგა. ვარდობის თვის მიწურულს 1912 წლის 1 ივნისს (14 ივნისი) იაკობ გოგებაშვილი გარდაიცვალა. იაკობ გოგებაშვილი დაკრძალეს დიდუბის ეკლესიასთან. წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ვერცხლის გვრგვინი მიართვა წარწერით: ხალხის მასწავლებელს – იაკობ გოგებაშვილს. 1940 აღინიშნა იაკობ გოგებაშვილის დაბადების 100 წლისთვის და მისი ნეშტი დიდუბიდან მთაწმინდის პანთონში გადაასვენეს.

„...და რომელმან დაიმდაბლოს თავი თუისი, იგი ამაღლდეს.“

1900 წლის 19 აპრილს დილით მსახურმა სხვა გაზეთებთან ერთად მას (იაკობს) გაზეთ „ივერიის“ ახალი ნომერი შეუტანა. „ივერია“ იტყობინებოდა: ბ-ნ იაკობ გოგებაშვილს ქართველი საზოგადოებრიობა ლიტერატურული და პედაგოგიური მოღვაწეობის 25 წლის აღსანიშნავად სადილს უმართავს. დრო ცალკე იქნება გამოცხადებულიო.

იაკობი აღშფოთდა (იგი ამ დროს 60 წელს იყო მიტანებული) და საყვედურით სავსე წერილი მისწერა „ივერიას“, რომელშიც წერდა: „ჯერ ქართველმა საზოგადოებამ გადაიხადოს ის დიდი ვალი, რომელიც მას აწევს კისერზე, შესახებ ჩვენი მთავარი მოღვაწეებისა, რომელთაც ჩემზე უზომოდ მეტი გაუკეთებიათ. ჯერ იალბუზსა და მყინვარს დირსეული იუბილეები გაუმართონ...“ იაკობი ილიასა და აკაკის გულისხმობდა.

ათი წლის შემდეგ ქართველმა საზოგადოებრიობამ ისევ დააპირა იაკობისათვის იუბილე გადაეხადა (იაკობი უკვე 70 წლისა იყო), მაგრამ მწერალმა ახლაც უარი განაცხადა. აი, რამდენიმე ამონარიდი ამ წერილისა: „ათი წლის წინათ იწყეს წერა ჩემის 25 წლის იუბილეს გადახდის თაობაზე. კატეგორიული უარი განვაცხადე...“

მას უკან ერთ იალბუზს ქართველმა საზოგადოებამ დიდებული იუბილე გაუმართა, მაგრამ მეორე იალბუზს ქართველმა ხელმა ღვთაებრივი შუბლი გაუგმირა ტყვიით.

ჩაუკვიდრით ამ უკანასკნელს საზარელს ფაქტს. გაიხსენეთ ჩემი საშინელი უარის მოტივი, საბუთი და ოქენოვის ცხადი შეიქმნება, რომ ჩემთვის ყოვლად შეუძლებელია ფსიქიურად და ზნეობრივად დავთანხმდე იუბილეს გამართვაზე“.

გამოყენებული წყარო:  
„სახალხო გაზეთი“  
1910წ. 18 ივნისი

# ი ყ ა ტ ე ბ ი ს ხ ა მ რ ე ბ ი ჭ რ ი

ამონატილები პ ე ბ ლ ი კ ა ს ც ი ე ბ ი დ ა ნ

## პ ა ტ რ ი ლ ტ ი ბ ა ჩ ვ ე ნ შ ი

„ბევრგან ვხედავთ კატრიოფებსა, რომელთაც უდიათ სხვის უბედულებაზე აავენონ თავიათი ქვეყნის ბედიერება. პრუსიის კატრიოფს ტრეიჩეს რომ ჰპიტეო, რასა სოვლი საჭიროდ გერმანიის ბედიერებისთვის, გიკასუხებს: დასავლეთით საფრანგეთის მიწასთან გასწორებას, სამხრეთით ავსტრიის ფერში მოკავას და აღმოსავლეთით რუსეთის მისხვრევასაო. მეშჩერსკის, სუვორის და კატკოვის რომ შეეკითხო, როგორი უდია იყოს რუსის კატრიოფიო, გიკასუხებან: იგი უდია სჩაგრავდეს ყოველ სხვა ტომს, რუსებთან შემოერთებულსა, და გარედ უდია ელტოდეს და ცატრულობდეს მთელს ევროპის გაქელვასაო. ჩინეთის კატრიოფები უფრო კიდევ მომეტებულს რასე ცატრულობენ: მთელი კაცობრიობა ჩვენის ბალდისანის ქვეშევრლობი, უმორჩილესი მონა უდია შეიძმნასაო.

ჩვენში კატრიოფობა სხვა თვისებისაა, სხვა გვარის ხასიათისაა: იგი იკავობს მხოლოდ ფეიდა გრძელებას მამულის სიყვარულისას. ამ გრძელებაში თავისთავის მეტი არა ურევია-რა. ვისიმა სიძულვილი, ვისიმა დათრგუნვის სურვილი, ვისიმა გაუბავდურების ფაზილი მასში სრულიად არ იკავება. ჩვენს კატრიოფებს სურთ აღდგენა და დაცვა ჩვენის უფლებისა, ეროვნებისა, თვითმმართველობისა, ლიტერატურისა, კულტურისა, რომელთა გარეშე არა ხალხს არ შეუძლიან სიცოცხლე და ადამიანერი არსებობა. ჩვენი მამულიშვილები ცატრულობენ ჩვენის ქვეყნის ბედიერების მიღწევას ფეიდა და სწორი გზით, იმ გზით, რომელიც სხვის უბედულებაზე არ არის გავლებული. როგორც ფარსულში ჩვენი ერი იბრძოდა არა სხვა ხალხების დამონავებისათვის, არამედ თავის საკუთარის დამოუკიდებლობის დაცვისათვის, ისე ეხლა ჩვენი მამულიშვილები მოღვაწეობენ არა იმ განხრახვით, რომ სხვანი დავთრგულოთ და მათის დამცირებით ჩვენი თავი ავიმაღლოთ, არამედ იმისათვის, რომ ჩვენს ერსაც გავუკვლიოთ ვართო გზა გონიერის განვითარებისა, ზეობის ამაღლებისა და კათილდღეობისაო. ერთის სიტყვით, ჩვენში მამულის სიყვარულება მიიღო ისეთივე ფეიდა მიმართულება, რომელსაც ამ ბოლოს უამ დაადგა დაწინაურებული, საუკეთესო ფილი ეპროგრაფიისა ფარსულში ჩვენ გვპოდება ამაზე უფრო ვართო ეროვნული ნიადაგი; მაგრამ ამ ნიადაგზე ფეიდა კურთან ხშირად ითესებოდა აზიური ლვანებლი და ჭვავი ამის გამო ფარსულიდგან უდია გაღმოვიტაროთ ეროვნული ნიადაგი და ეპროგრაფი ცატრომოვებში აგარისოთ სათესად ფეიდა კური გონიერის, ზეობის და ეპროგრამიურის სფეროებიდგან

## ვისა პქვიან პატრიოტი

„ვისა პქვიან პატრიოტი?“ – „მას, ვისაც სიცოცხლის უმთავრეს საგნად გაუხდია მშობლიური ქვეყნის ბეჭიერება, ვიც თავგამოდებულად და შეუკორვრად ებრძვის დაუღალავად ყოველს დაბრკოლებას, რომელიც მის სამშობლო ქვეყნას ფარმატების გზაზედ გადაღობებია; ვისაც მოლად დაპარგულად მიაჩნია ყოველი ფამ, რომელიც არ მოუსმარის მამულის ზრუნვისათვის, ვისაც ედაგვის გული გამულის ტაჯვითა, უსარის მისი ლევითა; ვიც ბეჭიერია მის ბეჭიერებით, უგეღურია მის უგეღურებით და ვიც მზად არის ლიმილით შესწიროს მას თავისი სიცოცხლე“.

„შინაური მიმოხილვა“, 1882 წ.

## ერი და ადამიანი

„თვით კერძო ადამიანი მაშინ იმოსება შესაბამისი ქალ-ლოცით, როდესაც აღიზრდება ისე, როგორც მოითხოვს მისი თავისებური აგებულობა – ფიზიკური და ფსიქიკური. მითუმენტეს ეს უდია ითქვას მთელს ერზე. ერი თავისებური კოლექტიური აგებულებაა, თავისებური კოლექტიური კიროვებაა. ამიტომ მისი აღორძინება შეიძლება მცოლოდ თავისებური, ეროვნული გზით. ისტორიაში ვერ მოძებნეთ ისეთ მაგალითს, რომ ერს ეღალატოს თავისი ეროვნებისათვის, ეროვნული კულტურისათვის და არ გახრმილიყოს, არ აღმოვხვდილიყოს...“

ი.გოგებაშვილი,  
რჩეული ნაწერები, წინასიტყვაობა ავტორისა, გვ.11.

## მთავარნი საჭიროებანი

თბილისში გოლოვინის პროსეკტზედ, ფორტის საღმურის მახლობლად არის ერთი მაღაზია ჭიგებისა, დაარსებული ბრიტანიის „დაბადების“ საზოგადოებისაგან. ამ საზოგადოებას ერთადერთ მიზნები აქვს – ყოველს ენაზედ ბეჭდოს გასაგები ენით დაბადება და ჭვილის მთელის დედა-მილის ჯურგზედ. ამ მაღალს დაცემულებას საზოგადოება ემსახურება სლორებ იცელისური მცხოვით. დაღა-მილის ჯურგზედ არ მოიაოვება იმისთანავე მოზრდილი ქალაქი, სადაც არ ჰქონდეს ამ საზოგადოებას თავისი საზყობი საღვთო ჭიგებისა.

დაბადება, საღვთო ჭერილი მათ გადათარგმნილი აქვთ და დაბაჭდილი კაცობრიობის ყოველს ენაზედ, რომელიც კი ცოტაოდნად მაიცე განვითარებულია და აქვს თავისი ანეანი. ლილს ფულსა ხარჯავს ვთრგმაში, ბეჭდვასა და საზყობების მართვაში ეს საზოგადოება. ამასთან დაბადებას და სახარებას ჰყილის ისე იავად, რომ არა კერძო გამომდეველს არ შეუძლიან ესა. ათასობით, ათი ათასობით ივანებიან

მთელს კაცობრიობაში ამ საზოგადოების გამოცემაი და ჰქანაგობენ მაღალს სწავლას მაცხოვლისა ჩვენისასა.

დიახ, როგორც მოგახსევთ, ამ საზოგადოებას ჩვენს დედაქალაქშიც აქვს საზყობი დაბადებისა, სახარებისა. შევიძეთ შიგ და გავშინეოთ საზყობი. მთელი საზყობი სავსეა მფრივად დაზყობილი ჭიბებით, ლამაზათ დაკაზაულით. აი პირველი მფრივი. იგი იკყრობს დაბადებას რუსულს ენაზედ. აი მეორე მფრივი. იგი შემდგარია დაბადებილგან სომხურს ენაზედ. აი აგერ მესამე მფრივი. იქ აღაგია დაბადება არაპულს ენაზედ. თქვენ აქ ნახავთ დაბადებას ფრაცეულს, ცემაცეულს, სპარსულს, რსებულს და სევა ენაზედ. სომხურს ენაზედ თუ მოიკითხავთ სახარებას, გვითხვავთ: რომელს სომხურზედ გვეხავთ, ძველზედ არარატულზედ, თუ კონსტანტინოპლურზედ? და რომელზედაც გიდეათ იმ ენაზედ მოგართმევე მხოლოდ ერთი ენის ჭაჭავება არ არის აქა. რომელისა?- სწორედ იმ ენისა, რომლის დედა-ქალაქი იყო, არის და, იმდინა, იმგვება თბილისი. დიახ, დაბადება მხოლოდ ქართულს ენაზედ არ მოიკოვება საზყობში არც ძველზე და არც ახალზედ.

რა ამბავია, რომელი მიზანის გამო? იქნება ეს ბრიტანეთის საზოგადოების ბრალი იყოს? სრულიადაც არა. თქვენ ამ საზყობში გაფყვიან, ბევრი ვეცადებით ქართულს გასაგებ ენაზედ გადაგვეთარგმნა დაბადება, ერთს თქვენს მაგისტრს დეპარტამენტს ათასი თუმანიც შევაძლიათ შრომის ფასათაო ამ ათის ჭლის ჭინედა; მაგრამ ხელი არავინ მოგვიმართა, არავინ დაგვახმარა და ეს არის მიზანი რომ აქამოძე ჩვენი ენა მოკლებულია დაბადებას, ფყაროს ქრისტიანობისას. დიახ, სწორედ მოკლებულია. ამ ათის ჭლის ჭინედ დაბეჭდილი დაბადება სათვალავში არ ჩაითვლება. პირველად, იგი არის იმისთვის ენით ნათარგმნი, რომ არამაც თუ ეხლა აღარავის ესმის, ვგონებ იმ ძველ დროშიაც არავის ესმოდა, როდესაც ეს დაბადება გადმოითარგმნა; მეორედ, უცხო ენაზედ კი დაბადება ისეა ნათარგმნი რომ ყოველს ჭიბეის მცოდნეს შეუძლიან მისი გაგება. მთარგმნელს სრული გაგება დედისა არა ჰქონია და ბევრს აღგილას ჩვენი დაბადების აზრი ეჭინააღმდეგება ნამდვილის აზრსა; მესამედ, დაბეჭდვის დროს ზოგი აღგილი გამოვვებულია, მრავალი სიტყვა გადასხვავერებული, დამასივებული და საზოგადოდ ისე დაუდევრიად არის დაბეჭდილი, რომ სიმრავლეს კორექტურულის შეცდომებისა საშინელს ბრაზზედ მოჰყავს ყოველი ქართველი, რომელსაც კი უკითხიდი ეს დაბადება; მეორედ, ვასი დიდი აღევს, სახელმოგრ კი ექვსი მახეთი, მაშინ, როდესაც უცხო ენაზედ დაბადება იყიდება ორ-ორ მახეთად; ესუთედ, უცხო ენაზედ დაბადება იგეჭდება ჭვრილი, გარკვეული კორკუსით, ჭიბეი გამოდის მორჩილი ტანისა და ადამიანს შეუძლიან ჯიბეშიც კი ატაროს მთელი დაბადება; ჩვენი დაბადების დაბეჭდვის დროს კი ყოველი ღონისძიება უსრარნიათ, რომ ჭიბეი გამოსულიყო ჭიბი, ფარლალალად დაუგეჭდიათ უშველებელი ასოებითა, ჭიბეს ერთი

სამაზ და ოთხაზ უმატიდა, სასიხარულოდ სტამბისა და კორეპტორისა და ისეთი ფლანერი სახე მიუღია, რომ ურმით თუ ატარებთ მას, თორმე სხვავრივ არ შეიძლება. ამისთანაც დაბადების ქონა უდრის არ ქონასა.

საჭიროა მთელი დაბადება გადმოითარგმნოს გასაგებ ერაზედ, დაიბეჭდოს იგი ვენის მშვენიერი კორპუსით და ვასი დაედოს ძალიან მცირე, ხელმისაჯვდომი ჩვენის ღარიბი ხალხისათვის.

როცა ამისთანაც დაბადება მოეფიხება ჩვენს ხალხში და ყოველის ზიგნის მცოდნესათვის შეიძმნება ყოველდღიურ საკითხებელად, მხოლოდ მაშინ იცის მრავალი მრისფიბობა ვესვების გადგმას ჩვენს ქვეყანაში. მანამდე კი მხოლოდ გარეგანი კანი მრისფიბობისა, შემთხვევითი და დროებითი მისი ფორმები, იქმნებიან სათაყვანებელი საგანი ქართველთათვის.

## „...ქართულ ღვთისმსახურებას აფხაზთა კური ისმენდა მრავალი საუკუნეების განმავლობაში, შეჩერებულია მასთან და საღმრთო ენას სახელი და პატივი აქვს მათ შორის. ამის გამო ყოველს ეჭვგარეშეა, რომ თუ აფხაზებს თავის ახლო ექნებათ რიგიანი ქართული წირვა-ლოცვა და გალობა, მას არასოდეს არ გაცვლიან დეკანოზის გოლუბცევის მიერ შემოღებულ პროვინციალურ წირვა-ლოცვაზე, რომელიც თურმე ძლიერ ეუცხოვებათ და ეჩიოთირებათ აფხაზებს და, რომელსაც მსმენელად ეყოლება მხოლოდ ეკლესიის კედლები. თუ მაინც და მაინც აფხაზები შეითვისებენ ახალს პროვინციალურ წირვა-ლოცვას, ღმერთმა ხელი მოუმართოთ. ეს ერთის მხრივ ძლიერ სასარგებლო იქნება მეგრელებისა და სხვა ქართველებისათვის, რადგანაც ახალი ბურჯივით განამტკიცებს პრინციპს ქართულ ენაზე ღვთისმსახურებას სოხუმიდან დაწყებული დაღესტნის მთებამდე.“

თუ შეგნებული აფხაზები დაახლოებით გაიცნობენ თავისი სამშობლოს წარსულს, ცხადად დარწმუნდებიან, რომ აფხაზეთი მხოლოდ იმ საუკუნეებში სტებებოდა კეთილ-დღეობით და კაი სახელით, როცა შეკავშირებული იყო საქართველოსთან პოლიტიკურად, სარწმუნოებით და ღვთისმსახურებით; მეტსაც შეიტყობენ. მაშინ აფხაზეთი სათავეში უდგა მთელ დასავლეთ საქართველოს, რომელსაც აფხაზეთის სახელმწიფო ერქვა.

მაგრამ, როცა ისტორიის უკუღმართმა ტრიალმა იგი მოსწყვიტა საქართველოს და გაამარტოვა, აფხაზები უკან-უკან წავიდნენ, დაეცნენ, გაველურდნენ, რიცხვით მეტად შემცირდნენ და ახლა, წინანდელის მოზრდილი ერის ნაცვლად, წარმოადგენენ ერთ-მუჭა თემს, რომელსაც გაქრობა ემუქრება, თუ პოლიტიკანებმა გააცალკევეს, გაიმარტოვეს და მოსწყვიტეს საქართველოსა. მტკიცე კავშირი მეგრელებთან და სხვა ქართველებთან წელში გამართავს აფხაზებს, ზურგს გაუმაგრებს, ძალას და ღონეს მისცემს და კარგის მომავლის იმედით აღავსებს“.

„...სულის მოძრაობას მხოლოდ დედა ქანა პხატავს  
სინაძღვილით და სისრულით...“

„დედა ენა... ბუნებას ზედ გამოუჭრია ადამიანის სულსა და ხორცზედ, მის ფსიქოლოგიურს და ფიზიოლოგიურს აგებულებაზედ... დედა ენა გარეგნობით როდია ადამიანის არსებასთან დაკავშირებული, იგი როდი ჰგავს ტანისამოსს, რომლის გამოცვლა ადვილად და უკნებლად შეიძლება... ბავშვის ყოველ აზრს, წარმოდგენას, გრძნობას და სულის მოძრაობას მხოლოდ დედა ენა ჰგავს სინაძღვილით და სისრულით. ყოველ ადამიანს დაბადებიდან ჰყვება მიღრეკილება და ნიჭი დედა ენის ადვილად და ღრმად შესწავლისა და სწორედ იმ გვარად, როგორც ბულბულს ჰყვება დაბადებიდგანვე ბულბულის გალობის ნიჭი“.

\* \* \*

„სწავლების უცხო ენაზე წარმოება და დედა ენის უარყოფა აფერხებს ბავშვის გონებრივ განვითარებას და მოსდევს დიდი დაქვეითება ადამიანისა ყოველ მხრივ... არა ბუნებრივი ენის ხმარება სასტიკად ეწინააღმდეგება ხალხის ბუნებას, აგებულობას, უხშობს მას შემოქმედებით ძალასა, თავისებურებას ნიჭისასა და მეტად აბრკოლებს ცოდნის მოფენას ხალხში“.

\* \* \*

„ის, ვინც დედა ენის მაგივრად პხმარობს უცხო ენას, ამ სუსტ ამჩიჩქნავს გავს, იგი აუცილებლად აღზრდის თავის შვილებში ზედაპირობას და სისუსტეს ხასიათისას“.

\* \* \*

„პედაგოგიაში აქვთ აღიარებული, რომ ბავშვმა მას უკან იწყოს უცხო ენის შესწავლა, როცა უკვე კარგად აქვს შეთვისებული თავისი დედა ენა“.

\* \* \*

„ევროპულ ენათა შესწავლას და ცოდნას ისეთი დიდი მნიშვნელობა აქვს ყველასთვის და განსაკუთრებით ჩვენთვის, რომ ამ მნიშვნელობის გაზვიადება შეუძლებელია... ყოველმა მოკეთემ ქართველებისამ დაუინებით უნდა ურჩიოს მათ – ისწავლეთ რაც შეიძლება ღრმად და ზედმიწევნით ევროპული ენები და სვით ევროპიული მეცნიერება ხარბად და გაუმაძღრად“... მაგრამ „პირველი ექვსი თვის განმავლობაში ქართულის მეტს არა საგანს არ უნდა ჰქონდეს ადგილი სკოლაში“.

\* \* \*

„როცა ქართველს ბავშვს გადაახტუნებენ ქართულს წიგნსა და პირდაპირ მიაჩიჩებენ ხელში უცხო ენის ანბანს, იგი დიდ დაბრკოლებას ხედავს და ხეირიანად ვერ ერევა ამ სიძნელეს. თუ პირველშივე ბავშვს გაუჭირდა შეგნება და შეთვისება უცხო სიტყვათა და გამოთქმათა, მალე შიშიც შეიძყრობს და ბავშვი ადვილად გააზვიადებს უცხო ენის შესწავლის სიმნელეს“

## იაკობ გოგებაშვილის პ ნ დ ი რ ძ ი



მე, ქვემოთ ხელისმომწერი, იაკობ სიმონის ძე გოგებაშვილი, საღი გონებით და მტკიცე მესიერებით, ჩემი გარდაცვალების შემთხვევაში ვაცხადებ ჩემს შემდეგ ნებასურვილს:

ქართულ და რუსულ ენებზე დაწერილ გამოუკლებლივ ყველა ჩემს სახელმძღვანელოსა და წიგნსა, აგრეთვე მრავალრიცხოვან ნახატ და საწერი დედნების კლიშებსა, ლითოგრაფიულ ქვასა, რომელზედაც მოგრავირებულია საქართველოს რუკა და წარმოადგენ „ბუნების კარის“ დანართს და ინახება მესიერევის ლითოგრაფიაში, ასევე ყველა ჩემს სტატიას, დაბეჭდილს ქართულსა და რუსულ პერიოდულ გამოცემებში, დაუმთავრებელი წიგნების, ჯერ დაუბეჭდავი სტატიების ხელნაწერებს, ჩემს ბიბლიოთეკას ვუანდერძებ კავკასიის სამეფისნაცვლოს ქართულ მოსახლეობას შორის „წერა-კითხვის გამავრცელებელ“ თბილისის საზოგადოებას. ამავე საზოგადოებას ვუანდერძებ მიწის ნაკვეთს ვერაზე თბილისში, ზომით 264 კვადრატულ საჟენს, რომელიც 1901 წელს ვიყიდე ნაფიც ვექილ ივანე

სპირიდონის ძე ჯაბადარისაგან და მის რწმუნებულისაგან აზნაურების გერასიმე დიმიტრის ძე პოლშეგენისა და ვლადიმერ ალექსის ძე ოსიპოვისაგან, აქტით № 208, რომელიც მოხდენილია იმავე წელს ქალაქ თბილისის უფროს ნოტარიუსთან.

ამასთან ერთად წერა-კითხვის საზოგადოებას “ვაკისრებ დაიცვას შემდეგი პირობები:

**პირველი:** ჩემი სახელმძღვანელოების ყოველწლიური შემოსავლის ხარჯზე ის ვალდებულია დაარსოს და შეინახოს სანიმუშო დაწყებითი სკოლა ჩემს მშობლიურ სოფელ ვარიანში, რომელიც ქალაქ გორის მახლობლად იმყოფება.

**მეორე:** ყოველწლიურად აძლიოს ყოველის ნახევარი წლის განმავლობაში ასოცი მანეთი ჩემ მოხუც დას ეფემია სიმონის ასულს ინორის ქვრივს, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ მის დარიბ შვილს გიორგის, ოჯახთან ერთად, სანამ ეს შესაძლო იქნება.

**მესამე:** თუ ჩემი სტიპენდიანტები: მმის-წული შალვა გოგებაშვილი, ამჟამად კიევის კომერციული ინსტიტუტის სტუდენტი, აგრეთვე ჩემი დისტულის შვილი კონსტანტინე კასრაძე, მანგეინელი სტუდენტი, ვერ მიიღებენ საკმაო სტიპენდიებს, საზოგადოების გამგეობის შუამდგრმლობით, მაშინ ეს გამგეობა მისცემს ორთავეს შესაძლებლობას ჩემი სახელმძღვანელოების შემოსავლის ხარჯზე დაამთავრონ უმაღლესი განათლება.

**მეორეს:** ჩემი ქართული და რუსული წიგნების ყოველი გაყიდული ეგზემპლარიდან „წერა-კითხვის საზოგადოება“ გადასდებს არანაკლებ 1 კაპეიკსა სახალხო საგანმანათლებლო კაპიტალის შესაქმნელად, რომლის პროცენტებით იგი, ქართველი ინტელიგენციის დემოკრატიული ელემენტის გასაძლიერებლად, უმთავრესად სპეციალურ, კერძოდ კი პედაგოგიურ სასწავლებლებში აღზრდის ყველაზე ნიჭიერ და სახალხო სკოლის კურსის წარმატებით დამთავრებულ ბავშვებს: გლეხებისა, მუშებისა და ღარიბ სახალხო მასწავლებელთა, ამავე კაპიტალისათვის ვნიშნავ ჩემი მიწის ნაკეთს ვერაზე, რომელსაც

საზოგადოების გამგეობა გაპყიდის მხოლოდ მაშინ, როცა მიწის ფასი ძალიან აიწევს და მთელ აღებულ თანხას შეუერთებს ჩემს სახალხო-საგანმანათლებლო კაპიტალს. ამავე კაპიტალის შემაღენლობაში უნდა შევიდეს ჩემი ნაღდი თავისუფალი თანხების დაახლოებით ნახევარი, ჩემი სხვა ანდერძის თანახმად. საგანმანათლებლო კაპიტალის სარგებლის ხარჯვას სტიპენდიისათვის საზოგადოების გამგეობა არ იწყებს მანამ, სანამ ის არ მიაღწევს ათი ათას (10. 000) მანეთამდე.

**მეხუთი:** ჩემი წიგნების შემოსავლიდან კი საზოგადოების გამგეობა ყოველწლიურ სუბსიდიას არანაკლებ 300 მანეთისა აძლევს ქართულ პედაგოგიურ უნივერსიტეტს „განათლებას“, რათა ამ უნივერსიტეტის მიერ დასახული მიზნების მისაღწევად, არ შეწყიოს თავისი არსებობა დეფიციტის მძიმე ტვირთის გამო.

**მეექსი:** ყოველწლიურად აძლევს აკაკი როსტომის ძე წერეთელს ას მანეთს, როგორც პონორარს იმ საბავშვო ლექსებისთვის, რომლებიც იბეჭდება „დედა-ენაში“ და რომლებიც ჩემის თხოვნით სპეციალურად დაწერილია ამ ჩემი გამოცემისათვის.

**მეშვიდი:** ყოველგვარი ცვლილება ჩემს სახელმძღვანელოებსა და წიგნებში შეიძლება იქნას შეტანილი ამ ცვლილებათა მხოლოდ ზედმიწევნით შესწავლის შემდეგ საზოგადოების გამგეობის ყველა წევრის მიერ, და მიღებულ იქნება დაღვენილება გამგეობის ყველა წევრის სამი მეოთხედის მიერ. ჩემი ამათუიმ სახელმძღვანელოს გამოცემის შეწყვეტისათვის კი საჭიროა გამგეობისა და საზოგადო კრების აგრეთვე სამი მეოთხედის უმრავლესობა.

**მერვე:** სამი წლის განმავლობაში ჩემი გარდაცვალების დღიდან საზოგადოების გამგეობა წესრიგში მოიყვანს და დაბეჭდავს ჩემს მიერ ჯერ გამოუცემელ როგორც ქართულ, ისე რუსულ სტატიებს.

როგორც რუსული, ისე ქართული სტატიები იბეჭდება ცალკე ტომებად იმავე

ქრონოლოგიური რიგით, რომლითაც ჩემს მიერ გამოცემულია ჩემი რჩეული ქართული სტატიების პირველი ტომი. ხარჯებს ორი პირველი ტომის გამოსაცემად გამგეობა ეწევა ჩემი სახელმძღვანელოების მოვებიდან იმ შემთხვევაში, თუ მე ვერ მოვახერხე ამ მიზნისათვის დავსტოკო განსაკუთრებული, სპეციალურად-საჭირო თანხა.

**მეცხრე:** „წერა-კითხვის საზოგადოების“ გამგეობა ყოველწლიურად ათავსებს თავის ანგარიშში განსაკუთრებული ნაწილის სახით რაც შეიძლება ზედმიწევნით ცნობებს ჩემი სახელმძღვანელოებისა და წიგნების გამოცემის, მათი გაყიდვით მიღებული წმინდა მოვების და ამ მოვების გამოყენების შესახებ ჩემი ამა ანდერძის თანახმად.

**მეათი:** თუ „წერა-კითხვის საზოგადოება“ რაიმე განსაკუთრებულ გარემოებათა გამო იძულებული შექმნება შესწყვიტოს თავისი არსებობა, საქმეების ლიკვიდაციის დროს საზოგადო კრებამ საკუთრების უფლება ჩემს სახელმძღვანელოებზე წიგნებზე, აგრეთვე სახალხო-საგანმანათლებლო კაპიტალზე უნდა გადასცეს რომელიმე მნიშვნელოვან ქართულ დაწესებულებას იმ აუცილებელი პირობით, რომ წიგნების წმინდა მოვება და სახალხო-საგანმანათლებლო კაპიტალის სარგებელი გამოყენებულ იქნეს სწორედ იმ დანიშნულებისათვის, რომელიც გამოხატულია ჩემს ანდერძში.

ამა ჩემი ანდერძის აღმასრულებლად ვნიშნავ: ფილიპე გაბრიელის ძე გოგიჩაშვილს, ვალერიან ლევანის ძე გუნიას, ნიკოლოზ იოსების ძე ლომაურს, შიო ზაქარიას ძე დედაბრიშვილს და სოფრომ ზაქარიას ძე მგალობლიშვილს. 1912 წელი 14 მარტი.

ესე ანდერძი შეადგინა, გადასწერა და მას ხელი მოაწერა თვითონ მოანდერძემ იაკობ სიმონის ძე გოგებაშვილმა.

**მოწმენი:**

ილია პეტრეს ძე ნაკაშიძე.

ლიმიტრი მოსეს ძე ღუმბაძე

გრიგოლ იესეს ძე ბურჭულაძე.

უურნალი „განათლება“, 1912 წელი, № 6.

## „დედა ენის“ შემოქმედს

(წყვილტაეპიანი აკროსტიხი)

იაკობ გოგებაშვილის 175 და „დედა ენის“ 140 წლისთავისადმი

ემ ტაძარში, შენ რომ დგახარ, ღვთის თვალს ჩაუხედია,  
იქ სამყაროს შემეცნების სხივის ნათლის სვეტია.

ცლადინის ლამპარივით რომ ენთოს და ელავდეს,  
აი ია დაგვიწერე პოეზიის ენაზე!

ხდემით ავსებს ეს საუნჯე განვლილ ქორონიკონებს  
ძვლავაც კრძალვით კითხულობენ „დედა ენის“ სტრიქონებს.

ითხივ კუთხივ სამზერია ეს საწუთო უვრცესი,  
ოქეანის სივრცეს იტევს წიგნის თითო ფურცელი.

ტილიკ-ბილიკ იარე და მარცვალ-მარცვალ ეძიე,  
ბავშვებისთვის „დედა ენა“ ვიდრე არ მოგვიძიე.

ცზებზე ბეწვის ხიდებს სდებდი, კლდეებს კვეთდი პიტალოს,  
ბასავლელად ძნელი იყო გზები ესევითარი

იდიოთგანვე, რაც კი გვქონდა სიბრძნე დედა ენისა  
ოდრიკალად გადარკალე ფერად ცისარტყელისა...

ცონებრივი „სუფთა დაფა“ რომ გვიზრდიდეს ტიტანებს  
ბანათლების კვირტი უნდა გამოიტანოს.

ცრეკება ქარი ღრუბლებს, ქარს სხვა რა აქვს ხელობა,  
მრთვეროვანს სიტყვას აქცევს აზრი მრავალფეროვნად.

ცედს ის პპოვებს, ვის სულშიაც მზის თვალს ჩაუხედია, —  
ბედის ვიწრო კარიბჭეში ბილიკით რომ შედიან...

ცნბანიდან მოსჩანს ცოდნის ვრცელი მინდორ-ველები,  
აზრმა უნდა გვაპოვნინოს გზები ბედნიერების.

ცემოქმედი სურათისთვის ვით აზავებს აკვარელს,  
შვილის გულში დედის ნანაც ისე ტოვებს ნაკვალევს.

ცინც აგროვებს ყვავილებს, რომ თაიგულად შეკონოს  
პეზიარეთ ჩვენც ასევე „დედა ენის“ სტრიქონებს.

ემ ქურუმთა ტაძრად დგახარ, ანბანით რომ ხარობენ,  
იმ ენით რომ ლოცულობენ, რა ენითაც გალობენ!

ცოცვის სიტყვად რაც აქციე უფლის საგარჯილოზე,  
ლამაზ ხატად გადახატე შემეცნების ტილოზე...

სულის წიაღს ისევ გვივსებს დედა ენა ქართული,  
სილამაზის ვერნისაუზე ვდგავართ წელგამართული.

იმერი ხრეველი



აი ია

**იაპობ გოგიბაშვილი:** „დიდი სიხარულით მივეცით პირველი ადგილი სიტყვას „ია“ თავი სურათით.

რადა?

იმიტომ, რომ ანბანის სწავლის დაწყებისათვის მეტად მოხერხებული სიტყვაა და ბევრი ღირსება აქვს.

პირველი ღირსება ის გახლავთ, რომ ეს სიტყვა შედგება ორის ხმოვნის ასოსაგან, რომელიც გამოსათქმელად ადვილი არიან, დასაწერად არა ძნელნი და შემდეგი გაკვეთილებისათვისაც ფრიად საჭირონი, რადგანაც ამ ასოების შემწეობით ადვილად სდგება სიტყვები და ფრაზები და უამათოდ კი მათი შედგენა შეუძლებელი იქნებოდა;

მეორე ღირსება ის არის, რომ მარტო ამ ორის ასოების შემწეობით ადვილად სდგება ორი სიტყვა და მათგან ფრაზა. ამის გამო ბავშვი პირველსავე გაკვეთილიდან სწავლობს არა მარტო ორ ხმასა და ასოსა, არამედ მაშინვე ჰკითხულობს სიტყვებს და ფრაზას, ამ ასოებისგან შემდგრას. ამის გამო ეს უძვირფასესი რამ არის ანბანის დაწყებისათვის.

ბევრი ენა მოკლებულია ამ გვარს მოხერხებულ სიტყვას“...

ა	ი
ი	ა

იაკობ გოგებაშვილის პალინდრომის უნიკალურობის დამაღასტურებელი კიდევ ერთი თვალსაჩინო მაგალითი (გ. სოზიაშვილი)

## „დედა ენის“ კვალდა კვალ



ამ მაგიდასთან იქმნებოდა სწორუპოვარი „დედა ენა“

„ბ-ნო რედაქტორო! როცა ამ ოცი წლის წინად მოვიწადინე შემძღვინა, ნაცვლად ჩემის წინანდელის ანბანისა, ახალი და სრული პირველ-დაწყებითი სახელმძღვანელო „დედა-ენა“, მე გავემგზავრე სოფლად, ჩემს სამშობლოში“...

„მთელი ექვსი თვე ვიცხოვრე ყრუ, ჭაობიანს სოფელში, ლიახვის პირად; ყველაფერი დავივიწყე, ქვეყანას მოვსწყდი სრულიად, და მხოლოდ ერთს საგანს დავამყარე ჩემი მთავარი ყურადღება: რაც შეიძლება მეტი შემექრიბა იმისთანა ხალხური მეტყველების ნაწარმოები, რომელსაც საყმაწვილო, პედაგოგიური მნიშვნელობა აქვს. მხოლოდ სამი სოფელი – ვარიანი, ახალდაბა, არაშენდა – ერთი მეორის მახლობლად მდებარე, მოგჩხრიკე, მაგრამ ძირის-ძირამდინ-კი“... – წერს იგი.

დაწვრილებით ეკითხებოდა თურმე ყველას – კაცსა თუ ქალს, დიდსა თუ პატარას, გულისფურით უსმენდა და რვეულში ინიშნავდა მხოლოდ იმას, რასაც „მუშტრის, პედაგოგის თვალი სცნობდა შესაბამად, სასარგებლოდ ბავშვებისთვის“, რადგან „ყველა ნათქვამის

და გაგონილის ჩაწერას რომ გამოვდგომოდი, ვერც ექვსს წელიწადს გავათავებდი საქმესა და ფულიც ერთი ათად მეტი მომინდებოდა“... ეს გასაოცარი და დიდებული ადამიანი საკუთარ თავს კი არ ჩიოდა, იმას დარღობდა, – სოფლელების მოცდენა უფასოდ არც საკადრისი იყო და არც შესაძლებელიო.

ამ „ექსპედიციის“ შემდეგ იაკობ გოგებაშვილი დაბრუნებულა თბილისში და როგორც წერილში აღწერს: „ჩამოვიტანე ავი ჭაობის ციება; მაგრამ თანაც ჩამოვაცოცე ვეებერთელა რვეული, გაჭიკილი ხალხური ზღაპრებით, არაკებით, ლექსებით და შევუდეგ „დედა-ენის“ შედგენასა და გამოცემასა“.

მას შემდეგ ოცი წელიწადი გასულა და იაკობ გოგებაშვილი დანანებით აღნიშნავს: ამ წნის განმავლობაში საბავშვო წიგნების შემდგენლებს თავად რომ მოეპოვებინათ მასალები წიგნებისთვის, შეეგროვებინათ და გამოეცათ, ჩვენი სკოლების ბედს ძალლი არ დაჰყეფდა, ისე გავამდიდრებდით სახელმძღვანელოებს



### პირველი გამოცემა „დედა ენისა“

საუცხოო ხალხური სიტყვიერების ნიმუშებით. რადგან თუკი მხოლოდ სამ სოფელში გადავაწყდი ისეთ მარგალიტებს, როგორიც „მოღი ვნახოთ ვენახი“, „რწყილი და ჭიანჭველა“, „მელია და მწყერჩიტა“, „მებადურის შვილი“ და კიდევ უამრავ შესანიშნავ რამეს, ხომ წარმოგიდგენიათ საქართველოს სხვადასხვა კუთხე რამდენ მარგალიტს მალავს, ინახავს და რამდენის მოპოვება იქნებოდა შესაძლებელიო!

\* \* \*

ალბათ ცალი თვალით რომ გადმოხედოს იაკობ გოგებაშვილმა ჩვენს დღევანდელ სინამდვილეს, სახტად დარჩება, იმდენ უკანონობასა და დარღვეულ საავტორო უფლე-

ბას გადააწყდება, თუმცა ეს დიდებული და დიდსულოვანი ადამიანი მოცემულ წერილში სწორედ რომ დიდებულად ზსნის თავის პროტესტს საავტორო უფლების დარღვევის გამო: “ჩვენ აქამდინ მიყუჩებული ვიყავით და საკუთრების უფლებით არ ვსარგებლობდით, იმიტომ რომ ჩვენ-გნივ ნასესხები მასალა არავის არ მოუხმარნია ბოროტად ქართულის ენის საზიანო და შესამცირებლად სკოლებში. მაგრამ რადგანაც მოსალოდნელია, რომ ზვალ ამისთანა პირნი აღმოჩნდნენ, თავისი პირადი სარგებლობით დაბრმავებულნი, ამიტომ ვაცხადებთ საყოველთაოდ: ჩვენს სრულს ნებას, სრულს უფლებას ვაძლევთ დედა-ენიდგან ისარგებლოს მხოლოდ იმან, რომელიც შეადგენს უფრო მდიდარს, უფრო უკეთესს და სრულს სახელმძღვანელოს. ეს ღირსება სახელმძღვანელოსი აღიარებულ უნდა იქმნას ან წერა-კითხვის საზოგადოების მიერ, ან თბილისის სააზნაურო სკოლის კომიტეტის მიერ და ან ქუთათურ სააზნაურო სკოლის პედაგოგიურის საბჭოს მიერ მონაწილეობით ძველის სენაკის სააზნაურო სკოლის ინსპექტორის სამსონ გიორგის ძის ყიფიანისა. მაგრამ თუ „დედა-ენიდგან“ გადაიბეჭდება ან მოთხოვთ ან ზღაპრები, ან არაკები და ან ლექსები იმისთანა სახელმძღვანელოში, რომელიც მიმართულია იმ ქარის მიმართულებაზედ, რომელიც გაიზუზუნებს: „რაც უღატაკესია ქართული სახელმძღვანელო, ის უკეთესია“; მაშინ ჩვენ მოვიხმართ სავსებით სალიტერატურო საკუთრების უფლებას და წიგნს დავადებთ აკრძალვასა, დარწმუნებულნი, რომ ამ ნაბიჯს ჩასთვლის სამართლიანად და სასარგებლოდ საზოგადო სიკეთისათვის ყოველი კეთილ-სკინიდისიერი და გონიერი ქართველი იმერი და ამერი“...

იაკობ გოგებაშვილის ეს წერილი 1896 წლის 31 დეკემბერს დაიბეჭდა გაზეთ „ცნობის ფურცელში“.

## როგორ იქმნებოდა „დედა ენა“

ჩვენს ცივილიზაციულ სამყაროში ყოველი განვითარებული ერი განსაკუთრებით უფრთხილდება საკუთარი ენის სიწმინდეს, ფერწერული და გრაფიკული შედევრების დონეზე ხატავენ თავიანთი იეროგლიფური თუ ალფაბიტური დამწერლობის ნიმუშებს, ძეგლებს უდგამენ დიდ განმანათლებლებს, მწერლებსა და მოაზროვნეებს, საქართველოში კი გვაქვს ძეგლი „დედა ენისა“!

„დედა ენა“ ეს არის წიგნი, რომელსაც ქართველმა ხალხმა ძეგლი დაუდგა (ავტორი: ელგუჯა ამაშუკელი (1928-2002)). ამ ძეგლთან ყოველი წლის 14 აპრილს ზეიმით აღინიშნება „დედა ენის“ დღე.

მომავალი, 2016 წელი, „დედა ენის“ საიუბილეოა – მისი დაბეჭვდიდან 140 წელი სრულდება, ხოლო მიმდინარე წლის 27 ოქტომბერს თვით „დედა ენის“ შემდგენელს, იაკობ გოგებაშვილს უსრულდება 175 წელი.

იაკობ გოგებაშვილმა მთელი თავისი ცხოვრება და შემოქმედება მომავალი თაობის აღზრდაზე ზრუნვას, ქართული სალიტერატურო ენის განვითარებასა და მეცნიერული პედაგოგიკის დამკვიდრებას მიუძღვნა.

მიუხედავად არასტაბილური ფიზიკური ჯანმრთელობისა და დაუნდობელი ცარისტულ-იმპერიული ცენზურისა, ჩაიფიქრა, დაგევმა და განახორციელა ის საქმე, რომელიც დღემდე წარუმლელ კვალს სტოკებს თაობათა სულიერი თუ გონიერივი განვითარების სრულყოფის საქმეში.

XIX საუკუნის სამოციანელთა მოღვაწეობამ ააღორძინა თაობის მებრძოლი სული, მათი გონების გამონაშუქმა გაანათა ერის სულიერი, ფიზიკური, ინტელექტუალური განვითარების გზა, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო ბირივი დიქტატი ცხოვრების ყველა სფეროში იმპერიული ცენზურის კონტროლს ექვემდებარებოდა. ქვეყნაში, სადაც

იმპერიამ თავისი ენა გახადა სავალდებულოდ, უპირველესად მშობლიური ენის გადარჩენის საკითხი დადგა ყველაზე მწვაველ დღის წესრიგში...

მეჩვიდმეტე საუკუნემდე საქართველოში წერა-კითხვას მონასტრებთან და სასულიერო სავანებთან არსებულ სკოლებში ასწავლიდნენ იმ დროს გავრცელებული ანბანითა და სავარჯიშოებით, რომელიც დართული პქნიდა „უამნა“, ფსალმუნსა და სხვა კანონიკურ ტექსტებს.



„ჩვენი წინაპარნი ხალხის განათლებას ყოველთვის დიდ მნიშვნელობას აძლევდნენ, – წერდა გაზეთი „დროება“ 1883 წელს, – რაწამს საქართველო გარეგანი ბარბაროსებისაგან შეისვენებდა და სულ მობრუნებდა, მაშინვე სკოლების გამართვას, ცოდნის გავრცელებას შეუდგებოდნენ ხოლმე გულმოდგინედ. ჩვენში ცოდნას, წიგნსა ყოველთვის სდებია დიდი, წმინდა ევროპული პატივი. როდესაც ათასის წლის განმავლობაში სხვა ერის ისტორია არ წარმოადგენს თითქმის არც ერთს სამეფო პირსა, რომელსაც მწიგნობრობაში, ლიტერატურაში მიეღოს პირდაპირი მონაწილეობა, ჩვენმა სამეფო სახლმა მარტო ერთს მეთვრამეტე საუკუნეში გამოიყვანა მწიგნობრობის, ლიტერატურის ასპარეზზედ

რამდენიმე მაღალ-ნიჭიერი მოღვაწე, როგორიც იყვნენ ვახუშტი, ბატონიშვილი იოანე და თეომურაზი. სამღვდელოება, თავად-აზნაურობა, გლეზობა ძვირად აფასებდნენ სწავლასა და სიყმაწვილითგან სიბერემდის მიისწრაფოდნენ მისადმი”.

მეთვრამეტე საუკუნეში უნდა შექმნილიყო საფუძველი ქართული სულიერი, საგანმანათლებლო და სალიტერატურო კულტურის აღორძინებისა, რამდენადაც ქართველი მეფის – ვახტანგ მეექვის, მისი სწავლული მემკვიდრეების, ასევე სწავლულ კაცთა და მესტამბეთა შედეგიანმა მუშაობამ პირველი ნაყოფი გამოიღო. განმანათლებელი მეფე „ვეფხვისტყაოსნის“, „დავითნის“ და რიგი სხვა წიგნების გვერდით თარგმნიდა და გამოსაცემად ამზადებდა სახელმძღვანელოებს ასტრონომიის, ბუნებისმეტყველების, გეოგრაფიის, სამართლის საკითხებზე, ლექსიკოლოგიურ და დიდაქტიკურ წიგნებს, რათა ქვეყანა და სდგომოდა მომავალი აღორძინების გზას, მაგრამ ისტორიის ჩარხი უკულმა დატრიალდა და სახელმწიფოებრიობის განმტკიცების ნაცვლად ერთმორწმუნე რუსეთის თვითმპყრობელობის სივრცეში, ფიზიკური არსებობის შენარჩუნებისათვის ნებაყოფლობით მოხვედრილი სახელმწიფო ლამის სულიერი კატასტროფის წინაშე დადგა. „ქართული სახელმწიფოებრიობის ფინალმა, საქართველოს რუსეთთან შეერთებამ, სრულიად აღგავა პირისაგან ჩვენის ქვეყნისა, უამთა ვითარებას გადარჩენილი განათლების თითო-ოროლა სარკმელი“ (კრებული „იაკობ გოგებაშვილის სახსოვრად“, ტფ. 1913, გვ. 38).

იმპერია ყველა ხერხსა და საშულებას მიმართავდა დაეთრგუნა ერში ეროვნული სულისკვეთება და თავისუფლებისკენ სწრაფვის სურვილი. XIX საუკუნის 80-იან წლებში განსაკუთრებით გაძლიერდა ზეწოლა იმპერიის მხრიდან. იმპერიული კონცეფცია ემყარებოდა „ჩაგრული ერებისადმი დახმარების“ იდეას. ცალკე ენებად გამოცხადდა მეგრული, ლაზური და სვანური.

1881 წელს კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველმა იანოვსკიმ გაავრცელა ცირკულარი, რომლითაც ქართული ენა ცხადდებოდა არასავალდენულოდ, ხოლო სამეგრელოს, სვანეთის სკოლებში სწავლა შემოიღო მეგრულ და სვანურ ენებზე.

თერგდალეულებმა სათანადო პასუხი გასცეს ამ პროვოკაციულ განზრახვას და მოუწოდეს არა მარტო მეგრელებსა და სვანებს, არამედ აფხაზებსაც არ აჰყოლოდნენ იმპერიულ პროვოკაციებს.

ასეთ როგორ დროს ითავა იაკობ გოგებაშვილმა, შეედგინა დაწყებითი სახელმძღვანელო ბავშვებისათვის, რომლის სახელწოდებაც კი იმთავითვე მშობლიური გახდა თაობებისათვის, რადგან სახელმძღვანელოს „დედა ენა ერქვა.

„დედა ენის“ დაბეჭვდამდე, 1865 წელს ი. გოგებაშვილმა გამოსცა „ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის“, რომელიც სკოლებში იმთავითვე მტკიცედ დამკვიდრდა, რადგან გაცილებით უკეთესი იყო იმ დროს უკვე არსებული „ქართული საანბანო სახელმძღვანელოსთან“ შედარებით. 1868 წელს იაკობმა გამოსცა „ბუნების კარი“.

„დედა ენის“ გამოცემის იდეა იაკობს ჯერ კიდევ 1874 წელს გასჩენია, მაშინ როდესაც მთელი რვა თვის განმავლობაში სამკურნალოდ იმყოფებოდა სოხუმში და აქვე დაუწყია მასალის შეგროვება. დასაწყისისათვის მას ქართველი პოეტებისთვის უთხოვია, რომ სახელმძღვანელოსთვის ეთარგმნათ ლექსები, მაგრამ საკმარისად არ ჩათვალა ეს ლონისძიება და წერილით სთხოვა თბილისში მყოფ სერგი მესხს, რომ აარჩიოს გაზეთ „დროებაში“ დაბეჭდილი საბავშვო ლექსები და გაუგზავნოს მას. იმავე 1874 წელს სოხუმიდან იაკობი მიემგზავრება თავის სოფელ ვარიანში და აგრძელებს მასალების შეგროვებას „დედა ენის“ პირველი გამოცემისთვის. აქ შეკრებილი ხალხური ლექსები და ზღაპრები პირველსავე გამოცემაში დაიბეჭდა და შემდეგ სხვადასხვა სახეცვლილებებით დიდხანს იბეჭდებოდა „დედაენის“ ახალ გამოცემებში.

ლიტერატურულ ასპარეზზე სამოციანელთა გამოჩენამდე ჩვენში არ არსებობდა საბავშვო ლიტერატურა, იღეურად გამიზნული, სიუჟეტურად ჩამოყალიბენული, გააზრებული, მხატვრული ღირსების შემცველი საბავშვო ნაწარმოები, ასევე არ იყო მოზარდებისთვის არავითარი ისტორიულ-გეოგრაფიული ცოდნა და არც შესაბამისი სახელმძღვანელოები. იაკობის მიზანი იყო შეევსო ეს დანაკლისი. იგი თავის პატივისაციებშიც ამხელდა იმდროინდელ საშიშ ტენდენციას ცარისტული პოლიტიკისა საქართველოში, რომელიც ნათლად ჩანს ქართველთმობულე რუსიფიკატორის, დეკანოზ ვოსტოროვის სიტყვებში, იაკობ გოგებაშვილი რომ იმოწმებს: „საქართველო ოდესლაც იყოო, ახლა არსებობს მხოლოდ კავკასიაო, რომლის გეოგრაფიას რუსულ ენაზე ასწავლიანო, და მხოლოდ გადაჭარბებულს პატრეიოტობას უნდა დავაბრალოთ ქართული ენის სახელმძღვანელო წიგნში საქართველოს გეოგრაფიის და ისტორიის მოქცევაო“.

მანამდე კი, XIX საუკუნის 30-იან წლებში, თვით „ქართლის ცხოვრების“ მეცნიერული მნიშვნელობის უარყოფით გამოღიოდა ცნობილი არაბისტი, გარუსებული პოლონელი პროფესორი ო. ი. სენკოვსკი. ეს ის დროა, როცა საქართველოს ისტორიის იგნორირება და უარყოფა ხდებოდა თითქმის იმ დონემდე, რომ ისტორია მხოლოდ კოლხეთს გააჩნდა, ხოლო აღმოსავლეთ საქართველო არ ეკუთვნოდათ ქართველებს.

სენკოვსკი ამტკიცებდა, რომ ქართველებს ძველი ისტორია არ გააჩნიათ. „ქართლის ცხოვრება“ მთლიანად XVIII საუკუნეშია შეთხზულიო. სენკოვსკის აზრით, ქართველებს საქართველოში XII საუკუნემდე არ უცხოვრიათ, რომ მანამდე აქ მხოლოდ სომხები, მასაგეტები და თურქები ცხოვრობდნენ. ამასთანავე სენკოვსკიმ იცის, რომ ანტიკური დროის წყაროებში იხსენიება იბერია, რომელსაც მეცნიერები სქართველოდ თვლიან. იგი უარჰყოფს იბერიელების და ქართველების იდენტურობას და ცდილობს დაამტკიცოს, რომ

ანტიკური ხანის წყაროების იბერიაში მხოლოდ დასავლეთ საქართველო იგულისხმება და რომ იქ ცხოვრობდა სხვადასხვა მოდგმის მრავალი ტომი, რომელთა შორის იქნებ იყვნენ კიდეც ქართველები (რუს-კარტველი), მონათესავენი დღევანდელი ქართველებისა, მაგრამ მონათესავეობა, სენკოვსკის აზრით, სხვა ხალხის ისტორიის მითვისების უფლებას არ იძლევა.

„საქართველოს ისტორია შეიძლება დავიწყოთ XII საუკუნიდან, ხოლო რაც შეეხება ვახტაგ გორგასალს, იგი თურქების ბელადი უნდა ყოფილიყო“, — ბრძანებს „მეცნიერი“. ეს ის სენკოვსკია, რომელზეც თვით რუსი მკვლევარი პროფესორი ა. ი. იაკუბოვსკი წერს: „სენკოვსკი დაუს ნე პრიზნავალ რუსკიი იაზიკ ზა იაზიკნა კოტორომ მოუწონ პისატ ნაუჩნიე ტრუდი“.

ასეთ ნიჟილიზმს მართლაც უნდა დაპირისპირებოდა არგუმენტირებული და დოკუმენტურად განმტკიცებული საღი აზრი, რაც შეძლეს კიდეც სამოციანელებმა და არა მარტო სწორი მიმართულება მისცეს მეცნიერულ აზრს, არამედ იაკობ გოგებაშვილის თავკაცობით, ყრმობილანვე ჩაუნერგეს მოზარდებს ჭეშმარიტების განცდა და პატრიოტული სულისკვეთება.

იაკობს გვერდით დაუდგნენ იმ დროს მოღვაწე დიდი მამულიშვილები ილიასა და აკაკის თავკაცობით, რათა ეხსნათ სიკვდილის პირად მისული ქართული ენა, გაყალბებისგან გადაერჩინათ ერის ისტორია. განგებამ თითქოს ბედად მოგვივლინა XIX საუკუნის მეორე ნახევარში ეს დიდი მოღვაწენი, რათა ერთიანი ძალით, ყველას თავ-თავის სამოღვაწეო უბანზე გადაეჭრა ის ამოცანა, რომელიც ერისა და ქვეყნის ერთიან სატკივარს წარმოადგენდა.

გოგებაშვილის პედაგოგიურ მემკვიდრეობაში „დედა ენას“ გამორჩეული ადგილი იმიტომ უჭირავს, რომ ამ წიგნმა მოზარდებს გაუხსნა გზა ცოდნისაკენ და გადამწყვეტი როლი შეასრულა მოზარდი თაობის აღზრდის, განათლებისა და პატრიოტული

სულისკვეთების ჩამოყალიბების საქმეში. „დედა ენას“ მალე გვერდი დაუმშვენა „გუნების კარის“ მრავალფეროვანმა გამოცემამ.

„ორმოცი წელიწადი ამუშავებდა ავტორი ამ წიგნს, — ვკითხულობთ გოგებაშვილის სახსოვრად 1913 წელს გამოცემულ კრებულში, — ავსებდა, ამოკლებდა და მხოლოდ უკანასკნელი გამოცემა ჩასთვალა დასრულებულად და მართლაც რომ გაამშვენა და გახადა ძვირფას განძად ყველა ქართველისათვის, რომელსაც მნიშვნელობა არასოდეს დაეკარგება. ჩვენს შავბნელ, ქარცეცხლიან დროში, როცა ჩრდილოს ქარი უწყალოდ აზრობდა ქართულის გონების ნორჩ ყვავილს სკოლებში, — „ბუნების კარი“ იყო მყუდრო ნავსაყუდარი, სადაც მოზარდობა პოულობდა სულიერ დაქმაყოფილებას, სულიერ საზრდოს, პურს ნაცვლად ქვისა, რომლითაც სასწავლებლებში უმასპინძლდებოდნენ“.

„დედა ენის“ პირველი გამოცემის წინასიტყვაობაში იაკობ გოგებაშვილმა ჩამოყალიბა სახელმძღვანელოს შედგენის პრინციპები, სწავლების მეთოდები, წიგნის ერთიანი სტრუქტურა...

წიგნი შედგება ანბანისა და ანბანის შემდეგ საკითხავი პატარ-პატარა ლექსებით, მოთხრობებით, ზღაპრებით, ანდაზებით, გამოცანებითა და სასაუბროებით. სახელმძღვანელოში პირველი გაკვეთილი დაეთმო ქართულ მეტყველებაში უფრო მეტად გავრცელებულ ხმოვნებს — „ა“-ს და „ი“-ს და მათგან შედგენილ სიტყვას — „აი ია“.

„აი ია, — როგორც პუბლიცისტი ნ. ქავთარაძე შენიშნავს, — წარმოადგენდა იაკობ გოგებაშვილის დაუღალავი შემოქმედებითი ძიების გვირგვინს, ქართული ანბანის გასაღებს. იაკობ გოგებაშვილმა სახელმძღვანელოში საანბანო გაკვეთილები ისე განალაგა, რომ თითოეული მათგანი დაწყებულიყო მარტივი სიტყვითა და ფრაზებით“ (ნ. ქავთარაძე, „საქართველოს ბიბლიოთეკა“, №1, 2010, გვ.11).

იაკობ გოგებაშვილი სახელმძღვანელოში შექატან მასალას განსაკუთრებული სიფრთხილით არჩევდა. ეს იქნებოდა პოპულარულ ავტორთა თუ სოფელში გლეხისგან ჩაწერილი ზეპირსიტყვიერების ნიმუშები. „დედა ენის“ 1876 წლის გამოცემა მდიდარია საუკეთესო ფოლკლორული მასალებით, უცხოელ მწერალთა თარგმნილი ნაწარმოებებით. წლიდან წლამდე ხვეწდა და ავსებდა ყოველ ახალ გამოცემას დიდაქტიკური და პატრიოტული სულისკვეთებით შექმნილი ნაწარმოებებით. უნდა ითქვას, რომ ქართველ კლასიკოსთა მიერ იაკობის დაკვეთით შექმნილი ნაწარმოებები მყისვე პოულობდნენ შესაბამის ადგილს „დედა ენის“ ახალ გამოცემებში. მაგ., „დედა ენას“ და „ბუნების კარში“ ყველაზე მეტი ნაწარმოები გვხვდება ილიასი, აკაკისა და რაფიელ ერისთავისა. „დედა ენის 1912 წლის გამოცემაში აკაკი წერეთლის 12 ლექსია შეტანილი, „ბუნების კარში“ კი – 18, თითო ნაწყვეტი „ჩემი თავგადასავალიდან“ და „ბაში-



აჩუკიძან“, ერთიც არაკი – „ნაცარქექია“.

როგორც იაკობის თანამედროვე ავტორთა, ისე ხალხური სიტყვიერების ბევრი ბრწყინვალე ნიმუშია შეტანილი სახელმძღვანელოში – ისეთი, როგორიცაა: „ხალხური სიმღერა“, „მოსიყვარულე ამხანაგი“, „პატარა ქალის ნატვრა“, „ყაყაჩო და ყმაწვილი“, „მოწვევა სწავლაზე“, „რწყილი და ჭიანჭველა“, მკეხარა ქოთანი“, „ქართველები“, „ამირანი“ და სხვა. აქვეა მოთავსებული საინტერესო ანდაზები და გამოცანები; გვხვდება ჩქარსათქმელები ანუ ენის გასატეხი სავარჯიშოები. გამოცანებისა და ანდაზების სწავლებას იაკობ გოგებაშვილი მოზარდის გონების გახსნის საუკეთესო საშუალებად თვლიდა.

„დედა ენაში“ ვრცელი ადგილი აქვს დათმობილი ზღაპრებს, რომლებიც თვით იაკობ გოგებაშვილის მიერაა შეკრებილი. მის გადამუშავებას კი პედაგოგიური თვალსაზრისით უდგებოდა. „დიდი რაოდენობა ჩვენი შეკრებილი ლექსებისა და ზღაპრებისა დავბეჭდეთ სწორედ ისე, როგორც გავიგონეთ ხალხისაგან. ზოგში კი ცვლილება შევიტანეთ. ეს ცვლილება გამოიწვია იმ გარემოებამ რომ ზოგ ლექსის, ფორმით მშვენიერს, შეუსაბამო და მავნე შემეცნება აფუჭებს და უვარგისად პხდის ბავშვისათვის. ჩვენ ეს შემეცნებანი პედაგოგიური მოსაზრებით გამოვტოვეთ და მათ მაგიერ ჩავურთეთ შესაბამისი და სასარგებლო შემეცნებანი“.

ხალხურ სიბრძნეთა გვერდით „დედა ენაში“ სხვადასხვა ეპოქის ქართველ და უცხოელ ავტორებსაც აქვთ დათმობილი სათანადო ადგილი, მაგ., იაკობი ზშირად მიმართავს სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისას“; აქვეა ივანე კრილოვისა და ეზოპეს იგავ-არაკები; პეტრე უმიკაშვილის მიერ შეკრებილი ხალხური საუნჯიდან საუკეთესო ნიმუშები იძეჭდება „დედა ენაში“.

ქართველი პოეტებიდან „დედა ენის“ პირველ გამოცემაში წარმოდგენილია დ. გურამიშვილის, ი. ჭავჭავაძის, ნ. ბარათაშვილის, დ. დადიანის, გ. ჭალადიდელის და რ.

ფავლენიშვილის თითო ლექსი. ამ დროს იაკობის ხელთ არ ჰქონდა აკაკი წერეთლის შემოქმედენითი ნიმუშები, მაგრამ შემდგომში აკაკი ინტენსიურად წერდა ბავშვებისათვის იაკობის დაკვეთით და არაერთი შედევრიც შექმნა.

იაკობ გოგებაშვილი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მუსიკის როლს ბავშვთა აღზრდის ხელოვნებაში. იგი საჭიროდ მიიჩნევდა სასწავლო პროცესში მუსიკის გამოყენებას, რადგან დიდი პედაგოგის რწმენით, „იგი უძლიერებს სიხარულს, უნელებს სიმწუხარეს, უქარვებს დარღებს, ავსებს მხნეობით, ფრთებს ასხამს ყოველს კარგს მისწრაფებას, აძლიერებს ეროვნულს გრძნობას, აერთებს ყველა წოდებას, ყველა კლასს, პქნის ერთეულ ერსა...“ ამიტომაც იყო, რომ წინა წლებისაგან განსხვავებით „დედა ენის 1912 წლის გამოცემას იაკობმა ქართული ხალხური სიმღერების ტექსტები და ნოტები დაურთო.

დასასრულ, არ შეიძლება რამდენიმე სიტყვა არ ითქვა „დედა ენის“ ილუსტრაციებზე, რაზეც განსაკუთრებით დიდ ყურადღებას იაკობ გოგებაშვილი, რადგან მიაჩნდა, რომ „შინაარსის აზრიანად ათვისებას მხოლოდ ზომიერად გამოყენებული სურათობრივი თვალსაჩინოება უწყობს ხელს“. „დედა ენის“ პირველ გამოცემებზე ნახატების ავტორთა გგარები არაა აღნიშნული, მაგრამ მკითხველებისთვის ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ „დედა ენის“ იმ წლების ილუსტრაციების ავტორია საქართველოს მკვიდრი გერმანელი მხატვარი ოსკარ შმერლინგი (1863-1938), ასევე ქართველი გრავიორ-ქსილოგრაფი, ახალი გრაფიკული ხელვნების ფუძემდებელი და მრავალი საინტერესო გამოცემების მხატვარი გრიგოლ ტატიშვილი.

„დედა ენის“ გარშემო შემოკრებილ ამ მოღვაწეებზე შეიძლება ზედგამოჭრილი იყოს გამოთქმა: „ისინი იმ დროს და იმ ადგილზე აღმოჩნდნენ, სადაც საჭიროებამ მოითხოვა!“

**სიმონ ჯაფარიძე.**

## რანი ვიყავით გუშინ...

პროზა

იყო კოგებშეიღილი

### ცხრა ძმანი ხერხეულიძენი

თბილისის სამხრეთით, ორმოცი ვერსის მანძილზე მდებარეობს მოზრდილი სოფელი მარაბდა. სამასი წლის წინათ ამ სოფელში ცხოვრობდა მოხუცი აზნაური ხერხეულიძე, რომელიც გადასახლებული იყო ზემო ქართლიდან და რომელსაც ცხრა ვაჟი ჰყავდა. მამა ამ ცხრა ვაჟისა იყო ერთგული მოყვარე თავისი ქვეყნისა და მხურვალე მამულიშვილი. ცოლად მას ჰყავდა ყოვლად ღირსეული ქართველი მანდილოსანი. ამის გამო ცხრა ძმანი ერთიერთმანეთზე უკეთესი ვაჟაცები და მამულიშვილები დადგნენ.

იმ უამად სპარსეთში მეფობდა შაპი აბასი, მეტად აბეზარი მეომარი. მას ჰყავდა მრავალი ჯარი, გაწვრთნილი და გამოცდილი ლაშქრობაში. შაპ-აბასმა დაიპყრო ბევრი ქვეყანა და ბოლოს საქართველოშიც შემოიჭრა. ქართველთა ჯარი მას გადაელობა გზაზე თბილისის მახლობლად მარაბდის სამხრეთით. ატყდა საშინელი ბრძოლა. სამი დღის განმავლობაში სისხლი შეუწყვეტელ ნაკადულებად დიოდა. თუმცა სპარსელები ერთი-ათად მეტი იყვნენ, მაგრამ მათ სამი დღის განმავლობაში ქართველს ჯარს ფეხი ვერ მოაცვლევინეს, რადგანაც ქართველი მეომარნი თავგანწირულად იბრძოდნენ სამშობლოს დაცვისათვის. მეტადრე საოცარ უშიშროებას, სამაგალითო ვაჟკაცობას და საარაკო თავდადებულობას იჩენდნენ ცხრა ძმანი ხერხეულიძენი, რომელიც ერთად, მხარდამხარ ებრძოდნენ მტერსა, მათ სპარსელების არა ერთი იერიში უკუქციეს, არა ერთხელ აქნევინეს ზურგი მტერსა, მაგრამ მეოთხე დღეს სპარსელებს ახალი ჯარი მოეშველა და დაღლილ-დაქანცულმა ქართველთა ლაშქარმა ვეღარ შეიკავა მტერი. ამ საშინელი წამის დროს მმანი ხერხეულიძენი არამც თუ არ შედრეკნენ, არამედ ლომებად



ცხრა ძმა ხერხეულიძე დედითა და დით და მათ თანა ცხრაათასი ქართველნი, მარაბდას ბრძოლის ველზე მომწყდარნი (ჩვ.წ აღ-ით 1625) ხენების დღე 3 (16) აგვისტო.

გადაიქცნენ და უფრო მომეტებული თავის განწირვით იბრძოდნენ. მათ გადაწყვეტილი ჰქონდათ: — ან გაემარჯვათ, ან ბრძოლის ველზე დახოცილიყვნენ ყველანი. და რადგანაც ქართველმა ჯარმა ვერ გაიმარჯვა, თავდადებულნი ძმანი, ერთიერთმანეთზე ზედ შეაკვდნენ მტერსა და თავისი გმირული სული დალიეს ბრძოლის ველზე.

ხალხის თქმულებით, მათი დედაც ბრძოლის ველზე იყო, ამხნევებდა მათ და როცა ერთ მის ვაჟს, სასიკვდილოდ დაჭრილს, ქართული დროშა ხელიდან გაუქარდა, დედამ აიღო დროშა და თავის მეორე შვილს მისცა ხელში.

მადლიერმა ქართველებმა ეს ცხრა ძმა იპოვნეს ბრძოლის ველზე მკვდართა შორის, თითოეული დიდი მოწიწებით დამარხეს ცალ-ცალკე მწკრივად და დაადვეს ცხრა დიდ-დიდი საფლავის ქვა, რომელიც დღემდის დაცულია.

## ასპირის ოში

„მამული ველარ იხილავს ირაკლის ზმალსა მღელვარეს,  
დიდება ივერიისა მასთან მარხია სამარეს“.

გრ. ორბელიანი

### 1. შესავალი

მშვენიერი სანახავია მოწმენდილი ცა განთიადის წინ. ლაშვარდის ფერი გაუზომელი გუმბათი მოჭედილია ბრწყინვალე ვარსკვლავებითა და ესენი განუწყვეტლივ ებრძვიან ღამის სიბნელესა და ჰუნენ დაუსრულებელს სივრცეში სინათლესა და ლხენასა. ამ სასიქადულო ქვეყნის სამსახურში ყველაზე მეტად დაწინაურებულია ორი მნათობი: ცისკარი და ხარისთვალა. ესენი ჩვენს დედამიწას ისე უხვად უგზავნიან სინათლესა, რომ ბნელს ღამეს ამსგავსებენ ნათელს დღესა. ქება და დიდება ცის მნათობებსა და უპირველესად ყოვლისა მათ შემოქმედსა.

ასეთსავე საოცარს სამზერს წარმოადგენს სამოცდახუთის წლის მეფობა წარსულს საუკუნეში ერეკლე მეორისა, ანუ “პატარა კახისა”. იგი დაუსრულებელი ბრძოლაა სინათლისა სიბნელესთან, თავისუფლებისა მონბასთან, ბრძოლა, სავსე საოცარი ვაჟეაცობით, მრავალის ბრწყინვალე გამარჯვებათ შორის ორი კაშკაშებს განსაკუთრებული შუქითა. ერევნისა და ასაინძის ომი — აი ხარისთვალა და ცისკარი ერეკლეს სამხედრო მოქმედებაში.

პირველს — ერევნის — ომში ჩვენი სახელოვანი მეფე სამი ათასი კაცით შეებრძოლა თვრამეტ ათას სპარსელს ჯარსა, თავისი ხელით მოუკლა მას ერთი საუკეთესო წინამძღოლთაგანი, შიშის ზარი დასცა მტერსა, სძლია იგი, დააყრევინა ბევრი ზარბაზანი, წაართვა მრავალი სიმდიდრე და საშინლად დამარცხებული გააქცია.

მეორე — ასპინძის — ომში ისე იჩინა თავი, ისეთი საოცარი ვაჟეაცობა და სამხედრო ხელოვნება გამოიჩინა, რომ მთელი ევროპა გააცვიფრა, აღტაცებაში მოიყვანა თვით



### ერეკლე მეფე

ფრიდრიხ დიდი, პრუსიის უძლეველი მეფე, და სახელად დაერქვა “ასპინძის გმირი”. ქება და დიდება ერეკლე მეფის სახელსა და დღეგრძელობა მის დამბადებელს და აღმზრდელს ქვეყანასა!

### 2. იმპერატრიცა ეკატერინე და ერეკლე მეფე

მე ამ უამად მწადია მოგითხოვ ამბავი მხოლოდ ასპინძის ომისა.

1769 წელსა რუსეთის იმპერატრიცამ ეკატერინე მეორემ ომი გამოუცხადა ოსმალეთსა. ამავე დროს მისწერა ქრისტიან ხალხებს, რომელნიც შავ ზღვას იქით

ცხოვრობდნენ და ცხოვრობენ, რომ ისინიც შეიარაღებულიყვნენ, რუსეთისათვის მხარი დაეჭირათ და გაღლაშქრებულიყვნენ ოსმალეთზე, ამ ქრისტიანობის მტერზედა. ესევე მოსწერა იმერეთის მეფეს სოლომონსა და ქართლ-კახეთის მეფეს ერეკლესა. ბერძნებს, ჩერნოგორელებს, სერბიელებს, ბოლგარელებს და სხვა ხალხებს ბალკანეთის ნახევარკუნძულისას შეინოდათ ოსმალეთისა და ყური მოიყრუეს, ომში მონაწილეობა არ მიიღეს. სრულიად სხვარიგად მოიქცა ერეკლე მეფე. მაშინვე შეუდგა საღაშქრო მზადებას და ომიც გამოუცხადა ოსმალეთსა. ესე მოიქცა ჯერ იმიტომ, რომ უნდოდა ეამებინა ეკატერინესათვის და რუსეთთან კავშირი განემტკიცებინა, და მეორე იმიტომ, რომ ამ ომიდან ის თავისი სამეფოსათვის დიდს სიკეთეს მოელოდა. ჯავახეთი და ახალციხის მხარე, ქართველი ტომით დასახლებული, უძველესი დროიდან საქართველოს ეკუთვნოდნენ; მაგრამ იმის წინა საუკუნეში ისმალეთმა ისარგებლა საქართველოს სისუსტით, ეს ქვეყნები გამოჰვევით ხელიდან და დაისაკუთრა. და აი, ერეკლეს ეწადა რუსეთის ჯარის დახმარებით წარმატების და თრი მხარე ოსმალეთისათვის და შემოერთებინა საქართველოსთანა.

უფრო კიდევ მომეტებული სიამოვნებით მიემზრო რუსეთს სოლომონ მეფე, რომელიც უამისოდაც ებრძოდა ოსმალეთსა.

### 3. ერეკლე მეფე და ტოტლებენი

სოლომონ მეფის და ერეკლეს მოსაშეველებლად იმპერატრიცა ეკატერინემ რუსეთიდან გამოგზავნა ოთხი ათასი ჯარისკაცი, გენერალის ტოტლებენის წინამდლობით. ეს ჯარი გადმოვიდა კავკასიონის ქედზე სამხედრო გზით, გაიარა ქართლი და დაიბანაკა სურამსა. ერეკლემაც მალე შეკვრიბა შვიდი ათასი კაცი, წაიღო სამი ზარბაზანი და წაიყვანა თან თავისი მემკვიდრე გიორგი და ორი ეპისკოპოზი მოძრავი საყდრითურთ... შეერთება ჩვენისა და რუსეთის ჯარისა მოხდა სურამთან. აქედან შეერთებულმა ლაშქარმა გასწია ბორჯომის ხეობისკენ ოსმალებთან საბრძოლველად. ეს იყო 1770 წლის აპრილის დამდეგსა. გზაზე მოულოდნელად ჩამოვარდა განხეთქილება

ერეკლესა და ტოტლებენს შორის... რა იყო ამის მიზეზი? ტოტლებენს უნდოდა ხელში ეგდო შეერთებულის ქართველ-რუსთა ჯარის უფროსობა და თავის ნებაზე წაეყვანა საქმე. ერეკლე კი ჰუკიქრობდა, რომ წინამდლოლობა და ბატონობა მე მეუთვნის, როგორც მეფესა და გამოცდილ სარდალსაო. განხეთქილებამ თანდათან იმატა და სიძულვილად გადაიქცა. შეერთებული ჯარი მაინც წინ მიღიოდა, გაიარა



აწყურის ციხე

ტაშის კარი, შევიდა ბორჯომის ხეობაში, ასცილდა ბორჯომსა და მიადგა აწყურის ციხესა, რომელსაც იცავდა ოსმალეთ-ლეკების ჯარი. ძველი აწყურის ციხე, აქამოძე დარჩენილი, აშენებულია მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, მიუვალს კლდეზე; აქვს მეტად განიერი და მაგარი კედლები და მისი აღება ძლიერ ძნელი იყო იმ დროს. ერეკლე მეფე იმ აზრზე იდგა, რომ აწყურისა და ახალციხის ციხებისათვის მხარი აექციათ, გარეშე მყოფი ჯარი მტრისა დაემარცხებინათ, სადაც კი შეხვდებოდათ, გარშემო ქვეყნები დაეჭირათ, მეციხოვნე ჯარები გაემარტოებინათ, საშმელ-სასმელის მიწოდება შეუძლებელი გაეხადნათ და სიმშილ-წყურვილით ბოლოს და ბოლოს დაემორჩილებინათ. ტოტლებენს კი დიდი იმედი ჰქონდა თავისი ზარბაზნებისა და ჯიუტად ამტკიცებდა, რომ უკეთესი იქნება ჯერ ციხეები აწყურისა და ახალციხისა ავილოთ და მერე ეს ქვეყანა დავიპყოოთ. ერეკლე იძულებული შეიქნა უნებლიერ დათანხმებულიყო, ალეა შემოარტყეს აწყურის ციხესა. ერთი მხრით მიადგა ქართველი ჯარი, მეორე მხრით რუსთა ჯარი თავისი ზარბაზნებითა. ამათ ასტენეს ხშირი

სროლა ზარბაზნებისა და თოფებისა; ციხის ზარბაზნებმა და ჯარმაც პასუხი გასცეს და გაჩაღდა ჭექა-ქუხილი, რომელსაც გარშემო ხეობა ბანს აძლევდა. მთელი ორი დღე იომეს ამგვარად და ციხეს ცოტაოდენი ზიანიც არ მისცემია. მისი უმაგრესი კედლებიდან ისე ცვიოლა მოხვედრილი ტყვია, როგორც სახლის კედელსა სცვიგა შეყრილი ცერცვი. მესამე დღეს უცებ მოახსენეს ერეკლეს, რომ ტოტლებენმა ჩუმად ციხეს თავი დაანება და თავისი ჯარით ქართლისაკენ გასწიაო. საშინლად განცვიფრებული მეფე დაედევნა უკან ტოტლებენსა, მოეწია და სთხოვა: ოღონდ უკან დაბრუნდი, ნუ მიღალატებ და მზად ვარ ჯარის უფროსობა შენ დაგითმოვო და ყოველი შენი სურვილი აღვასრულოვო. ტოტლებენი უარზე დადგა. რა საბუთით? ჯერ სთქვა: ჯარისათვის საკმარისი სურსათი არა მაქვს, ცხენებისათვის, საკვებიო. ერეკლემ უპასუხა: გარშემო სოფლებში მყავს კაცები გაგზავნილი და იმდენს საჭმელს და საკვებს მოიტანენ, რომ თავზე საყრელი გექნებათო, ოღონდ უკანვე დაბრუნდით და მტერთან ერთად გავაგრძელოთ ომი. მერე სთქვა ტოტლებენმა: ბრძანება არა მაქვს ჩემი ხელმწიფოსა ვიომო ახალციხის საფაშოშიო; მტერი მრავალია და ძლიერი, მე ჯარი ცოტა მყავს და საშიშია ომის გაგრძელებაო. ერეკლე მაინც ეხვეწებოდა, ტოტლებენი კი მხოლოდ ბოდიშს იხდიდა მეფის წინაშე და დაბრუნებაზე კი ცივს უარს ეუბნებოდა. მაშინ ბატონიშვილი გიორგი, ერეკლეს უფროსი შეილი, მოთმინებიდან გამოვიდა და უთხრა თავისს მამასა: დაანებე თავი, წაეთრიოს საღაც უნდა, ჩვენ მარტონიც გავიმარჯვებთ მტერზე და მაგას თავზე ლაფს დავასხამთო.

ტოტლებენი ქართლისკენ გამოეშურა, ერეკლე კი ისევ დაბრუნდა თავის ჯართანად. ერეკლე ასე ხსნიდა ტოტლებენის საქციელსა: ალბად მას იმედი აქვს, რომ მე ვითაკილებ უკან დახევასა, შევებრძოლები ოსმალთა ჩემი მცირე ჯარითა, დაგმარცხდები, ჯარს დავკარგავ, მეც დავიღუპები ჩემი მემკვიდრითურთ და მაშინვე ჩემს სახელმწიფოში ბურთი და მოედანი მას დარჩებაო.

#### 4. ნაყოფი ტოტლებენის ღალატისა

რუსთა ჯარის უკან მოქცევამ ძლიერ ცუდად იმოქმედა ქართველებზე. ესენი ისე გაბრაზდნენ, რომ კინაღამ საშინელი საცოდაობა არ დატრიალდა. ერეკლესთან შუაკაცად გამოგზავნილი იყო რუსეთიდან თავადი მოურავოვი, გარუსებული ქართველი, შვილი რუსეთში გადასახლებული ქართველისა. ეს მოურავოვი დაიბადა რუსეთში, იქ აღიზარდა და სამსახურშიაც იქვე შევიდა. მან რუსულის ენის გარდა ქართულიც იცოდა და ამიტომ კარგათ შეეძლო შუაკაცობა გაეწია რუსეთსა და საქართველოს შორის. ამ მოურავოვს თან ახლდნენ რუსის მოსამსახურენი და რამდენიმე კაზაკი. და აი გულმოსულნი ქართველნი ჯარისკაცნი მიესივნენ ამ რუსებსა და მათზე უნდა ეყარნათ ტოტლებენის ჯავრი. მაგრამ ერეკლემ და სხვებმა ჯარს აუხსნეს, რომ ტოტლებენი ჩამომავლობით რუსი არ არის, რომ იმან წინეთ რუსეთსაც უღალატა, რის გულისათვის კინაღამ დახვრიტეს, რომ რუსეთის აფიცრები და ჯარისკაცნი თვითონაც ძლიერ გულმოსულნი არიან თავის წინამდლოლზე, მაგრამ უნდა მორჩილობა გაუწიონ, როგორც თავის უფროსისაო. ძლივ-ძლივობით დაშოშინეს ჯარი.

ტოტლებენის მოულოდნელმა საქციელმა სხვა შედეგიც დაბადა. ქართველი ჯარი საგონებელში ჩავარდა. ეტყობა, ოსმალოს დიდი ჯარი ჰყოლია, რომ ტოტლებენს შეეშინდა, ზურგი მტრისკენა ჰქნა და ქართლისაკენ გასწიაო. ამ შეძრწუნებით ისარგებლეს ოსმალებმა, უცებ გამოვიდნენ ციხიდან, დაესხნენ თავს ქართველებსა და თუმცა ბრძოლის შემდეგ უკაშებაული იქნენ, მაგრამ ოთხმოცამდე ქართველი ტყვედ შეიტაცეს ციხეში.

მდგომარეობა ძლიერ გაჭირვებული იყო. ხოლო სწორედ ამისთანა გაჭირვებულ შემთხვევაში გამობრწყინდებოდა ხოლმე ერეკლეს საოცარი გავლენა ჯარზე. რამდენიმე მარჯვე სიტყვით ერეკლე ყოველ თავის ჯარისკაცში სრულიად გააქრობდა ხოლმე შიშსა და ჩაპბერავდა ვაჟკაცობის და მამაცობის სულსა, მხდლებსაც კი გმირებად გადააქცევდა ხოლმე...

მეფემ დაუარა თავის ჯარსა, მოაგონა, რომ ქართველებს თავისი საკუთარი ძალ-ღონით

და ვაჟკაცობით მრავალჯერ დაუმარცხებიათ ათჯერ და ოცჯერ მათზე მეტი მტერი, და ბოლოს უთხრა: ჩვენ ან უნდა გავიმარჯოთ მტერზე, ან მთლად დავიხოცნეთ აქა. ისე დაბრუნება კი საშობლოში ჩვენთვის თავზე ლაფის დასხმა იქნება. რა უნდა ვუთხრად ჩვენს დედებს, ჩვენს ცოლებს, ჩვენს დებსა, მთელს ქართველობას, როცა ხელცარიელნი მივალთ შინა. განა ამისთანა ლაჩრობა ქართველებს შეჰვერის? არა, მძებო, ჩვენ უნდა მოვიქცეთ ისე, როგორც წინეთ მოვქცეულვართ, როგორც შეჰვერის ქართველთა მამაცობას და ვაჟკაცობას. წინ და არა უკან...

## 5. ქართველი ჯარი როკეტის გზაზე

თბილისიდან რომ გამოვიდა ერეკლე, მხოლოდ სამი ზარბაზანი წამოიღო თან, რადგანაც ტოტლებენის ზარბაზნების იმედი ჰქონდა, სამი ზარბაზნით კი აწყურის ციხის აღება ყოვლად შეუძლებელი იყო მოკლე ხანში... ერეკლე საგონებელში ჩავარდა და არ იცოდა, აწყურთან დარჩენილიყო დროებით, თუ წინ წასულიყო ახლავე. ამ დროს მას ჯავახებმა ამბავი მოუტანეს, რომ ოსმალოს ჯარი ასპინძის მოკლე გზით აპირობს მოშველოს აწყურსაო.

აქ საჭიროდ მიგვაჩნია გაუწყოთ, რომ ასპინძისაკენ აწყურიდან ორი გზა მიღიოდა: ერთი მტკვრის მარცხენა ნაპირზე, მეორე მარჯვენაზე. პირველი გზა იყო შარა გზა, განიერი და სწორი, მაგრამ ძლიერ გრძელი. მას ერქვა ახალციხის გზა. ამ გზით რომ წასულიყო ერეკლე, ჯერ ახალციხემდის უნდა გაევლო ოცი ვერსი, მერმე ახალციხიდან აღმოსავლეთისაკენ ექმნა პირი, გაეარნა კიდევ ოცდათი ვერსი და მისულიყო ასპინძასა. მეორე გზა მეტად მოკლე იყო, ასპინძამდის სულ ოცს ვერსს შეადგენდა, მაგრამ, სამაგიეროდ, ვიწრო იყო, ოღროსობრო. უმეტესად მთა-მთა მიღიოდა და ძლიერ აბრკოლებდა თავისუფალს მოძრაობასა, სიარულსა. ერეკლემ ეს ძნელი გზა არჩია, რაღვანაც მტერი თურმე ამ მოკლე გზით აპირებდა მოშველებოდა აწყურსა. ამ მოკლე გზას როკეტის გზა ერქვა, რადგანაც როკეტის მთაზე გადადიოდა.

## 6. ქართველი ჯარის განსაცდელი იღუმალასთან

ერეკლემ აპყარა ალყა აწყურს. დასძრა თავისი ჯარი და გაუძღვა როკეტის გზაზე. ჩვენი ჯარი ძლიერ ნელა მიღიოდა ცუდ და უცნობი გზის გამო. შეიტყო თუ არა ალყის აყრა აწყურის ციხეში მყოფმა მტრის ჯარმა, იგი, უმეტეს ნაწილად, გამოვიდა სიმაგრიდან, უფრო მოკლე გზა აირჩია, გაუსწრო წინ ჩვენ ჯარსა, წინ უყელა, შეუერთდა თავიანთ ჯარს, ასპინძის ახლო მყოფსა, შეადგინა ორი ათასი ლაშქარი და უცებ თავს დაესხა ქართველ წინა ჯარსა იღუმალას მახლობლად. ბლომა ნაწილი ჩვენი ჯარისა უკან იყო დარჩენილი, წინა ჯარსაც მტერმა მოასწრო უხერხულს აღაგს, მოულოდნელად მიიტანა მასზე იერიში და ამიტომ ჩვენი ჯარი აირჩია, შეძრწუნდა და ზურგი აქცია მტერსა. საშინელი დამარცხება ვერ ასცდებოდა ქართველთა ჯარსა, თუ რომ მეფის სამაგალითო გულადობას არ ეხსნა იგი დიდის განსაცდელისაგან. ერეკლე პირადად გაექანა “რაოდენიმე ჩინებულითა და შინა ყმითა თვისითა და შვილით ხევსურითა, განსწირა თავი თვისი და ეკვეთა ფიცხლად, ვიდრე სიკვდილამდე”... გამოქცეული ჩვენი ჯარი, როცა მან თავისი უსაყვარლესი მეფე განსაცდელში დაინახა, გონზე მოვიდა, ისევ აიგვსო მამაცური გამბედაობით, მიუბრუნდა მტერსა, დაესხა თავსა და საშინლად დაამარცხა. მტრის ორი ათასი კაციდან ათასმა ძლივს უშველა თავსა გაქცევითა. ნახევარი ჯარი ოსმალ-ლეკებისა ბრძოლის ველზე დარჩა დახოცილი და დაჭრილი.

ამ შემთხვევაში ერეკლე უნებლიერ მოგაგონებთ იულიუს კეისარსა, პირველს სარდალს ძველის დროისას. როცა ისპანიაში პომპეუსის შვილების ჯარმა ზურგი აქნევინა კეისარის ჯარსა და გამოაქცია, ეს სწრაფად მოაჯდა თავის ცხენსა, მჭეხარი ხმით შესძახა: “განა ამ ბალდებს უნდა დავემარცხებინოთო!” და იერიში თვითონ მიიტანა მტერზე. გაქცეულმა ჯარმა რომ თავისი უძვირფასესი წინამდღოლი დაინახა საშინელს ხიფათში, მობრუნდა, მამაცურად შეება მტერსა და საშინლად დაამარცხა.

## 7. დაბანაკება ჩვენი ჯარისა ასპინძის სერებზე

ხოლო მთავარი განსაცდელი ერეკლესი ჯერ წინ იყო. ამ ომს შემდეგ არ გასულიყო რამდენიმე საათი და დაღალულს ჯარს ჯერედ არ დაესვენა, რომ ერეკლეს ამბავი მოუტანეს: შენზე ახალციხიდან მოდის მთავარი ჯარი ოსმალ-ლეკისა, რიცხვით ათი ათასი, და რამდენიმე საათის შემდეგ გამოვა მტკვარსა და თავს დაგესხმებაო. ამ დროს ერეკლეს თანა ჰყავდა სულ ოთხი ათასი მეომარი, დანარჩენი ზოგი სურსათზე იყო წასული, ზოგი უკან იყო დარჩენილი და ზოგიც ჭრილობით და ავადმყოფობით იყო შეპყრობილი. სამწუხაროდ, ეს ოთხი ათასი კაციც მარტო ქართველთაგან როდი იყო შემდგარი. მათში ერთა ათასი ბორჩალოელი თათარი, რომელთაც ერეკლე სავსებით ვერ ენდობოდა. ამაზე უფრო გაჭირვებული მდგომარეობა განა ძნელი წარმოსადგენია? სამი ათასი ქართველი უცხო ქვეყანაში უნდა შებრძოლებოდა ათი ათასს მტრის ჯარსა. მაგრამ, როგორც უკვე ვთქვით, სწორედ ამისთანა უკიდერესს გაჭირვებაში თავს იჩენდა ხოლმე ერეკლეს საოცარი ნიჭი სარდლისა... ერეკლემ კარგად იცოდა, რომ მარჯვე პოზიცია, მოხერხებული საომარი ადგილი ყველაზე მომეტებულად იყო საჭირო გამარჯვებისათვის ამისთანა ძალთა უსწორობაში. და სწორედ ამისთანა პოზიციის ამორჩევას და დაჭრას დაეშურა დაუყოვნებლივ. მეფემ გაიარა იდუმალა და მიმართა ასპინძის მაღლობებსა. ეს მაღლობები ჩამწკრივებული იყო იდუმალასა და ასპინძას შუა მტკვრის მარჯვენა ნაპირასა; მტკვარსა და ამ მაღლობებ შუა სულ ორი ვერსის სიგანე ვაკე იყო დარჩენილი და აი სწორედ ეს სერები აირჩია ერეკლემ საომარ ადგილად და აქ ჩაასაფრა თავისი მცირე ჯარი.

მეფეს ჯარი გაყოფილი ჰყავდა სამ ნაწილად; ერთს ნაწილს თვითონ განაგებდა, მეორეს უწინამდღვრებდა მეტკვიდრე საქართველოს ტახტისა გიორგი ბატონიშვილი, უფროსი ვაჟი ერეკლესი, და მესამე ნაწილის უფროსი იყო დავით ორბელიანი. შუა მაღლობები ერეკლემ დაიჭირა თავისი ჯარითა, მარცხენა

მაღლობზე გამაგრდა ორბელიანი, მარჯვენაზე — ბატონიშვილი გიორგი, რომლის პოზიცია კარგა მანძილზე იყო მოშორებული. ბატონიშვილს ნაბრძანები პქონდა მამისაგან, რომ თავისი ჯარით ომში მონაწილეობა თავდაპირველად არ მიეღო, თავისი ძალდონე შეენახა შემდეგისათვის და გაჭირვების დროს, ან ბოლოს ხანს, დასვენებული ჯარით იერიში მიეტანა მტერზე.

ჯერ ქართველი ჯარი კარგად არ იყო დაბინავებული ასპინძის მაღლობებზე, რომ თათრის ჯარმა დაიწყო გამოსვლა ხიდზედა, რომელიც ასპინძის ზემო მტკვარზე იყო გაკეთებული ჩქარა მთლად აავსო გრძელი და ვიწრო ვაკე და მიუახლოვდა ქართველ ჯარსა. მაგრამ ღამემ უსწრო და ომი შემდეგის დღისათვის იქნა გადადებული.

## 8. ასპინძის ომი

ორივე მხარე მთელს ღამეს საომრად ემზადებოდა. გათენდა თუ არა, თათრების ჯარმა წინ წამოწევა იწყო და, რაწამს თოვის მანძილზე მიუახლოვდა, ასტეხა ხშირი სროლა. ტყვია ხოშკაკალასავით მიღიოდა ქართველი ჯარისკენ, მაგრამ მხოლოდ კლდეებს ადენდა მტვერსა, ჩვენს ჯარს კი ვერას აკლებდა, ისე ოსტატურად იყო ჩამწკრივებული და ამოფარებული სერებზე. მტრის ჯარი დაიმედებული იყო, რომ ერეკლეს მცირეოდენ ჯარს მთლად ხელში იგდებდა, და ამ იმედს ისიც უძლიერებდა, რომ ქართველების მხრივ ჯერ ერთი თოვიც არ გავარდნილიყო. მტერმა ეს შიშს დააბრალა და უფრო მეტი იმედი მიეცა, მაგრამ მაღე აღმოჩნდა, რომ ეს ოსტატობის ხერხი იყო და არა შიშის ბრალი. ერეკლესაგან ქართველ ჯარს ნაბრძანები ქონდა: ერთი თოვიც არ გაისროლოთ, ვიდრე მტერი ახლოს არ მოვაო და მაშინ კი ერთბაშად ასტეხეთ ხშირი და მარჯვე სროლაო.

აი ოსმალ-ლეკებმა სროლით ძლიერ ახლო მოატანეს ქართველ ჯარსა. უცებ ანიშნა ერეკლემ, დრო არისო, და დაიჭექა ჩვენების თოვებმა, მარჯვედ დამიზნებულმა. თითქმის ყველა ტყვია თავის დანიშნულებას

ეწია: პირველი რიგი მტრის ჯარისა ისე დაემხო დედამიწაზე, როგორც ცელით ძირში მოჭრილი გამხმარი ყანა იქცევა ძირის. მეორე რიგმა მტრის ჯარისამ, გამოცდილმა და გაფოლადებულმა ომებში, წარბიც არ შეისარა, მამაცურად გადააბიჯა მკვდრებსა და დაჭრილს ამხანაგებზე და ჩასდგა პირველს რიგში... ხოლო მანამ გასროლას მოასწრებდა, ხელმეორედ იგრიალა ქართველთა თოფებმა და ეს რიგიც ჭერეხებივით მიწაზე დაემხო. მას ვაჟკაცურად გადმოააბიჯა მტრის მესამე რიგმა და დადგა წინ. სერებიდან მესამედ დაგრიალებულმა თოფებმა ამათაც ის დღე დააყენა. მაშინ მეოთხე რიგი შედრკა და ადგილიდან ფეხი ვეღარ მოიცვალა, მაგრამ არც აქ დააყარეს ხეირი ქართველებმა. წინა რიგები მტრის ჯარისა ხომ ასე იულიტებოდა, არც უკან რიგებს ადგათ უკეთესი დღე. ორი ათასი თოფი ქართველის ჯარისა სეტყვასავით აყრიდა ტყვიას თავზე ოსმალ-ლეკებსა. საქმეს ისიც უფრო უჭირებდა მტრისა, რომ ტყვია, მაღლობებიდან ქვემოთ დაშვებული, სულ თავ-პირში ხვდებოდა ორკეცი ძალითა. რადგანაც ვიწრო დელე მჭიდროდ იყო გაჭიკნილი მტრითა, ამიტომ თითქმის არც ერთი ქართული ტყვია ტყუილად არ იკარგებოდა. ხმლით იერიშის მიტანა ოსმალ-ლეკებს იმის გამოც არ შეეძლოთ, რომ ხმალში ქართველები ძლიერ მარჯვენი იყვნენ და თავისი მაღლობი ადგილებიდან სულ ადვილად ამოსჩეხდნენ ახლო მისულს მტრისა. ოსმალ-ლეკების ჯარი ძლიერ გაჭედილი იყო დელეში, თავისუფალი მოძრაობა არ შეეძლო და ეს გარემოება კიდევ უფრო უშლიდა ხელსა. ქართველებისაგან კი მოდიოდა და მოდიოდა ზუზუნ-ზუზუნით ტყვია და ათხელებდა მტრის ლაშქარს. ოსმალ-ლეკნიც აუარებელს ტყვიას ჰეზავნიდნენ ზეით ქართველებისაკენ, მაგრამ კლდეებს თუ ამტვრევდნენ, თორემ მარჯვედ ჩასაფრებულს ჩვენს ჯარს ვერას აკლებდნენ, როგორც ზემოდაც შევნიშნეთ.

მტრის ჯარი თანდათან მცირდებოდა და შიშს მიეცა. მისი სარდალი დარწმუნდა, რომ ამ მიუვალ პოზიციაზე ქართველებს ვერას დავაკლებთ და ჩემს ჯარს მათ გავაჟლეტინებო. ამიტომ გადასწყვიტა: უკან-

უკან დაეწია თავისი ჯარით, ხელახლად გაესხა იგი ხიდზე, მარცხენა ნაპირი მტკვრისა ჩაევლო, ქვემოთ საღმე ფონი ენახა, ამ ფონში გაესხა თავისი ჯარი, უკანიდან მოეარნა ქართველი ჯარისათვის და დაემარცხებინა იგი. თათრის ჯარმა თანდათან იწყო უკნდახევა, თუმცა თოფის სროლას არ აკლებდა. მაშინ ერეკლეს ბრძანებით ქართველი ჯარი აიშალა მაღლობებიდან და თოფების ჭახაჭუხით ქვემოთ დელეში ჩამოეშვა. თათრის ჯარმა რომ ეს დაინახა, შედგა, წინვე იწყო წამოსვლა და ხელახლად გააჩადა ომი. ერეკლემ აფრინა კაცი გიორგი მემკვიდრესთან, რომ თავისი ჯარი მოეშველებინა; მაგრამ ის, რაღაც უცნაურის მიზეზის გამო, ადგილიდან არ დაიძრა. ომი მეტად გამწვავდა. ერთ მხრივ იბრძოდა ათი ათასი თათარი, მეორე მხრივ, — ორი ათასი ქართველი.

## 9. კოხტა ბელადის მოკვლა ერეკლეს მიერ

და საშინელი განადგურება მტრისა...

უცებ დაიძრა მტრის ჯარიდან ათასი ცხ-ენოსანი ლეკი და ხმალამოლებული ნიავსავით გამოექანა ქართველი ჯარისაკენ იერიშის მოსატანად. მას წინ მოუძღოდა, მოპქროლავ-და ახოვნი ვაჟკაცი, მშვენიერს ბედაურზე მჯდომი, კოხტა ბელადი, პირველ მეომ-რად ცნობილი მთელს დაღისტანში. კოხტა მისმა ბედაურმა კარგა მანძილზე დააწინ-აურა. ჩვენი მხრიდანაც ისკუპა ცეცხლსავით სწრაფმა მერანმა და გაექანა კოხტასაკენ. ამ მერანზე იჯდა მშვენიერი შუატანის და შუახნის ვაჟკაცი, ცოტა ბეჭებში მოხრილი, არწივისებურის თვალების პატრონი, მღიდარს ტანისამოსში გამოწყობილი; ამ ვაჟკაცს ყველა მოძრაობაში ეტყობოდა საოცარი სისწრაფე და სიმარჯვე... ეს იყო ერეკლე მეფე, რომელიც ხმალამოლებული მიისწრაფე-ბოდა გამოქანებულის მტრისკენ. ერეკლეს ხმალამოლებულივე მოსდევდნენ შვილი წინათ ხსენებულნი სახელოვანნი ხევსურნი და სხვა ცხენოსანნი. დადგა საშინელი წამი. ჩქარა ორივე ბედაურნი თითქმის ერთმანეთს შეეხ-ალნენ. ერეკლესა და კოხტას ხმალმა ერთსა და იმავე წამს გაიელვა პაერში. დამიზნებული ხმალი კოხტასი ერეკლემ მარჯვედ აიცდინა

და თავისი ბასრი ხმალი დასთხლიშა საკვირველი სისწრაფით მტერს თავზე. კოხტას მზე დაბნელდა ბასრი მახვილით თავგაბობილი და თქრიალა სისხლში მოსვრილი, იგი მოსწყდა თავის მერანსა და დედამიწაზე ზღართა მოიღო. მაშინვე გაისმა ლომებრივი და მტრის სიკვდილის მომასწავებელი ხმა ერეკლესი: ხმალი ამ წუნკალებსაო! ქართველი ცხენოსანი ჯარი, აღტაცებაში მოყვანილი მეფის საოცარი მამაცობით და სიმარჯვით მიესია მტერსა და დაუწყო უწყალოდ ჩეხა. კოხტას მოკვლამ, საზარელმა ჭიხვინმა მისი ბედაურისამ, რომელიც უპატრონოდ გადარეული დარბოდა ოსმალ-ლეკების წინა, საშინელი თავზარი დასცა მტერსა, მოადუნა, დააუძლურა და ბრძოლის ძალა წართვა მთლად. ჩვენი ქვევითი ჯარიც მიესია თავზარდასხმულს ოსმალ-ლეკების ლაშქარსა და სულ მუსრი გაავლო. მტერი სწრაფად იწევდა უკან და მას მხოლოდ ცოტათი ამხნევებდა ის იმედი, რომ ხიდამდის მივაღწევ, მტკვრის იქითა ნაპირს გავალ და გაქცევით თავს ვუშველიო. გარნა უბედურმა მტერმა არ იცოდა, რომ შორსმჭვრეტელი ერეკლე ამისთანა წინდაუხედაობას თავის დღეში არ ჩაიდენდა. უცებ მოისმა საცოდავი ხმაურობა მტრის უკანა ჯარში, როცა იგი ხიდს მიუახლოვდა. ამ ხმაურობამ ჩქარა უწია წინა ჯარამდის. რა ხმაურობა და ურიამული იყო ესა? ეს ხმაურობა პფენდა მტრის ჯარში საზარელს ამბავს — ხიდის ჩაშლას მტკვარზე.

ადვილად მიხვდებით, რომ ხიდი ქართველებისაგან უნდა ყოფილიყო გაფუჭებული. და ასეც იყო. თავდაპირველადვე ერეკლეს სრული იმედი ჰქონდა მტერზე გამარჯვებისა და უნდოდა გასაქცევი გზა შეეკრა იმისთვის. ამიტომ წინალამეს უბრძანა სამს რჩეულს ვაშკაცს — ჩუმად წაესხათ რამდენიმე ჯარის კაცი, შეუმჩნევლად მიპარულიყვნენ ხიდთან და გაეფუჭებინათ. ეს ვაჟკაცი იყვნენ: აღაბაბ ერისთავი, სვიმონ მუხრან-ბატონი და ხუდია ბორჩალოელი. ამათ ისე ოსტატურად და სწრაფად შეასრულეს ღამის სიბნელეში მეფის ბრძანება, რომ მტერს სრულიად არაფერი შეუტყვია. მეორე დღესაც ოსმალ-ლეკეთათვის ეს გარემოება შეუმჩნეველი დარჩა, რადგანაც ხიდი ჩაფუშული როდი იყო, არამედ გადახერხილი ქონდა თავხეები. რაწამს ჰირგელი რიგი გაქცეული თათრის ჯარისა შესდგა

ხიდზე, თავხეები ჩაიმტვრა, ხიდი ჩაიშალა და თან ჩაიტანა უბედურნი... ხიდის ჩაშლის ამბავმა მტრის ჯარს მთლად წაართვა ძალა, გარდააქცია მხდალ ცხვრის ფარად და მისცა სასოწარკვეთილებას. ქართველები კი მეფის სამაგალითო გამარჯვებამ და საოცარმა გაუქაცობამ სიმამაცით აავსო და ლომებად აქცია. და, აბა, მშიშარა ცხვრები რაღას გააწყობდნენ გააფთრებული ლომების წინააღმდეგ. სხვა გზა რომ აღარა ჰქონდათ, ოსმალ-ლეკები ცვივოლნენ მტკვარში იმ იმედით, ეგები როგორმე იქით ნაპირს გავაღწიოთო. მაგრამ ტყუილად. მაშინ აპრილი იდგა, წყალდიდობა იყო, მტკვარი აზვირთებული მოქუხდა და ამიტომ მასში გასვლა ძლიერ ძნელი იყო. და ან როგორ შეეძლოთ გაეღწიათ იქით, როდესაც ერთმანეთს ელალებოდნენ, პირველს რიგს, ჩაცვივნულს მტკვარში, მეორე რიგი ზემოდან ეცემოდა, მეორეს მესამე და ერთმანეთს აძირვინებოდნენ მტკვარსა, ირჩობოდნენ, იღუპებოდნენ. ერთი მხრივ მტერი იულიტებოდა ქართველთა ხმლითა და ხანჯლითა, მერე მხრივ ადიდებული მტკვარი ნთქავდა მას თავის ზვირთებში. მტკვარი ისე გაიგსო დამრჩვალი ოსმალ-ლეკებითა, რომ ბევრს აღგილს ნაპირებიდან გადმოვიდა. ამასთან მთელი მდინარე წითლად შეიღება ნაკადულებად დაღვრილი სისხლისაგან.

იმდენი ჯარი ოსმალ-ლეკებისა თითქმის მთლად დაიღუპა. სამი ათასი კაცი შეიქმნა მსხვერპლი ქართველთა იარაღისა და მოპუნია ბრძოლის ველი. სხვანი ჩანთქა მტკვრის ზვირთებმა. მხოლოდ ორმოცამდე კაცი გადარჩა. ესენი ადრიანად შეცვივდნენ ბედაური ცხენებით მტკვარში, რის ვაი-ვაგლაზით გააღწიეს იქითა ნაპირასა და გაქცევით უშველეს თავსა. სამოცამდე მეომარი ტყვედ ჩაუვარდათ ქართველებს ხელში. ბევრი წარჩინებული მტერი და მრავალი საუკეთესო გაუქაცი, ოსმალო თუ ლეკი, გამოესალმა წუთისოფელსა. ოსმალთა მხრივ აქ მოკლულ იქმნა გოლა-ფაშა და სრულიად ამოსწყდა მთელი ბეგობა ახალციხის საფაშოსი. ლეკთაგან, გარდა კოხტა ბელადისა, აქ დაიხოცნენ სამნი წარჩინებული ბელადნი, მთელს

დაღისტანში ცნობილი საუკეთესო ვაჟკაცებად, და ათასამდე რჩეული ცხენოსანი. მთელი საომარი იარაღი, ზარბაზნები, ფული, თვალმარგალიჭი, ცხენები და სხვა სიმდიდრე მტრისა ქართველებს ჩაუვარდათ ხელში.

ქართველებს როგორდა დაუჯდათ ეს სახელოვანი გამარჯვება: ძვირად, თუ იაფად? ძალიან იაფად, ისე იაფად, რომ კაცი ძნელად დაიჯერებს, თუ კარგად არ იცის ამ ომის ამბავი და ერეკლე მეფის უმთავრესი ღირსება. მოიკლა ასპინძის ომში მხოლოდ ოცდაათი ქართველი და ასიოდე დაჭრილი იქმნა. მოკლულებში არც ერთი გამოჩენილი გვაძი არ მოიპოვებოდა; მხოლოდ დაჭრილებში ერთი ორი სახელოვანი სარდალი: ჯარის ერთი უფროსთაგანი აღექსანდრე ციციშვილი და ისე ერისთავი.

მაგრამ განა მარტო ასპინძის გამარჯვება დაისვა ასე იაფად პატარა კახმა? არა, იგი ყოველს მოგებულს ომში ჰკარგავდა მხოლოდ მცირეოდენს ჯარსა, დიდს გამარჯვებას პატარა მსხვერპლით ახერხებდა, მრავალს მტერს მცირეოდენი ძალით ამარცხებდა, პატარა ღონისძიებით ბრწყინვალე წადილს ეწერდა და სწორედ ამაში მდგომარეობს უზენაესი ღირსება სარდლისა. ეს ღირსება მეტადრე საჭირო იყო იმისთანა პატარა ქვეყნისათვის, როგორიც იყო და არის საქართველო.

ოსმალოს ჯარის ამოულეტის შემდეგ ერეკლეს გზა სრულიად გახსნილი ჰქონდა ახალციხისკენ და ამ ქალაქის აღება მას სრულიადაც არ გაუჭირდებოდა. მაგრამ ერთმა გარემოებამ ხელი სრულიად მოუცარა. საქმე ის არის, რომ ქართლიდან ამბავი მოუვიდა: ტოტლებენი მოწადინებულია თბილისში ჩავიდეს თავისი ჯარით, გააუქმოს ბაგრატიონთა მეფობა, შეუერთოს საქართველო რუსეთსა, დააფიცოს ქართველობა რუსთა იმპერატორის ერთგულებაზე და თავისი თავი საქართველოს მთავარ მმართველად გამოაცხადოს. „გამართლდა, საკსებით გამართლდა ჩემი ეჭვი“, — სთქვა ერეკლემა და თავისი ჯარით დაუყონებლივ გამოეშურა თავისი სატახტო ქალაქისაკენ, პირდაპირი გზით ჯავახეთზე...

## 10. შემაძრწუნებელი ჭორი

სწორედ იმ დღეს, როდესაც ისე ბრწყინვალედ იმარჯვებდა ერეკლე მტრებზე, საქართველოს სატახტო ქალაქს თბილისში გავარდა საზარელი ხმა: მეფე თავისი ჯარით მთლად დაღუპულა ახალციხის ახლოო.

რამ დაბადა ეს ჭორი და საიდან გაჩნდა? როდესაც ქართლში დაბრუნდა ტოტლებენი რუსის ჯარით და ერეკლე კი არსადა სჩანდა, ხალხში ეჭვი დაიბადა, — ვაითუ ერეკლეს უბედურება რამ შეემთხვაო. ეჭვი ჩქარა გარდაიქცა სამწუხარო ჭორად, რასაც ხელი შეუწყო იმან, რომ რუსები ავრცელებდნენ ქართლში: ერეკლე, მარტოდ დატოვებული მტრის ქვეფანაში, დაღუპვას ვერ ასცილდებაო. ამას ისიც დაერთო, რომ ქართველს ჯარზე სრულიად არაფერი ამბავი არ ისმოდა. ამ ჭორმა, დაბადებულმა ზემო ქართლში, სწრაფად იარა, იზარდა, თბილისამდის მოაღწია და ყველას თავზარი დასცა.

დედოფალს დარეჯანს, რომელიც მაშინ თბილისში ცხოვრობდა, ვერავინ უბედავდა ამ საზარელი ამბის მიტანასა. ბოლოს ერთი პატივცემული მანდილოსანი ბექთაბეგიანთ ქვრივი, რომელიც დედოფალთან ძლიერ მიჩნეული იყო, აშფოთებული გაეშურა სასახლისაკენ, წარსდგა დედოფლის წინაშე და მდუღარე ცრემლისღვრით მოახსენა დარეჯანსა: „დედოფალო, შენი ჭირიმე, ჩქარა ავიყარენით აქედგან, ტყეში საღმე გავიხიზნოთ, მეფე თავის ჯარით დიდს საშინელებაში ჩავარდნილა“. ელდანაცემი დედოფალი მაშინვე წამოდგა ფეხზე, გაიძრო წუდები, ფეხშიშველა გამოვიდა გარეთ და სიონისაკენ გაეშურა, რათა მხურვალე ცრემლით შეევედრებინა უფლისათვის თავისი მეუღლე მეფე, იმისი ჯარი და მთელი საქართველო. დედოფალს უკან დაედევნა მთელი სახლობა მეფისა: ქალები ფეხშიშველები და კაცები ქუდმოხდილნი მიისწრაფოდნენ სიონისაკენა. ქალაქელებმა თავი ანებეს საქმეებს და ქალით-კაცამდე სიონს მიადგნენ შეძრწუნებულნი. ყველანი

მხოლოდ ღვთისგან მოელოდნენ ნუგეშსა და შველასა და მდუღარე ცრემლით ეველრებოდნენ. ეს შიში იმანაც უფრო განაძლიერა, რომ მტკვარს უცებ სისხლის ფერი მიეცა. ვაიმე, ეს ჩვენი ჯარის სისხლი უნდა იყოსო, — იფიქრა ყველამ და მწუხარებამ უფრო იმატა. ამ მწუხარებაში განვლო მთელმა დამემ, დამემ საშინელმა. მეორე დღეს ადიდებულის მტკვრის ზვირთებმა ჩამოატარა მრავალი დამრჩვალი, და აღმოჩნდა, რომ ესენი ყველანი ოსმალნი და ლეკები იყვნენ და მათში არც ერთი ქართველი არ ერია. მაშინ კი როგორც დედოფლალი, ისე მთელი თბილისი დარწმუნდა, რომ ერეკლესი და მისი ჯარის დაღუპვა ჭორი იყო, და გლოვა სიხარულად გარდაექცათ. მესამე დღეს ეს სიხარული უცებ საზარელ შიშზე შეიცვალა. თბილელებმა სოლოლაკის მთაზე დაინახეს ოსმალურ ტანისამოსში გამოწყობილი მხედრობა. ვაი ჩვენ, მტერი შემოგვესიაო, — გაისმა თბილისის ქუჩებში, მაგრამ მალე შეშინებულს ქალაქს მოესმა ამ ჯარისაგან მშვენიერი ქართული საომარი სიმღერა:

„ვისაც მოუკლავს, ის მოჰკლავს  
ნადირსა შავი ტყისასა;  
ვინც დახვდა, იგივ დახვდება  
გულდაგულ რაზმსა მტრისასა.“

დიდი შიში დიდ გაოცებად გადაიქცა. ხოლო ამ გრძნობამაც მალე დაუთმო აღგილი სხვა სულის მოძრაობას — უძლიერეს სიხარულსა, აღუწერელს აღტაცებასა. აღმოჩნდა, რომ ერეკლე დაწინაურებულიყო მცირეოდენი ცხენოსანი ჯარითა, რომელსაც ჩაეცვა მდიდრული ოსმალური ტანისამოსი ასპინძის ომში დახოცილი ფაშების, ბეგების და ჯარის სხვა უფროსებისა. მალე სოლოლაკის დაღმართზე ჩამოვიდა ძლევამოსილი ერეკლე, თავის მშვენიერს მერანზე მჯდომი. დედოფლი დარეჯანი გაეშურა თავისი გვირგვინოსანი მეუღლის მისაგებებლად. ახლაც მას ცრემლი პირისახეზე დაპაღუპით სდიოდა; მაგრამ ეს იყო ცრემლი გაუზომელი სიხარულისა, სრული ბედნიერის წამისა. მთელი ქალაქი მიეგება

თავის სათაყვანებელს მეფეს გამოუთქმელი აღტაცებით. ასპინძის გმირი გადმოხტა ცხენიდან, ჯერ მოეხვია თავის მეუღლეს და მერმე მიესალმა ხალხსა. მეფე-დედოფლალი და ხალხი პირდაპირ სიონში გაეშურნენ, სადაც გადახდილი იქმნა სამაღლობელი პარაკლისი კათალიკოსის ანტონის მიერ, რომელზედაც ყოველი ქართველი მხურვალე გულით ჰმადლობდა უფალსა ქართველი ჯარის ბრწყინვალე გამარჯვებისა და მტრის დამარცხებისათვის. იმავე დღეს ერეკლეს მშვენიერს სასახლეში, რომელშიაც ითვლებოდა თითქმის ორასი თვალი ოთახი, გაიმართა დიდი ნადიმი და მთელი ქალაქი მიეცა რამდენისამე დღის განმავლობაში ლხინსა და შექცევასა.

## 11. ტოტლებენის ბოლო.

ერეკლესა და სოლომონ მეფეთა ბრწყინვალე ლაშქრობა ოსმალეთში

ტოტლებენმა მალე შეიტყო ერეკლეს ბრწყინვალე გამარჯვება და საჩქაროთ დაბრუნება თბილისში, და დიდს საგონიებელში ჩავარდა: ვაითუ მეფემ დალატისათვის სამაგიერო გადამიხადოს, თავისი ჯარით გზა შემიკრას რუსეთისაკენ, დამატყვევოს და სასჯელს მიმცესო, შიშობდა იგი. ეს შიში მასში მით უფრო ძლიერი იყო, რომ არა ერთი და ორი რუსი ოფიცერი ხმამაღლა ჰყიცხავდა თავის უფროსის უღირსს საქციელსა. რათა ხიფათი აეცილებინა თავიდან, ტოტლებენი აიყარა თავისი ჯარით სურამიდან და სწრაფად გასწია ღუშეთისაკენ. იარა კავკასიის ქედის ძირამდინ და დაბინავდა ანანურში, სადაც მაშინ მაგარი ციხე იყო. ახლა მას რუსეთისაკენ გზას ვეღარავინ შეუქრავდა და ამიტომ ისევ სიბრივეზე შედგა. გარეშე სოფლების მცხოვრებლებს ძალას ატანდა — უარყავით თქვენი მეფე ერეკლე და დაიფიცეთ რუსეთის ხელმწიფის ერთგულებაზეო. ვინც უარს ამბობდა, არბევდა, სცემდა და სტანჯავდა. თანაც ტოტლებენი სწერდა რუსეთის მთავრობას პეტერბურგში, ცოტაოდენი ჯარი კიდევ მომაშველეთ, მეფე ერეკლეს დავატყვევებ, რუსეთში გამოვგზავნი და საქართველოს რუსეთს




ერეკლე II

შემოვუერთებო. მაგრამ უმაღლესი მთავრობისაგან უარი მოუვიდა: საქართველო ძლიერ დაშორებულია რუსეთზე, გზებიც მეტად ძნელი სავალია, საქართველოსა და რუსეთს შუა ბევრი მთიული ხალხია დაუმორჩილებელი და ამიტომ ჯერჯერობით მაგ ქვეყნის შემოერთება უხერხულიაო. ერეკლე მეფემ ეს ამბავი სავსებით არ იცოდა, იმპერატრიცა ეკატერინესიც დიდი ხათრი ჰქონდა და ამიტომ ტოტლებენს აპატია ყველა მისი სიბრივე და კარგი გული უჩვენა. რაკი ტოტლებენი დარწმუნდა, რომ ერეკლე მას მტრულად არ მოექცეოდა და არას დაუშავებდა, თავისი ჯარით გასწია იმერეთისაკენ სოლომონ მეფის მისაშველებლად, როგორც ეს ნაბრძანები ჰქონდა ეკატერინესაგან.

სოლომონ მეფე ებრძოდა ერთი მხრივ ოსმალებსა, რომელთაც ეჭირათ ყველა სიმაგრე მისს სამფლობელოში, და მეორე მხრივ გურიის და სამეგრელოს მთავრებსა. მაგრამ ტოტლებენის მიშველებას არ მიშველება სჯობდა. თუმცა ციხეებში ოსმალებს ოცი-ორმოცი ჯარისკაცის მეტი

არა ჰყავდათ, მაგრამ ტოტლებენი ვერ ახერხებდა მათ აღებას და მთელი თვეობით იდგა მათ გარეშემო ყარყუმივით. როცა ციხე ბოლოს სიმშილის გამო დამორჩილდებოდა ხოლმე, ტოტლებენი უწყალოდ სძარცვამდა თვით აღგილობრივს მცხოვრებლებსაც. ამის გამო ყველამ შეიძულა იგი. გაძარცვის შიშით ციხეები აღარ ემორჩილებოდნენ და იბრძოდნენ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე. ტოტლებენის აღთქმას და ფიცს აღარავინ იჯერებდა. მაშინ მიმართა მან სოლომონ მეფის მეუღლეს, დედოფალს მარიამსა, და სთხოვა თავდებობა ეკისრა. ეს დედოფალი იყო ყოვლად ღირსეული გვირგვინოსანი და მას ყველა იმერი უსაზღვროდ ენდობოდა. ამიტომ საცა კი თავდებობა მან იკისრა, იქ ადვილად დამორჩილდნენ ტოტლებენს მეციხოვნენი. ეს აბეზარი გენერალი სოლომონ მეფესთანაც ვერ მოეწყო, რის გამოც რუსთა ჯარი ცალკე ეომებოდა ოსმალებსა და იმერთა ჯარი კიდევ ცალკე. ერთხელ, როდესაც ფოთის გარშემო იდგა ტოტლებენი თავისი ჯარით, ოსმალთა ჯარი შეუმჩნევლად მიუახლოვდა



სოლომონ I

მას და სრულიად ამოულეტავდა რუსებსა, თუ სოლომონ მეფეს არ მიესწრო და უკუ არ ექცია მტერი. თვით საკუთარს ჯარს ძლიერ ცუდად ექცეოდა, მეტისმეტი ანგარების გამო საწყალ სალდათებს ჰქოცდა შიმშილით და უტანისამოსოდ. თითქმის მთელი ჯარი დაავადებული იყო და ჭერეხივით ეყარა. ბევრმა რუსის სალდათმა დალია სული აქ და მიებარა ციგს სამარეს უცხო, შორეულს ქვეყანაში.

ბოლოს სიმართლემ მიაღწია პეტერბურგამდინ, და იმპერატრიცა ეკატერინებ გამოსცვალა ტოტლებენი და მის ნაცვლად გამოგზავნა რუსეთიდან გენერალი სუხოტინი. მაგრამ ვერც ეს გამოდგა ღირსეული წინამდლოლი ჯარისა, და მალე იქმნა დაბარებული რუსეთში თავის ჯარითურთ. ეს მოხდა 1772 წელს.

დარჩა ამ სახით აღმოსავლეთისა და დასავლეთის საქართველო თავისთა ძალთა ამარა ძლიერის მტრის წინააღმდეგ. ბევრი ჩვენებური ჩავარდა საგონებელსა და შიშში. მაგრამ ეს შიში მალე გაიფანტა მთლად. ქართველმა მეფეებმა — ერეკლემ და სოლომონმა — მოახერხეს შეკავშირება,

შეუერთეს იმერთა და ამერთა ჯარები ერთმანეთსა და შეესივნენ ოსმალეთსა ახალციხის მხრივ. ციხეების აღებას თავი დაანებეს, ქვეყნების დაპყრობას შეუდგნენ და ბრწყინვალე გამარჯვებით იარეს თვით აზრუბამდინ. მაგრამ სწორედ ამ დროს ზავი და მშვიდობა ჩამოვარდა რუსეთსა და ოსმალეთს შორის და ქართველი მეფენი იძულებულნი შეიქმნენ შეეიწყვიტათ ლაშქრობა და დაბრუნებულიყვნენ სამშობლოში, რაიცა მოხდა 1774 წელს.

ერეკლესა და სოლომონს დიდი იმედი პეტიონით, რომ სამშვიდობო ტრაქტატის შეკვრის დროს რუსეთსა და ოსმალეთს შორის, მათ დაუბრუნდებოდათ ის კუთხეები საქართველოსი, რომელნიც ოსმალეთს ეჭირა. საუბედუროდ, ეს იმედი მათ არ აუცხადდათ, ოსმალეთმა შეირჩინა წინათ დაპყრობილი ქართული ქვეყნები და ქართველ მეფეებს მხოლოდ მცირე რამ დაუთმო. სამაგიეროდ რუსეთმა ბევრი რამ მიიღო ოსმალეთისაგან და თავის საზღვრები გააგანიერა სამხრეთის მხრივ\*.

\*ამ წერილს საფუძვლად დაედვნენ შემდეგნი თხზულებანი: „ქართლის ცხოვრება“, Грамоты и другие Исторические документы XVIII столетия, დაბეჭდილი ამ უკანასკნელს ხანს პროფესორის ცაგარლის რედაქციით; ნადირშაჳის ცხოვრების აღწერა, გზერალის ქიშმიშოვისა; Кавказская война, პოტოსი; Закавказье, დუბრივინისა, თხზულებანი აღექსანდრე ორბელიანისა; Кавказские этюды, ვეიდენბაუმისა; აგრეთვე ზოგიერთი ხალხური თქმულება, ახალციხის მხარეში დარჩენილი. ავტორი

## ლიტერატურული ნობათი

პოეზია



ლადო ასათიანი

### ქართული ენა

საქართველოს მთებში გაგაჩინა ზენამ,  
სიყვარულის, ლექსის, სადღეგრძელოს ენავ!  
მოიმდერა დღემდის უძველესმა ტომმა  
შლეგი ჩანჩქერების ნაპრალებზე ხლჭომა,  
მყინვარების ღვთიურ ბრწყინვალებით დნობა,  
ჯაგნარებში ირმის ჯოგის ნავარდობა,  
გაფანტული ფარის მთაზე დაჯანდება  
და ქართული ფარის ფარზე დაჯახება!  
უძველესმა ტომმა დღემდის მოიმდერა,  
მწიფე პურის ყანა ქარში როგორ ღელავს,  
სარკინეთში გრდემლზე როგორ სცემენ უროს  
და ვარსკვლავი ზღვებზე როგორ მოგზაურობს,  
ან მთვარიან ღამით ციხე-კოშკის ჩრდილში  
რა ტკბილია ფარულ სიყვარულის შიში,  
როცა ღამისმთევლებს ლხინი გაუმართავთ  
და სიზმრები როცა თვლემენ სასთუმალთან  
საქართველოს მთებში გაგაჩინა ზენამ,  
ხმათა ხავერდების და ღმერთების ენავ!




გალაუტიონ ტაშიძე

## ჰიმნი ქართულ ანბანს

შენ, რომელიც  
მარად მზეებრ გვინათ,  
არა გუშინ  
გაჩნდი თვალის ჩინად,  
არამედ მზით  
ამოენთე ბრწყინვად -  
ოცდაექვსი საუკუნის წინად...  
იმდროიდან  
დაწყებული დღემდე -  
როს გათენდა,  
მზით ანთებულ ზემდეგ,  
სერზე აველ,  
მთაწმინდაზე შევდეგ  
ოცდაექვსი საუკუნის შემდეგ.  
შენ სიძველის  
გმოსავს ნელი ხავსი,  
ქვაზე ჭრილი  
ხარ ჩუქურთმის მსგავსი -  
დიდის გზნებით  
ასე იყავ სავსე  
ოცდაექვსი  
საუკუნის წინად...  
ცხრაასხუთი.  
ოქტომბერი. ომი.  
ჩემს ახლოს დგას  
კაცთ ახალი ტომი.  
ხელთ უპყრია  
ლექსთა ჩვენთა ტომი -

ოცდაექვსი საუკუნის შემდეგ.  
მარადისი  
სიახლე გაქვს ორბის,  
ხვეულები  
გრეხილების ორფის,  
გაშვენებდა  
ახლის წინამორბედს  
ოცდაექვსი საუკუნის წინად...  
სევდიანის  
და როდესმე ობლის  
გულმხურვალე,  
როგორც ზრუნვა მშობლის.  
ხარ აღმდგენი  
ქალაქის თუ სოფლის  
ოცდაექვსი  
საუკუნის შემდეგ.  
შენით მღერდა  
მომღერალი ვეფხვის,  
უდარებლად  
მცოდნე ლექსის ხერხის.  
ეს შრიალი  
იყო მრავალ ვერხვის  
ოცდაექვსი  
საუკუნის წინად...  
შენ სიმები  
მოგაქვს ჩემი ქნარის,  
შენ შეჭხარი  
თავისუფალ მხარეს,  
შრომას ერთგულს,  
თავდადებულს, ცხარეს,  
ოცდაექვსი  
საუკუნის შემდეგ.  
ქალიშვილი  
შენით მღერდა ჩონგურს,  
შენ ჯერ უშლელს  
მაშინ ჰგავდი კოკორს.  
აწ სულ სხვა ხარ,  
არ იმგვარი, როგორც  
ოცდაექვსი საუკუნის წინად...  
კვლავ გვინათე,  
როგორც ეხლა გვინათ,  
რა იყო და  
რაა ახალ ბრწყინვად -  
ოცდაექვსი  
საუკუნის წინად,  
ოცდაექვსი  
საუკუნის შემდეგ.



სიმონ ჯაფარიძე  
(იმერი ხრუელი)

### ანბანის საგალობელი

სიტყვის რტოზე ჩიტი გალობს:  
აბგადევზათიკალმანო,  
უმღერს ყლორტებს ამონაყარს:  
პაჟარასტაუფქალაყაშ,  
უმღერს ცას და მიწას უმღერს:  
ჩაცაძაწაჭახაჭაჭა,  
ხელუხლებს და ახალუხლებს  
ნახავს ჩიტი დღეებს ახალს!..


### ა ნ ბ ა ნ ი

ანათე ფერად —  
ნათელთა მფენად,  
ბინდბუნდში მზერას  
აქნთე მთენად;  
ნაჭირნახულევს  
იწევდე რთველად!..  
სიტყვებით — ულევ  
სხივებად ელავს  
აზრთა საუნჯის  
გამოსათქმელად...  
აღწერავს ვინაც ენას  
ლოცვად და ლხენად,  
ოქროპირობს ვინც  
ბრძნულად და ქველად  
მთქმის სათქმელი  
ლექსად, სიმღერად!..  
იქმნას ნათელი...

### ა ნ ბ ა ნ ი ქ ა ბ ი თ დახატული ტყობა ცისარტყელის ფერთა

ჭვიმს: იმედით თვალცრემლიანს მმსგავსება ლამაზს ია  
ნურას: ავს რას ის ნუ ჯავრობს, ისევ სულში აისია;  
შელს ვინც იღერს თამარისებრ — მნთოს ლამპრად ივერისად.  
მზე წამწამზე ვის აკოცებს, ნამბორებს მვარისა,  
ცხობს ივერთა სევდის ვიქრსა, მრს რვალისებრ იერისა;  
ლარისდარი, შიმისროდ, რისად ჯიქურ ისრევისა,  
ის არა სცნობს ავს მოცილეს — ნამზედ ისევს სხივების ალს!..

იაკობ გოგებაშვილისა და „დედა ენის“ საიუბილეოდ გამოცემული წიგნიდან „სიტყვის სასწაულები“. რედაქტორი: გ. სოზიაშვილი.



ილაზ აშაშიძე

## ო, ენავ ჩემო

ო, ენავ ჩემო,  
დედაო ენავ,  
შენ ჩვენო ნიჭო,  
სრბოლავ და ფრენავ,  
შენ, ჩვენი სუნთქვის დიდო ალამო,  
შენ, ჭირთა ჩვენთა ტკბილო მალამო,  
შენ, კირო ჩვენთა ქვათა და კირთა,  
შენ ერთი შემრჩი სამარის პირთან.  
ნათესავს ათასს  
მეგობარს ათასს,  
მრუდსა და მართალს,  
მტერთა და ძმათა  
დავშორდი,  
მორჩა,  
ყველა მოთავდა,  
მშვიდობა ვუთხარ ყველა მოკვდავთა,  
მხოლოდ შენ უკვდავს,  
მხოლოდ შენ მარადს,  
შენ - ერთს,  
შენ ვერ გთმობ  
სამარის კარად.  
თუ რამ მზე მწამდა,  
თუ რამ მზე მწვავდა,  
უტკბილეს დღეთა  
უტკბილეს წამთა,  
უტკბესი შენ ხარ,  
ენავ დედაო,  
შენ, მწარე ლხინო,  
ტკბილო სევდაო,  
შენ, ყოველის მთქმელო,  
ყოველის არ მთქმელო,  
შენ, გმირთა გმირო,

ბრძენო ქართველო,  
წარსული ძეგლო, წინ გამხედავო.  
ქვესკნელში მძრომო,  
ცაში მჭვრეტელო.  
ხან - ფუნჯო ჩემო, ხან – საჭრეთელო,  
შენ, აკვნის ჰიმნო,  
ცრემლო სამარის  
იბერის ენავ,  
ენავ თამარის  
შენ, ნიჭო ჩემო,  
სრბოლავ და ფრენავ,  
დედაო ენავ, დედაო ენავ!  
დაცეს, იქნებ სიმაგრე ყველა,  
მოისრას, იქნებ, ყველა ყმა ველად,  
დაედოს მტვერი ყველა დიდ ხსოვნას,  
დააკვდეს აზრი ნაპოვნის პოვნას.  
ყოველ ნერგს, იქნებ, დაატყდეს მეხი,  
ყოველ ძეგლს, იქნებ, დაედგას ფეხი,  
მხოლოდ შენ უჭკნობს,  
შენ ხატად ქცეულს,  
რა დრო, რა დასცემს  
შენს უკვდავ სხეულს?  
ო, ენავ ჩემო,  
დედაო ენავ,  
შენ, ჩემო ნიჭო,  
სრბოლავ და ფრენავ,  
შენ, ჩვენი სუნთქვის დიდო ალამო,  
შენ, ჭირთა ჩვენთა ტკბილო მალამო,  
შენ, კირო ჩვენთა ქვათა და კირთა,  
შენ ერთს,  
შენ ვერ გთმობ  
სამარის პირთან...



შოთა ნიშნიანიძე



გიორგი ლეონიძე

## დედა ენა

### გოგებაშვილის „დედა ენა“

ეს წიგნი ერის ბურჯია! –  
ხარობენ მამა-პაპანი,  
ხარმა თქვა: მეც შიგ ჩამდენეთ,  
ერის მეც ვზიდე ჭაპანი.  
მოფრინდა შავი მერცხალი  
ჭიქჭიკით, ყელმოლერებით  
და წიგნში, როგორც ბუდეში,  
ჩაფინა ის ღერები.  
პატია წიგნი ბედ-იღბლით  
კიდობანს გამოემგანა  
და, რაც შიგ გადანახულა,  
ის გადაარჩენს ქვეყანას.  
მე კი მგონია, ფრესკებზე,  
ყრმა რომ ზის დედის კალთში,  
თუ „დედა ენას“ მიუტანთ,  
დიდივით კრძალვით გადაშლის,  
თითს გააყოლებს ასოებს:  
ვაზის ლერწს, ნამგალს, ნიამორს,  
ენას ქართულად აიდგამს  
და იტყვის: აი, იაო.  
იდიდე, წიგნო, იდიდე,  
ქართული სულის ლაზათო,  
ღმერთი თუ არა ღმერთკაცი  
იქნებ კვლავ ბევრი გაზარდო.

წიგნი ჩვენი, ჩვენი დედა,  
ჩვენი ენა ქართული,  
ვარდნაბამი ფურცელი,  
ჩვენს ყრმობაში ჩართული!

დედის ძუძუ მეორე,  
სიყვარული პირველი,  
ჩვენს აქვანს შემომჯდარი  
მგალობელი ფრინველი.

იავნანის ნიავში  
ჩვენს ყურთან რომ გაისმა,  
ყრმობა რომ გვისურნელა,  
როგორც ბალი მაისმა.

ტკბილად რომ გაგვისარა  
ჩვენ ბავშვობა ბეჩავი –  
შავი კაბით გაზრდილებს,  
გახუნებულ ღეჩაქით.

ჩვენი წიგნი, ჩვენი დედა,  
ჩვენი ენა ქართული,  
ოქროსხმიან სიმებად  
გულში ამოხლართული.



ანა თოლრია

## ქვეყნის ერთობლივი ენისაბაზის ენისაბაზი!

ქართველთ მგოსანო ჩანგო და ჰანგო,  
მბნით და ძნობით ხოტბაშესხმულო,  
ბანოვნად ქმნილო, ალვად აღსრულო,  
ანდამატივით დამშვენებულო,  
იადონოო ამღერეულო!..

დაუნჯებულო ვით მარგარიტო,  
ანო და ჰოევ სიოდ მოსრულო,

ღურუჯო მხნეო ველად გაჭრილო,  
იავ, თვალლურჯავ ვაჟას ხელქმნილო,  
ღედა ღვთისმშობლის მადლით ცხებულო...  
მრქვანო, მზეო ლოცვად მოსრულო,  
ბეღელო ქრისტეს კვართით მოსილო,  
აღხილულ ცოდვის ცრემლით მტვირთველო,  
იავნანაო ძილისპირულო!..


ქედაღმართულო, ვერ მოდრექილო,  
აკვანო ვაზით გამოკვართულო,  
რვალო უდრეკო ცეცხლსა შობილო,  
თვალო მახვილო არ მირულულო,  
ულევ წყაროო არ დაშრეტილო,  
ლებანოზოო ღვთით მოღხილულო.  
იკორთას თაღით ოქროვანქმნილო,  
სამების მადლით გაბრწყინებულო,  
ანო და ჰოევ, ქრისტეს ძმობილო!..

მბანო, მზეო, ლოცვად მოსრულო,  
ნოეს კიდობნად სახელდებულო,  
იმედო, სრბოლავ, მადლმიმთხვეულო,  
საუნჯევ, გუნდრუკ პირსმიფრქვეულო,  
ანგელოზთაებრ გაბრწყინვებულო,  
ივერთ ლხენაო ზენად პყრობილო!



## „დაზღვრები“ მიძღვნილი

## საიუბილეო გამოცემაში



**შეიძლია ილია მართლის (ჭავჭავაძის) სახელობის  
სალიტერატურო ჟურნალი  
„საქართველოს მოამბე“**


**მპიონეველს ვოსოვთ, მოუფრთხილდეს ურნალს  
მასში გამოქვეყნებული მასალების გამო**

ავტორთა თვალსაზრისი შესაძლოა, არ ემთხვეოდეს რედაქციისას

ოპერატორები: ეკა მანგოშვილი  
ნორა თიგიშვილი

რედაქციის მისამართი: თელავი, კევლიშვილების ქ. №10

რეგისტრაციის № 34-4-114





## „ရွှေဇာ ဘန်“ ဆောင်ရွက်

ဂျောက် အေ ၁၈၂၀၉၆၀ ၂၀၁၇၆၅ အာဇာကပ်ပါ၏  
လုပ်ချောင်း အေ ၁၈၂၀၉၆၀ ၂၀၁၇၆၅ အာဇာကပ်ပါ၏